





ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო



ქალთა გენდერული საჭიროებების კვლევა
იმერეთის მხარეში

2017 წელი



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში“.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.



კვლევის ავტორი: ქალთა ფონდი „სოხუმი“ - ემა კამკია;

კვლევის ასისტენტი: ანა მამულია

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: ნინო ხუხუა;
მაკა ცერცვაძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, სააგენტოს წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2017, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

შინაარსი

ანოტაცია.....	5
შესავალი.....	6
კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები:	6
ტექსტის ძირითადი ნაწილი.....	8
ბაღდათის მუნიციპალიტეტი.....	8
კვლევის ძირითადი მიგნებები:.....	8
დასკვნები	12
ვანის მუნიციპალიტეტი	13
კვლევის ძირითადი მიგნებები:.....	13
დასკვნები	16
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი.....	17
კვლევის ძირითადი მიგნებები:.....	17
დასკვნები	20
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	22
კვლევის ძირითადი მიგნებები:.....	22
დასკვნები	24
სამტრედიის მუნიციპალიტეტი.....	26
კვლევის ძირითადი მიგნებები.....	26
დასკვნები	28
საჩხერის მუნიციპალიტეტი	30
კვლევის ძირითადი მიგნებები:.....	30
დასკვნები	33
ტყიბულის მუნიციპალიტეტი.....	34
კვლევის ძირითადი მიგნებები.....	34
დასკვნა.....	37
ქუთაისის მუნიციპალიტეტი.....	37
კვლევის ძირითადი მიგნებები.....	37
დასკვნა.....	41
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი.....	42
კვლევის ძირითადი მიგნებები.....	42
დასკვნა.....	46

ჭიათურის მუნიციპალიტეტი.....	47
კვლევის ძირითადი მიგნებები:.....	47
დასკვნა.....	50
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	51
კვლევის ძირითადი მიგნებები:.....	51
დასკვნა.....	55
ხონის მუნიციპალიტეტი.....	56
კვლევის ძირითადი მიგნებები:.....	56
დასკვნა.....	59
დასკვნა.....	60
რეკომენდაციები:	61
დანართი # 1	64

წინამდებარე კვლევა ემსახურება მიზანს, გამოავლინოს იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალების გენდერული საჭიროებები და მათი ხედვები ქალების და ზოგადად მოქალაქეთა კეთილდღეობის გაზრდისთვის ადგილობრივი მართვის კუთხით საჭირო მიდგომებზე, რათა მოხდეს პოლიტიკური სუბიექტების პროგრამებსა და პლატფორმებში მათი ასახვის ადვოკატირება.

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში.

კვლევის აქტუალურობას განაპირობებდა მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომლის დროსაც ქალი ამომრჩევლის საჭიროებები, პრობლემები ყოველთვის განზე რჩება, როგორც მოქალაქეების მხრიდან გაჟღერებულ სამოქალაქო დაკვეთებში, ასევე პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო პროგრამებსა და დაპირებებში. ამ დროს კი ქალი არა მხოლოდ ამომრჩევლის მეტ ნაწილს წარმოადგენს, არამედ მის მხრებზე გადადის საოჯახო ზრუნვის, პოლიტიკის, სოციალური აქტივობის უდიდესი ნაწილი, აქვს საინტერესო ხედვები ადგილობრივი სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური მოწყობის სხვადასხვა საკითხებზე, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, დღემდე დამკვიდრებელი პრაქტიკით, განიხილება როგორც ადგილობრივი პოლიტიკის ზრუნვის ობიექტი და არანაირად - როგორც ამ პოლიტიკის აქტორი და შემოქმედი.

კვლევამ თვალსაჩინო გახადა იმერეთის მხარეში მცხოვრები ქალების სპეციფიკური გენდერული საჭიროებები - სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა და ხარისხი; სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა; მორგებული შრომის გრაფიკი; ბავშვებთან ერთად დასვენებისთვის საჭირო სოციალური ინფრასტრუქტურა ბაღებსა და სკვერებში; სკოლამდელი განათლების სერვისის ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო; ოჯახში ძალადობისაგან დაცვა; ამასთანავე - სიღარიბისაგან გამოსვლის პროგრამების აუცილებლობა; სოციალური და ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერა, პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა.

იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ქალთა გენდერული საჭიროებების კვლევის საფუძველზე გაკეთებული ძირითადი მიგნებები, დასკვნები, რეკომენდაციები წარედგინება ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტებს და ამით ხელი შეეწყობა სრულფასოვან წინასაარჩევნო კომუნიკაციას და უკუკავშირს ამომრჩეველსა და ძირითად ადგილობრივ პოლიტიკურ აქტორებს შორის.

პროექტის „მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ მიზანია იმერეთის მხარეში პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებში ქალი ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ასახვის ხელშეწყობა და მათი ადვოკატირება, რაც გაზრდის ქალთა მონაწილეობას ადგილობრივი პოლიტიკის დონეზე. ამისთვის დაგეგმილია იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში ქალთა ადგილობრივი გენდერული საჭიროებების გამოვლენა ჯანდაცვის, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროში და მათი წარდგენა პოლიტიკური პარტიებისათვის, წინასაარჩევნო პროგრამებში ასახვის ხელშეწყობა და ადვოკატირება. არჩევნების შემდგომ, პროექტით იგეგმება პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ქალთა საჭიროებების გათვალისწინების კუთხით წარმოდგენილი საკითხების შესრულების მონიტორინგი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შევაფასოთ, მოხდა თუ არა საარჩევნო პროგრამებში ქალი ამომრჩევლების ინტერესების ასახვა და მათი გადაჭრისთვის ზრუნვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ქალთა საჭიროებებს, ძირითადად, არ ითვალისწინებენ და მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში შექმნილი საერთო მდგომარეობის ფონზე ეს პრობლემა აქტუალური არ არის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება ავტომატურად მოაგვარებს ქალთა პრობლემებსაც. ადგილობრივი არჩევნების წინ თავად ქალებიც არ გამოირჩევიან განსაკუთრებული აქტიურობით და ვერ ახერხებენ პოლიტიკური სუბიექტების წინაშე საკუთარი საჭიროებებით ნაკარნახევი სოციალური დაკვეთის წარდგენას, რის გამოც, ჩრდილში რჩება ქალების სპეციფიკური გენდერული საჭიროებები, პრობლემები, რომლებიც, უფრო ხშირად, საერთოა მხარეში მცხოვრები ქალებისთვის. თუმცა ბევრი საკითხის განსაკუთრებულ აქტუალობას რეგიონალური სპეციფიკაც განაპირობებს.

წარმოდგენილი კვლევის მიზანი არის იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალების გენდერული საჭიროებების შესწავლა. მიზნის შესაბამისად, გამოიყო შემდეგი ამოცანები:

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის ნიშნულების გამოკვეთა;
- ❖ ქალთა მონაწილეობის შესწავლა ადგილობრივ მართვაში;
- ❖ გენდერული საჭიროებების იდენტიფიკაცია;
- ❖ ინსტრუმენტებისა და მექანიზმების განსაზღვრა ადგილებზე გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობისთვის.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები: საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდა თვისებრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებით, რომლის ინსტრუმენტიც გახლდათ კვლევით დასახული მიზნებისა და საკვლევი საკითხის საფუძველზე შემუშავებული ფოკუს-ჯგუფის გზამკვლევი (იხილეთ დანართი #1).

კვლევის გენერალური ერთობლიობა: იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალები.

შერჩევითი ერთობლიობა: იმერეთის მხარის თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრები 12 ქალბატონი. შერჩევით ერთობლიობაში დაცული იყო ჰომოგენურობის პრინციპი. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები შეირჩა თოვლის გუნდის მეთოდით, სხვადასხვა კრიტერიუმის (დასაქმებული, დაუსაქმებელი, შშმ პირი, მრავალშვილიანი დედა, იძულებით გადაადგილებული პირი და ა.შ.) გათვალისწინებით.

ჩატარდა 12 თვისებრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებით, იმერეთის მხარის 12 მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალბატონებთან. ასევე, განხორციელდა შეხვედრა ადგილობრივ ექსპერტთა ჯგუფთან.

მონაწილეებმა სიღრმისეულად ისაუბრეს ქალთა საჭიროებებსა და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე. ფოკუსირებული დისკუსიით (ფოკუს-ჯგუფის მეთოდით), როგორც თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მიდგომით, გათვალისწინებული იყო ჯგუფის მოდერატორის მიერ წარმოდგენილი საკითხების ჯგუფური განხილვა. მოდერატორი ხელს უწყობდა საკვლევ საკითხზე ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალური მოსაზრების გამოხატვას, ჯგუფის წევრების რეაგირებას ერთმანეთის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე და ჯგუფური განხილვის მეთოდით გამოთქმული მოსაზრებების დახვეწას.

ამ მეთოდის გამოყენებით მოპოვებული იქნა თვისებრივი მასალა, რომელსაც აქვს არა მარტო დამოუკიდებელი ღირებულება, არამედ იძლევა თვისებრივ ინდიკატორებს; ჯგუფის მონაწილეების გამოცდილებიდან გამომდინარე პრობლემის იდენტიფიკაციასა და მისი სხვადასხვა მხრიდან დანახვის შესაძლებლობას; პრობლემათა სხვადასხვა ასპექტების გამოვლენას; სამიზნე სეგმენტის საჭიროებათა სიღრმისეული ანალიზის საშუალებას.

სამიზნე მუნიციპალიტეტებში რესპონდენტებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მოხდა ჯგუფური დისკუსიის აუდიო ჩაწერა/სტენოგრაფირება. ფოკუს-ჯგუფების დასრულების შემდეგ მომზადდა ჯგუფური დისკუსიების დეტალური ტრანსკრიპტი (რესპონდენტთა სამეტყველო სტილის დაცვით), რომლის საფუძველზე გაკეთდა ფოკუს-ჯგუფების ანალიზი.

კვლევის შედეგად მოხდა იმერეთის მხარეში მცხოვრები ქალების მდგომარეობის შესწავლა, მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების დადგენა, მუნიციპალიტეტების მხრიდან სხვადასხვა მომსახურების ხარისხის შეფასება. ასევე გამოვლინდა, რამდენად აკმაყოფილებს ეს მომსახურებები ქალთა მოლოდინსა და საჭიროებებს. გაკეთდა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

კვლევამ გამოავლინა როგორც მსგავსი, ასევე განსხვავებული სურათი იმერეთის მხარის თორმეტივე მუნიციპალიტეტის ქალთა ჯგუფებისთვის გენდერულ ჭრილში. ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები თითქმის

იდენტურია მთლიანად რეგიონში და ძირითადად, უკავშირდება სიღარიბეს, სამუშაო ადგილების ტოტალურ სიმცირეს, შრომის პირობების არასაკმარის დაცვას დასაქმებული ქალებისთვის, ინფრასტრუქტურის, მათ შორის სოციალური ინფრასტრუქტურის არადაამაყოფილებელ დონეს, ადგილობრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების პროგრამების სიმწირეს და გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებზე ორიენტაციის დეფიციტს.

არასტაბილური და მუდმივად ცვლადი სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს პირობებში ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებს თამამ და ნაკლებად ცენტრალიზებულ ადგილობრივ მართვას, რომელიც დაფუძნებულია ადგილობრივ სტატისტიკაზე, საჭიროებათა (პირველ რიგში ქალთა საჭიროებათა) კვლევაზე და ორიენტირებული არ არის შედარებით გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე. მწვავედ დგას გარემოსდაცვითი პრობლემები.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ვერ გამოიკვეთა ყველა გენდერული ჯგუფის პრობლემები, მიღებული მასალა საკმაოდ საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს კვლევის ძირითადი მიზნები, გაკეთდეს დასკვნები და სარეკომენდაციო წინადადებები, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე კვლევით პროექტში.

საკვანძო სიტყვები: ქალი, გენდერი, საჭიროება, იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი გენდერული პოლიტიკა, ქალთა ჯგუფების დაკვეთა.

ტექსტის ძირითადი ნაწილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

კვლევის ძირითადი მიზნები:

ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალთა ჯგუფებისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს სიღარიბე, დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა, პირველადი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა (სასმელი წყლის ხარისხი და ხელმისაწვდომობა, სატრანსპორტო გზები, გაზიფიცირება ა.შ). ასევე - ხარისხიანი სკოლამდელი განათლების სერვისის ხელმისაწვდომობა; სოციალური არასტაბილურობის განცდა და უკონტროლო მიგრაცია; მაღალი საბანკო ვალდებულებები; სახელმწიფო შემწეობაზე დამოკიდებულების ნეგატიური პრაქტიკა; შშმ პირების, ხანდაზმულების მიმართ არასაკმარისი ზრუნვის პოლიტიკა; ოჯახში ძალადობის საკითხის საგანგაშო ნიშნული; ქალთა საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობის დეფიციტი, ჯანმრთელობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები.

❖ **ქალბატონების სერიოზულ სატკივარს წარმოადგენს სასმელი წყლის ხარისხის და ხელმისაწვდომობის საკითხი, რომელიც მუნიციპალიტეტის რიგ სოფლებში ჯერ კიდევ მოუგვარებელია. მათი ინფორმაციით, გაუფილტრავი წყალი წყლის მრიცხველებს აზიანებს და ისინი მასიურად გამოსულია მწყობრიდან. „მე აქ 1980 წლიდან ვმუშაობ და**

მას შემდეგ სულ ეს პრობლემაა. სანეპიდსადგურიც აყენებდა საკითხს, რომ ეს არის ტექნიკური წყალი. მისი დაღვევა არ შეიძლება“. აღნიშნავენ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეულ საქმიანობას მოსახლეობის პრობლემის გადასაჭრელად (500 ათასი ლარი დაიხარჯა ფერსათის, შუაუბნის, წითელხევის სისტემების გამართვაში), თუმცა უშედეგოდ. მიზეზი, მათი აზრით, წყალმომარაგებელი კომპანიის უპასუხისმგებლობა და არაკომპეტენტურობაა. იქაც კი, სადაც წყალი გრაფიკით მოდის, ის არ არის მორგებული ქალების საჭიროებაზე, რომლებიც თავისი გენდერული როლებიდან გამომდინარე, უფრო მეტად არიან დამოკიდებული ამ სერვისზე. განსაკუთრებით ზარალდებიან დასაქმებული ქალები: „9 საათზე სამსახურში უნდა ვიყოთ და წყალი მოდის მას მერე“.

❖ **სკოლამდელი განათლების სერვისის ხელმისაწვდომობა ქალებისთვის** - მიუხედავად სერვისის განვითარების მიმართულელებით ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული სერიოზული ძალისხმევით, მუნიციპალიტეტში არსებული რეალობა ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს, რომელიც დაწესებული აქვთ მსგავს დაწესებულებებს. სოციალური ინფრასტრუქტურისადმი შეზღუდული წვდომა, განსაკუთრებით კი სკოლამდელი განათლების სერვისის კუთხით (ის, რომ ბალის ასაკის ბავშვების გარდა სხვა ჯგუფების აღსაზრდელებს შუადღეს ვერ აძინებენ, იძულებულს ხდის მშობელს, ადრე წამოიყვანოს ბავშვი საბავშვო ბაღიდან, რაც ამცირებს მის სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობას. გარდა ამისა, ნეგატიურად აისახება დანარჩენი პატარების ჯანმრთელობაზე).

დღის წესრიგში უნდა დადგეს ბაღებში თუნდაც ერთი ზაფხულის ჯგუფის არსებობა დასაქმებული მშობლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ, ეს შეიძლება, აღქმული იქნეს სხვა მშობლებისა და აღსაზრდელების დისკრიმინაციად, გენდერულ პოლიტიკაში დასაშვებია ტერმინი „პოზიტიური დისკრიმინაცია“, რაც სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების მიმართ გამოიყენება და სოციალურად სამართლიანი პოლიტიკის ნიშნულია. კვლევის მონაწილეებს ამ საკითხში ალტერნატივად კერძო ბაღებიც ესახებათ.

❖ **სოციალური არასტაბილურობის განცდა და უკონტროლო მიგრაციის პრობლემა** - ქალები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრისას ასახელებენ არასტაბილურობის განცდას მაშინაც კი, როცა სამსახური აქვთ; „სამუშაო ადგილები არის ძალიან ცოტა, ძირითადად არის საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულები, ქალბატონებიც და მამაკაცებიც. თუ ამას შემცირება მოყვება, მერე საერთოდ არის - ტრაგედია. ამიტომ, ყველა „შემცირებული“ არის პოტენციურად საზღვარგარეთ წამსვლელი“. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების ინფორმაციით, დასაქმებული ქალბატონები კიდევ უფრო მეტად არიან პოტენციური მიგრანტები, და ერთხმად ასახელებენ მიზეზს: „იმიტომ, რომ ვალდებულებები გვაქვს იმაზე მეტი აღებული, ვიდრე მათ, ვინც დასაქმებული არ არის. (გულისხმობენ ბანკების ვალებს)“.

- კვლევით გამოიკვეთა, რომ ქალები მასიურად ტოვებენ ოჯახებს და საზღვარგარეთ გადაიან. შეეხნენ მიგრაციის ეკონომიკურ სარგებელსაც და თანმდევ სოციალურ, პოლიტიკურ, დემოგრაფიულ ასპექტებს, რომელთა გამოც მას, ძირითადად, განიხილავენ ნეგატიურ კონტექსტში. ქალები გულისტკივილით აღნიშნავენ მიგრანტთა შრომით

მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოკლევადიან ეფექტს, ყველაზე მტკივნეული კი მათთვის ოჯახებში მომხდარი გაუცხოებაა.

❖ **სახელმწიფო შემწეობაზე დამოკიდებულების ნეგატიური პრაქტიკა** - ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევა თვალსაჩინოს ხდის სახელმწიფო შემწეობაზე მოქალაქეთა დამოკიდებულების ნეგატიურ ტენდენციას, როცა ისინი ხშირად უარს ამბობენ სამსახურზე შემწეობის დაკარგვის შიშით. მათი აზრით ზოგჯერ *სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულება ამუხრუჭებს ეკონომიკურ განვითარებას*.

❖ ბაღდათში არსებობს მოსაზრებები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ „მთის კანონი“ უნდა ეხებოდეს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებსაც. ეს შეღავათი იქნებოდა, პირველ რიგში, იქ მცხოვრები ქალებისთვის, რომელთაც სხვასთან შედარებით არათანაბარ პირობებში უწევთ შრომა და დასვენება.

❖ გენდერულ საჭიროებებზე საუბრისას ქალბატონები გამოყოფენ **შშმ პირების, ხანდაზმულების საჭიროებებს**. მათი გულისტკივილია ის, რომ თვითმმართველობამ ვერ მოახერხა თანადაფინანსების თანხების მოძიება შშმ ბავშვების დღის ცენტრისთვის, რომელსაც სთავაზობდნენ კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციები. ქალბატონების გულისტკივილი მოხუცებისთვის ღირსეული გარემოს არარსებობაცაა. მათი მეტი წილი ქალები არიან. მონაწილეთა აზრით, ისინი თავისი პენსიის ნაწილსაც კი სიამოვნებით გაიღებდნენ იმისთვის, რომ ასეთი სერვისი არსებობდეს.

❖ **ოჯახში ძალადობის პრობლემა** - ბაღდათის მუნიციპალიტეტში პერიოდულად ვლინდება ქალებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხი, გენდერული ძალადობა ოჯახში, თავისი ყველაზე საბედისწერო შედეგებით.

❖ **ქალთა საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობა** - ბაღდათის მუნიციპალიტეტში ქალბატონების დაკვეთა არის არა მხოლოდ ზრუნვის პოლიტიკაში მოხვედრა, არამედ ადგილობრივ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა. მათ აქვთ მტკიცე რწმენა, რომ ქალებს საუკეთესოდ შეუძლიათ, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობა, ისევე ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობა.

გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობის, ქალთა (და სხვა მგრძნობიარე ჯგუფების) მიმართ სოციალურად სამართლიანი პოლიტიკის განხორციელების საკითხში ქალთა ჯგუფები მოიაზრებენ რესურსებს, რომელიც მათ მეტ პოლიტიკურ ჩართულობას, გადაწყვეტილებებზე გავლენას განაპირობებს. მაგალითად - „ქალთა ოთახების“ სისტემის დანერგვა სოფლებში; უარი- მერის სათათბირო საბჭოებში ქალების მხოლოდ ფორმალურ მონაწილეობაზე და პირველ რიგში, გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც ქალთა ჯგუფების რწმენით, ბევრი კარგი საქმის საწინდარი უნდა გახდეს.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები აფიქსირებენ მოსაზრებას, რომ ქალბატონების უმეტეს ნაწილს არა აქვს სურვილი, იყოს ჩართული ადგილობრივ პროცესებში. ამის მაგალითი იყო სოფლის კრებები, სადაც მამაკაცები უფრო აქტიურად აყენებდნენ მათთვის მისაღებ წინადადებებს. ქალების საჭიროებების კუთხით გამოითქვა სურვილი, მოხდეს ქალების ეკონომიკური აქტივობის პოპულარიზაცია. აღინიშნა, რომ ბაღდათში ადგილობრივი სანიმუშო პრაქტიკაც არსებობს: მათ დაასახელეს „ბაია აბულაძის მარანი“, საოჯახო სასტუმროები, რომელთაც ქალები უწევენ ადმინისტრირებას.

❖ **რესურსი სამოქალაქო რეალიზებისათვის** - ქალბატონებმა დააფიქსირეს აზრი არსებულ რესურსებზე ქალთა საჭიროებების რეალიზებისთვის. მაგალითად, „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამა, რომელიც ბაღდათს კარგ შესაძლებლობას აძლევს ეკონომიკური განვითარებისა და მოქალაქეთა ჩართვით განხორციელებული დემოკრატიული მმართველობისათვის. მათ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტები ყველაზე ხშირად ეხება იმ სფეროებს, რომელიც ქალების გენდერული საჭიროებების დაკმაყოფილებას უწყობს ხელს. (დასასვენებელი სკვერების, პარკების კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღები, ახალგაზრდული სივრცე და ა.შ).

ქალბატონები გარკვეულ იმედებს ამყარებენ პროგრამაზე „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ და იმედი აქვთ, რომ მიიღებენ ევროკავშირის გრანტს, რათა მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდეს მათი განხორციელება.

ქალბატონებს აქვთ საინტერესო ხედვები ადგილობრივი ბიუჯეტის განაწილებასთან დაკავშირებით. ისინი გულისტკივილით აღნიშნავენ ბიუჯეტის დაგეგმარებისას არსებულ ხარვეზებს: მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი მცირეა, შეიძლება მისი უფრო მეტი სოციალური სამართლიანობის პრინციპით განაწილება.

❖ **მექანიზმები გენდერული პოლიტიკის ხელშესაწყობად** - ქალები აცხადებენ, რომ მუნიციპალიტეტში ქალებზე ზრუნვის პრაქტიკა თითქმის არ არსებობს. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ცენტრში და თუნდაც მიმდებარე სოფლებში, მაგრამ უფრო მოშორებით ქალები, ფაქტიურად, იზოლაციაში არიან. სიტუაციის გამოსწორება, ზოგი მათგანის აზრით, გენდერულ საბჭოს შეუძლია, რომელიც ბაღდათში ცოტა ხნის წინათ დაარსდა. ისინი იმედოვნებენ, რომ საბჭო შეძლებს თავისი როლის შესრულებას ამ კუთხით. მათი აზრით, პოლიტიკა უნდა იყოს სენსიტიური ქალების მიმართ.

❖ **ქალთა მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში. სასურველი ქალი პოლიტიკოსის სახე** - ითქვას, რომ ქალები პარტიებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ნაკლებად არიან ჩართული. ქალთა ჩართულობა და თანამშრომლობა პარტიებთან უნდა ხდებოდეს მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა. გამოიკვეთა მონაწილეთათვის სასურველი ქალი პოლიტიკოსის სახე - „ქალი მეტად ხედავს საშიშროებებს და აფასებს რისკს. ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება შეუძლია, „ყველაფერს იტანს“. გამოსავალი, მათი აზრით, კვოტირებაა, რომლის გადაწყვეტა, „ზემოდან“ უნდა მოხდეს.

❖ **ჯანმრთელობის და ეკოლოგიური უსაფრთხოება** ბაღდათის მუნიციპალიტეტში საგანგაშო ნიშნულს აღწევს გარემოსდაცვითი პრობლემები. ეს საჭიროება, ერთი შეხედვით, გენდერულად ნეიტრალურია, მაგრამ შინამეურნეობაზე ზრუნვის მეტი წილის გამო ქალებზე უფრო მეტ გავლენას ახდენს. „აზიური ფაროსანა“, წიწვოვანების და კავკასიური ბზის მასიური გადაშენება საფრთხეს უქმნის არა მარტო რეგიონის მიკროკლიმატს, არამედ ადამიანების ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. საფრთხე ექმნება ქართულ ფუტკარს, რომელიც ბაღდათის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვან წილს იკავებს. საკითხისადმი გონიერი და სისტემური მიდგომის გარეშე რეგიონი შეიძლება აღმოჩნდეს ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე.

დასკვნები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ქალთა საჭიროებების კვლევის შედეგად შეიძლება, გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

➤ ადგილობრივი პოლიტიკის სამიზნეს უნდა წარმოადგენდეს მოქალაქეების ინტერესების დაცვა კერძო კომპანიების მიერ შემოთავაზებული მომსახურების შეფასებისას. წყალმომარაგების საკითხში არსებულ პრობლემებზე და სისტემატიურ გადაცდომებზე სათანადო რეაგირების მექანიზმების დანერგვა. საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრები თანაბარ პირობებში იყოს წყალმომარაგების კუთხით.

➤ ქალთა ეკონომიკური აქტივობის ერთეული საინტერესი პრეცედენტები - „ბაიას მარანი“, „საოჯახო სასტუმროები“ არის ქალი-მეწარმეების მნიშვნელოვანი შენატანი ადგილობრივ ეკონომიკაში. მსგავსი მაგალითების პოპულარიზაცია, ქალთა ეკონომიკური პოტენციალის ხელშეწყობა სათანადო პოლიტიკით, რეგიონზე მორგებული პროგრამებით, ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტების პირველხარისხიანი ამოცანა უნდა გახდეს.

➤ სახელმწიფო სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულების ზრდის ნეგატიური ტენდენცია პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან უნდა იქნას მიჩნეული პოტენციურ დაბრკოლებად ქალების შესაძლებლობებისთვის, გაიჩინონ შემოსავალი საკუთარი თავისა და ოჯახებისთვის, ამიტომ საჭიროა ადგილობრივი ინიციატივები ამ კუთხით სისტემური ცვლილებებისათვის, რომელიც არ იქნება მუხრუჭი მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური აქტივობისათვის, არამედ წაახალისებს მას და მეორე მხრივ, ზრუნვის გარეშე არ დატოვებს ყველაზე მოწყვლად ჯგუფს.

➤ ადგილობრივი პოლიტიკის გენდერულ დღის წესრიგში აუცილებლად უნდა მოხვდეს ოჯახში დობის პრობლემა, რომლის მასშტაბები მუნიციპალიტეტში ბოლომდე უცნობია, მაგრამ ერთეული ტრაგიკული შემთხვევების ანალიზი უჩვენებს საკითხისადმი საზოგადოების არასათანადო დამოკიდებულებას. ამიტომ რისკ ჯგუფების ოჯახების გამოვლენა, საკონსულტაციო სერვისის დანერგვა, საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა ადგილობრივი პოლიტიკის სამიზნე უნდა გახდეს.

➤ ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებობს კარგი რესურსი სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდის თვალსაზრისით, მათ შორის - „სოციალური ბიუჯეტი“, „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“. მათი სრულფასოვანი რეალიზება საუკეთესო პერსპექტივას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში უფრო ეფექტური სოციალური პოლიტიკის დანერგვისა და ეკონომიკური წინსვლისთვის. ამიტომ ეს საკითხები უნდა გახდეს ადგილობრივი პოლიტიკის პირდაპირი სამიზნე.

➤ ახალი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ბაღდათში ქალთა ჯგუფების მოლოდინია უფრო თამამი და ნაკლებად ცენტრალიზებული თვითმმართველობა, რომელიც დაფუძნებული იქნება ადგილობრივ სტატისტიკაზე, საჭიროებათა (პირველ რიგში ქალების საჭიროებათა) კვლევებზე და ორიენტირებული იქნება უფრო გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე.

➤ მუნიციპალიტეტის ქალთა ჯგუფების დაკვეთაა მოქნილი და მზრუნველი ადგილობრივი პოლიტიკა, რომელიც მობილური იქნება მოქალაქეთა ყოფაში

გამოვლენილი პრობლემების მიმართ, მზად იქნება უპასუხოს არსებულ გამოწვევებს, და არასაკმარისი ადგილობრივი რესურსების პირობებში იქნება უნარი, მოიზიდოს გარე რესურსები პრობლემის მოგვარებისთვის.

➤ ძალიან მნიშვნელოვანია, გენდერული თანასწორობის საბჭო ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში იქცეს ქმედით მექანიზმად, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში გენდერული ბიუჯეტირების, ბიუჯეტის სამართლიანი განაწილების პრინციპების დაცვას, ქალთა და საზოგადოების სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების (შშმ პირები, ხანდაზმულები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახები) მიმართ ეფექტური, გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი ადგილობრივი პოლიტიკის ხელშეწყობას.

ვანის მუნიციპალიტეტი

კვლევის ძირითადი მიგნებები:

ვანის მუნიციპალიტეტში ქალთა ჯგუფებთან ჩატარებულმა კვლევამ გამოკვეთა საჭიროებები, რომელთა მოგვარება მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების სრულფასოვანი ყოფისა და საქმიანობისათვის.

დასახელდა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ქალების მიმართ უფრო ოპტიმალური სოციალური პოლიტიკის დანერგვას: დასაქმების საკითხი; უკონტროლო მიგრაციის პრობლემა; ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა; ხარისხიანი სკოლამდელი განათლების სერვისის საკითხი; სპეციფიური საჭიროებების მქონე ჯგუფებისთვის შინ მოვლის სერვისის, შშმ ბავშვების დღის ცენტრის ინსტიტუციური გაძლიერების და მხარდაჭერის საკითხი; მოწყვლადი ოჯახების სახელმწიფო სოციალური პროგრამების მიღმა დარჩენა; ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი; ქალთა ეკონომიკური განვითარების პროგრამების არარსებობა.

❖ **დასაქმების საჭიროება** - საჭიროებათა კვლევამ აჩვენა, რომ ქალები ყველაზე დიდ პრობლემად მიიჩნევენ იმას, რომ ძალიან უჭირთ სამსახურის შოვნა, დასაქმება. მათი განმარტებით, ამ კუთხით კაცებს უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ: „ის, რაც არის კაცებისთვის შესაძლებელი, ქალებისთვის შესაფერისი არ არის. მაგალითად, სოფელში კაცს შეუძლია ფიზიკურად იშრომოს, ქალისთვის ეს შეუძლებელი ხდება, ამიტომ არის ქალი მეტწილად ოჯახში, არ აქვს ეს უპირატესობა მამაკაცთან შედარებით“.

ქალებისთვის უპირველესი საჭიროება არის დასაქმების შესაძლებლობა, ამასთან, ისინი თანახმა არის ნებისმიერ სეზონურ საქმიანობაზე, თუმცა საჭიროდ მიიჩნევენ ხელისუფლების მიერ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის ღონისძიებებს, რომელიც მათთვის იქნება შანსი, მიიღონ ეკონომიკური სარგებელი.

❖ **ჯანმრთელობის დაცვა** - ქალების საჭიროებების ჩამონათვალში ერთერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა სამშობიარო სახლის საკითხმა. ითქვა, რომ მუნიციპალიტეტს მოწესრიგებული აქვს ამბულატორიული მომსახურების საკითხი, მაგრამ ქალების რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, ორსულებისა და ახალშობილების სიცოცხლეს ხშირად

ექმნება საფრთხე იმის გამო, რომ ეს საკითხები არ არის სათანადო დონეზე მოგვარებული. ქალები უდიდეს გულისტკივილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ იგნორირებულია მათი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები და, განსაკუთრებით, ისეთი გენდერული სპეციფიკის საკითხები, როგორცაა გინეკოლოგის მომსახურების ხელმისაწვდომობა, ორსულთა და მშობიარეთა უსაფრთხოების დაცვა. ვანში იყო მელოგინეთა სახლში მშობიარობის შემთხვევები, რომლებიც, საბედნიეროდ, მშვიდობიანად დასრულდა.

ქალბატონებმა გაიხსენეს შემთხვევა, როცა ქალმა სახლში იმშობიარა და ჭიპლარის გადაჭრა მეზობლებს ჩვეულებრივი მაკრატლით მოუწიათ. და ეს არ მომხდარა „მიყრუებულ“ სოფელში, რადგან შუამთა ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილია. ყველაზე სამწუხარო კი, მათი აზრით, ისაა, რომ შემთხვევის ღრმა ანალიზი და შესაბამისი დასკვნები არ გაკეთებულა.

❖ **საჭიროებებზე საუბრისას დასახელდა სასმელი წყლის, გაზიფიცირების საკითხი**, თუმცა იქვე განიმარტა, რომ ესმით - ეს ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში არ შედის. *“გაზს მუნიციპალიტეტი ვერ ეხება, წყალმომარაგებაც კერძო კომპანიაა. ისე წყალზე კი ეხმარება სოფლებს მიწებით“.*

❖ **ხარისხიანი სკოლამდელი განათლების სერვისის საკითხი** - ერთ-ერთი უპირველესია, რაც ვანში ქალებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მიუხედავად არსებული ძვრებისა და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით ჩატარებული საქმიანობისა, ბაღებში არ არის მოწესრიგებული აღსაზრდელთა შუადღის ძილის საკითხი, ეს შეიძლება, ჩაითვალოს სფეროში არსებულ სერიოზულ ხარვეზად. მხოლოდ 2 ბაღშია საწოლები და ამის გამო დანარჩენი ბაღების აღსაზრდელები მოკლებული არიან შუადღის ძილს, რაც ამ ასაკის ბავშვებისთვის აუცილებელია. *„3 წლის ბავშვს მთელი დღის განმავლობაში ერთხელ მაინც უნდა ეძინოს. არ არის გათვალისწინებული დაძინება. ამიტომაც ზოგს უფრო ადრე გამოყავს, 4-ზე“.* *„ეს საკითხი პედაგოგებსაც უქმნის დისკომფორტს. დაისვენებს ის აღმზრდელიც, დაძინება რომ იყოს“.*

გამოიკვეთა სხვა პრობლემაც: *„სველი წერტილები, სანიტარია ყველაფერი მოგვარებულია ბაღებში, მაგრამ ერთი პრობლემაა, რომ ბაგა-ბაღი არ არის“.*

❖ **ახალი სერვისების საჭიროება** - ქალთა ჯგუფებმა ვანში ჩატარებული კვლევის დროს გააჟღერეს დაკვეთა ახალ სოციალურ სერვისებზე, რომელთა დანერგვას სავალდებულოდ მიიჩნევენ ადგილობრივ დონეზე. შინ მოვლის სერვისი, შშმ ბავშვების დღის ცენტრის ინსტიტუციური გაძლიერება და მხარდაჭერა და სხვა. ასევე - საჭიროებათა კვლევების დანერგვა, რომელიც იძლევა ბენეფიციარების რაოდენობაზე და საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების ინტეგრირების საშუალებას. ქალები აღნიშნავენ, რომ ეს გენდერულად მიმართული სერვისია, რადგან ხანდაზმულების უმეტესობა ქალებია და ასევე ქალებია მათი მომვლელები, რომლებიც თავისი რეპროდუქტიული შრომის ანაზღაურებას მიიღებენ.

❖ **სახელმწიფო პროგრამების მიღმა დარჩენილი მოწყვლადი ოჯახების საჭიროება** - ქალები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ვანში ბოლო პერიოდში ბევრ გაჭირვებულ ოჯახს მოუხსნეს სახელმწიფო დახმარება. *„მარტოხელა ქალი გვყავს ერთი, სოციალურიც მოუხსნეს და არანაირი დახმარება არ აქვს. იმდენჯერ იყო საკრებულოში და დახმარება არ*

აღუდგა“. ქალების სიტყვებით, ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თვითმმართველობა გულგრილი არ არის ამ საკითხის მიმართ და ცდილობს, შუამდგომლობით მოაგვაროს საკითხი, მაგრამ ხშირად უშედეგოდ, რადგან ის არ არის უფლებამოსილი უწყება, რაც, ქალების აზრით, არასწორია.

ამის გამო, მათი აზრით, ადგილობრივი ხელისუფლება ზოგჯერ არის გარემოებათა მძევალი, რადგან ბევრი ადგილობრივი დახმარება „მიბმულია“ სოციალურ სტატუსზე.

❖ ქალები გულისტკივილით აღნიშნავენ მუნიციპალიტეტში ოჯახების **სახელმწიფო შემწეობებზე დამოკიდებულების ზრდის ნეგატიური ტენდენციას**, რასაც, მათი აზრით, მხოლოდ გრძელვადიანი სოციალურ- ეკონომიკური პროგრამების დანერგვა გადაჭრის. სოციალური დახმარების შეწყვეტის შიში ეკონომიკური აქტივობის შემაფერხებელი გახდა ამ კუთხით სახელმწიფომ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოქალაქეების წახალისების ფორმები უნდა მოძებნოს.

❖ **დანაწილად ითქვა, რომ თვითმმართველობაში არ არის მწყობრი სტრატეგია დონორების მოზიდვის კუთხით** - არ არის დანახული ეს საკითხი, როგორც რესურსი. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოხატეს წუხილი იმის გამო, რომ ვერ მოახერხეს საჭირო თანამშრომლობა თვითმმართველობასთან: „*ორჯერ ჩამოვიდა ჩვენი წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები არ შეგვხვდნენ*“.

❖ **საჭიროებათა კვლევების პრაქტიკის დეფიციტი** - ქალების მიერ დანახული საჭიროება ადგილობრივ დონეზე მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის კვლევაა, რის დანერგვასაც ისინი ისურვებდნენ თვითმმართველობაში, რადგან იყო შემთხვევები, როცა ლამის ჩავარდა პროგრამები იმის გამო, რომ ვერ მოხდა საჭიროების მქონე ბენეფიციარების სწორად განსაზღვრა.

❖ **ქალების ჩართულობა** - ქალბატონების აზრით, ადგილობრივ დონეზე ქალების აქტიურობა და ჩართვა ამა თუ იმ სფეროში ხელშეწყობილი უნდა იყოს. მუნიციპალიტეტში ქალბატონებმა საკმაოდ აჩვენეს მაგალითები, რომ შეუძლიათ პასუხისმგებლობის გადანაწილება. მიუხედავად ამისა, ქალების მოსაზრებით, მათ თემში მამაკაცთა მიერ მართული სისტემა და ქალის იგნორირება ხდება: „*ჩემს ქუჩაში გადასაჭრელი პრობლემა თუ არის, ქალის აზრს ნაკლებად ექცევა ყურადღება. ნებისმიერი საკითხი, რაც არ უნდა იყოს. „შენ ვინ გეკითხებაო“ - მამაკაცები წყვეტენ თემისთვის საერთო საკითხებს*“. „*თუმცა მერე ძალიან ბევრჯერ ყოფილა, რომ საბოლოო ჯამში ქალების აზრი უფრო მართებული იყო*“. ეს ქალებს უკარგავს მოტივაციას, იყვნენ აქტიურები.

ქალთა ჯგუფები ხაზგასმით აღნიშნავენ საკრებულოს წევრი ქალების პოლიტიკურ აქტიურობას და მოქალაქეებთან აქტიური და კონსტრუქციული კომუნიკაციის სტილს. მათ აქვთ ინფორმაცია იმაზე, როგორ არიან ქალები წარმოდგენილი ადგილობრივ სახელისუფლებო რგოლში. მიანიშნებენ, რომ სახელისუფლებო ვერტიკალში ქალების წილი ბევრად ნაკლებია.

დასახელდა პოზიტიური მაგალითებიც, როცა ქალების აქტიური ჩართვით ეს თუ ის საკითხი გადაიჭრა: „*გაზი გამოგვყავდა უბანში, სოფლის პროგრამაც მოგვებმარა, მაგრამ უბანში ჩვენი გავიყვანეთ. სანამ ქალები არ გამოვედით და არ ვითავეთ, არ კეთდებოდა და გამოვედით ქალები და 3 დღეში გავაკეთეთ*“.

საუბარი შეეხო სოფლის კრებებს, რომელთა ორგანიზება თვითმმართველობის მხრიდან იყო შეფერხებებით, თორემ ქალების პასიურობა ნამდვილად არ ყოფილა. „*რომ ვთქვათ, ქალები*

არ არიან აქტიურები, ასე არ იყო. ქალები ითხოვდნენ გზას, წყალს. მამაკაცების და ქალების მოთხოვნა იყო ერთი და იგივე, იმიტომ რომ სოციალური პირობები უმჯობესდება“.

❖ **დამოკიდებულება თვითმმართველობის არჩევნებისადმი** - ქალების სურვილია გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნები: „ვისურვებ, სამართლიანად ჩატარდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები“. მათი დაკვეთა არის იმ ქალების რესურსის გამოყენება, რომელთაც ვანში უკვე გამოავლინეს თავისი უნარები და პოლიტიკური განათლება. ეს, მათი აზრით, უნდა აისახოს პარტიულ სიებში: „სიებში ქალები ნამდვილად იყოს არანაკლები 40%-ის“.

❖ **გენდერული თანასწორობის მექანიზმებზე საუბრისას** ითქვა, რომ არსებობს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, სადაც საკმაოდ აქტიური ქალები არიან. შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო: „საჭიროა, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა საკრებულომ ააწიოს, რომ დაიგეგმოს სტრატეგია, გეგმა და შესრულდეს. რომ ჩაიწერება იქ და იქნება მოთხოვნა, გაკეთდება მერე შესაბამისი საქმე. საბჭოს გარეშე მოჭრილი გვაქვს ხელები“. მათი აზრით, საბჭოებისთვის ამოსავალი უნდა იქნეს გენდერული დღის წესრიგის დანერგვა ადგილობრივ დონეზე.

დასკვნები

ვანის მუნიციპალიტეტში ქალთა საჭიროებების კვლევის შედეგად გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

➤ ადგილობრივი არჩევნების დროს ქალებისთვის უფრო მეტად მიმზიდველი იქნებიან ის პოლიტიკური სუბიექტები, ვისაც ექნება უფრო მწყობრი პლატფორმა მოქალაქეთა საჭიროებებზე აგებული სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამების დასანერგად.

➤ ადგილობრივ ხელისუფლებაში ყოფნის ამბიციის მქონე ნებისმიერი პოლიტიკური სუბიექტისათვის ქალების რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვის საკითხის მიმართ დამოკიდებულება (ვანში მელოგინეთა სახლში მშობიარობის საგანგაშო სტატისტიკა) შეიძლება იქცეს მათი „სოციალურ-პოლიტიკური ლუსტრაციის“ და პოლიტიკური პრესტიჟის საკითხად, რადგან ქალებისთვის ამ მომსახურების ხელმისაწვდომობა არის პირველადი საკითხი, რომლითაც უნდა დაიწყოს საუბარი ადგილობრივ ამომრჩეველ ქალთა ჯგუფებთან და მათ ოჯახებთან.

➤ ქალთა ჯგუფების დაკვეთა არის სკოლამდელი განათლების სერვისი ყველა სტანდარტებს დაცვით, რაც ასევე დანერგილია სფეროს მიმართ ახალ სახელმწიფო სტანდარტებში და ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტები მზად უნდა იყვნენ ამ გამოწვევის საპასუხოდ.

➤ ქალთა ჯგუფებს აქვთ ხედვა, რომ ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს არა ერთჯერად დახმარებებზე, არამედ გრძელვადიან სოციალურ სერვისებზე, მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესების რეალურ პერსპექტივებზე, სადაც მაქსიმალურად იქნება გამოყენებული როგორც ადგილობრივი, ასევე დონორების რესურსები. თვითმმართველობის არჩევნების დროს ასეთი პოლიტიკა იქნება ძალიან მიმზიდველი ამომრჩეველი ქალებისთვის.

➤ იმის გამო, რომ ადგილობრივი სოციალური პროგრამების დიდი ნაწილი „მიზმულია“ სოციალურად დაუცველის სტატუსზე, ადგილობრივი ხელისუფლება დგას დილემის წინაშე, როგორ დაეხმაროს ოჯახებს, რომელთა მოწყვლადობის ხარისხი აშკარაა, მაგრამ გაუგებარი მიზეზებით მოხსნილი აქვთ სახელმწიფო შემწეობა.

ქალების დაკვეთა არის უფრო აქტიური და პრინციპული პოლიტიკა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, რომელიც ორიენტირებული იქნება ამ კატეგორიის მოქალაქეების დაცვაზე.

➤ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო და სხვა ადგილობრივი ინსტიტუტები შეიძლება გახდეს ის მექანიზმები, რომელთა სრულფასოვანი ფუნქციონირებითა და მათში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობით მოხდება მუნიციპალიტეტში ქალებისთვის სასურველი დღის წესრიგის დანერგვა; ქალთა მეტი სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

კვლევის ძირითადი მიგნებები:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალბატონების საჭიროებათა კვლევამ გამოავლინა უმუშევრობის, სხვადასხვა ტიპის სოციალური პრობლემების მაღალი ფონი, რომელიც განსაკუთრებით საგანგაშოა მოწყვლადი ოჯახების ქალბატონებისთვის.

გამოიკვეთა საჭიროებები, რომლებიც გააჩნიათ თვითმმართველობის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალებს - მრავალშვილიან დედებს, დევნილ და სოციალურად დაუცველ ქალებს, ახალგაზრდა ოჯახებს, სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგებს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, ხანდაზმულებს და სხვ.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელმა ქალებმა დაასახელეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების (განსაკუთრებით - სოფლებში) პირველი რიგის საჭიროებები - წყალმომარაგების, გაზიფიცირების, ტრანსპორტის მომსახურების; სკოლამდელი განათლების სერვისის ხარისხის და ხელმისაწვდომობის კუთხით. ითქვა, რომ არის ქალთა დაბალი მონაწილეობა და ჩართულობა თვითმმართველობაში, რის გამოც ქალები ზოგჯერ არ ფლობენ ინფორმაციას მათთვის მნიშვნელოვან სოციალურ პროგრამებზე. საჭიროებებზე საუბრისას გამოიკვეთა ახალი სოციალური სერვისების აუცილებლობა: შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა და გრძელვადიანი სოციალური პროგრამები. ქალთა გენდერული საჭიროებების კუთხით დასახელდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დახმარების საკითხი. გამოიკვეთა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების მხარდაჭერის აუცილებლობა ადგილობრივი მეწარმე ქალებისათვის, მათთვის ბიზნესის ხელშეწყობი გარემოს შესაქმნელად.

❖ ქალთა პირველი რიგის საჭიროებები სოციალური ინფრასტრუქტურის კუთხით - ისევე, როგორც იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებში, ზესტაფონშიც ბევრ სოფელში არის წყლის, გაზის, გზის პრობლემა. სოფლების ნაწილში ცენტრალური წყალმომარაგება არ არის და მოსახლეობა ჭებით სარგებლობს. არის დასახლებები, სადაც პრობლემას წარმოადგენს წყალიც და გზაც. „ზედა საქარაში არ არის არც წყალი, არც გზები. მაგალითად - ფერაძეების დასახლებაში“.

❖ **ქალთა ჯგუფების ადგილობრივ პროგრამებზე მეტი ინფორმირების საჭიროება** - როგორც გაირკვა, ბენეფიციარების ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტში მესამე წელია, უსახლკაროთათვის არის საბინაო პროგრამა. გამოიყოფა კომისია, რომელიც ადგილზე შეისწავლის ოჯახის მდგომარეობას, მაქსიმალური დახმარების თანხა არის 5 ათასი ლარი. შეიძლება სამშენებლო მასალებით დახმარებაც, პრიორიტეტი არის მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახები. მრავალშვილიანმა ქალბატონმა, რომელიც ნაქირავებში ცხოვრობს, მისი აღნიშვნით, პირველად გაიგო ამ პროგრამის შესახებ.

❖ **სკოლამდელი განათლების სერვისის ხარისხი და ხელმისაწვდომობა** - ზესტაფონში მცხოვრები ქალები აღნიშნავენ პრობლემებს სკოლამდელი განათლების სერვისის ხელმისაწვდომობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ აშენდა რამდენიმე ახალი ბაღი, გაკეთდა რეაბილიტაცია, სერვისს მიღმა დარჩენილი პატარების რიცხვი ცოტა არ არის. თვითმმართველობას არ აქვს ჩატარებული კვლევა, რამდენი ბავშვია დარჩენილი ბაღების გარეშე. მშობლები მიიჩნევენ, რომ ირღვევა ბავშვების და მშობლების უფლებები, სტანდარტების მიხედვით მიიღონ მომსახურება და მეორე მხრივ - ბაღის პედაგოგების უფლებები, რომლებიც სამმაგ შრომას ეწევიან: *„ჯგუფები ძალიან გადატვირთულია. მიუხედავად იმისა, რომ არის ორი ცვლის მასწავლებელი, კანონში წერია, რომ ჯგუფში უნდა იყოს 20-25 ბავშვი“.*

❖ **მრავალშვილიანი დედების საჭიროებები** - მათი უმეტესობა სოციალურად დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნება და არ მალავს თავის დუხჭირ ყოფას: *„პირადად მე 300 ლარი მაქვს თვეში შემოსავალი (გულისხმობს სოციალურ შემწეობას) და ვარ 6 შვილის დედა. ბინაც ნაქირავები მაქვს და 100 ლარს მაგაში ვიხდი. 200 ლარი, თვიდან თვემდე, არ გვეყოფნის“.*

სახელმწიფო შემწეობის გარდა არის გამგეობის ერთჯერადი დახმარების პროგრამა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, წელიწადში 400 ლარი, მაგრამ ისიც მხოლოდ მოკლევადიანი საჭიროებების დაკმაყოფილებას ყოფნის და ოჯახის მდგომარეობას შესამჩნევად არ ცვლის იმ პირობებში, როცა ქალებისთვის შეუძლებელია დასაქმება.

❖ **ქალების ინფორმირებულობა და ჩართულობა** - საკითხის ირგვლივ დისკუსიებში გამოჩნდა, რომ ხშირად ქალებს არ აქვთ ინფორმაცია მათთვის სასურველი პროგრამების შესახებ. გულისტკივილით ითქვა, რომ ზესტაფონში, ფაქტიურად, არ მუშაობს არასამთავრობო სექტორი. გამონაკლისი იყო ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“, რომელმაც ქალთა კოოპერატივები დააფინანსა.

შეხვედრის მონაწილეები აღიარებენ, რომ მოქალაქეებს არ აქვთ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის, საკუთარი პრობლემების ადვოკატირების გამოცდილება. *„სწორად უნდა მიიტანონ ქალბატონებმა თავიანთი პრობლემები, რომ კანონმდებლობიდან გამომდინარე ჩაერთოს თვითმმართველობა მის გადაჭრაში“.*

❖ **სახელმწიფო შემწეობების მოხსნის საკითხი** - ზესტაფონში ისევე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, გამოიკვეთა სოციალური შემწეობების გაუგებარი მიზეზებით მოხსნის საკითხი სხვადასხვა ოჯახებისთვის, რომელთა მოწყვლადობის მაღალი ხარისხი სახეზეა. ფოკუს-ჯგუფზე დაფიქსირდა პოზიცია, რომ რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს აქვს პოლიტიკა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ერთი ხელით აძლევს, მეორეთი ართმევს“:

„უსახლკაროები რომ გვყავს, ან ოჯახები, რომელთა სახლებიც ნგრევის რეჟიმშია და ამისთვის თანხა მისცეს, ეს თანხა გაჩნდა მათ ანგარშზე და სოციალურმა სააგენტომ ხელახალი გადამოწმების რეჟიმით მოუხსნა, ან შეუჩერა დახმარება“.

„უნდა გაიწეროს ეს კანონმდებლობაში, რომ ამ მხრივ მიღებული შემოსავალი არ ჩაითვალოს უკეთეს მდგომარეობად და დახმარების მოხსნის საფუძვლად“.

ქალბატონები ასევე არ იწონებენ სახელმწიფო მიდგომას, რომელიც თითქოს მიმართულია ბავშვების დაცვისკენ, მაგრამ არა ოჯახების გაძლიერებისკენ. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი დედების ნაწილი ამბობს, რომ აქვთ კონტაქტი სოციალურ მუშაკთან („სოციალური მუშაკი მოდის ხოლმე და გვეხმარება“), ნაწილი კი აცხადებს, რომ მათ აკლიათ ყურადღება სააგენტოს მხრიდან. „დავწერე განცხადება, სამინისტროშიც გავაგზავნე წერილი. მალევე მომივიდა პასუხი და შემოგვთავაზეს ბავშვების შეძლებულ ოჯახებში დანაწილება. მე ერთი პურიც რომ მქონდეს, ჩემს შვილებს არ მოვიცილებ გვერდიდან“. გამოთქმული პოზიციებით, უფრო უპრიანია დახმარება მიმართული იყოს ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებისკენ და ამაში უნდა იყოს გამოხატული სახელმწიფო ჩარევა.

❖ **ახალი სერვისების საჭიროება** - საჭირო სოციალური პროგრამების თემაზე საუბრისას ქალბატონები აცხადებენ, რომ სასურველია თვითმმართველობის მეტი მზრუნველი პოლიტიკა განათლების მხარდაჭერის მიმართულებით. მაგალითად - სტუდენტების დახმარების კუთხით: „როდესაც სტუდენტები მუშაობენ და თან სწავლობენ, ეს ძალიან მტკივნეული თემაა. ვერ ახერხებენ ორივეს ერთად“. ეს საკითხი უფრო მტკივნეულად აისახება გოგონებზე, რადგან მათ მეტი ვალდებულებები აქვთ ოჯახში, შვილის აღზრდის საკითხში, ამიტომ ყველაზე ხშირად ისინი ხდებიან იძულებული, დათმონ სწავლა-განათლება.

ქალბატონებმა ეს, გარკვეულწილად, დაუკავშირეს საკადრო პოლიტიკას და ადგილობრივი კადრების გამოზრდის საკითხსაც: „სხვათა შორის, საკმაოდ წარმატებული აბიტურიენტები და სტუდენტები გვყავს, მაგრამ ცუდი ის არის, რომ უკან არავინ ბრუნდება“. გაჟღერდა ინიციატივები, დაინერგოს სტაჟირების პროგრამები და ამ კუთხით მოხდეს ადგილობრივ სტრუქტურებთან, მეწარმეებთან თანამშრომლობა.

გამოიკვეთა შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის, მორგებული პროგრამების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ წინა წლებთან შედარებით ძვრები აშკარაა, ქალების შეფასებით, ეს არ არის საკმარისი. არის შემთხვევები, როცა ეს მხოლოდ ფასადურია: „გათვალისწინებული არის, მაგრამ არაა პრაქტიკულად გამოყენებადი“.

❖ **ქალთა სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერის საკითხი** - ზესტაფონში ქალთა გენდერული საჭიროებების იდენტიფიცირებისას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალთა სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერის ღონისძიებებს.

ითქვა, რომ მწირია ინფორმაცია სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შესახებ. ქალბატონებს არასწორად მიაჩნიათ პოლიტიკა, რომ ეს საკითხები არის მხოლოდ სოფლის „რწმუნებულების“ იმედზე, რადგან მათ ხშირად არ აქვთ არც შესაბამისი კომპეტენცია, არც სრულყოფილი ინფორმაცია და ამისთვის ცალკე ღონისძიებებია საჭირო.

მოყვანილი იყო მაგალითები, როცა რიგ არასამთავრობოებთან თანამშრომლობით ქალთა ჯგუფებმა დაიწყეს ეკონომიკური აქტივობა, მაგრამ, სურვილის მიუხედავად, ვერ მოხერხდა გაფართოება. თვითმმართველობას ამ ეტაპზე არ აქვს სათანადო პოლიტიკა და გამოცდილება,

შეუწყოს ხელი მსგავს საქმიანობას, რომელიც არის უზარმაზარი რესურსი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობისთვის.

❖ **პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობა** - მთავარი პრეტენზია, რაც გაჟღერდა პოლიტიკური სუბიექტების მიმართ, იყო ის, რომ მათი აქტიურობა ემთხვევა წინასაარჩევნო პერიოდს: „სასურველია, რომ მხოლოდ არჩევნების წინ კი არ გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები, მუდმივად მოგვაქციონ ყურადღება“.

გამოჩნდა, რომ ზესტაფონში ქალთა ჯგუფები ჯერ არ არიან მზად, ჩამოყალიბებული პოლიტიკური დაკვეთა მიაწოდონ პოლიტიკურ პარტიებს.

❖ **ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის ნიშნულები** - ფოკუს-ჯგუფზე გამოჩნდა, რომ ქალებს აქვთ სხვა სპეციფიკური გენდერული პრობლემებიც და მათ შორისაა ოჯახში ძალადობის პრობლემა, რომელიც ყველაზე ხშირად არის სქესის ნიშნით. როგორც გაირკვა, თვითმმართველობაში ხდება სტატისტიკის მოძიება და ინერგება ღონისძიებები ამ კატეგორიის ბენეფიციარების დახმარებისთვის. ამ ეტაპზე ზესტაფონში დანერგილია დახმარება ძალადობის მსხვერპლისთვის „ერთჯერადი ფინანსური დახმარება გვაქვს ძალადობის მსხვერპლებისთვის“, რითიც უკვე ისარგებლა რამდენიმე ქალბატონმა.

მიუხედავად იმისა, ზესტაფონში ჯერ სრულფასოვანი ფუნქციონირება არ დაუწყია გენდერული თანასწორობის საბჭოს, გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი სამსახურის მიერ წარმოებული საქმიანობა კარგად მიესადაგება არსებულ გენდერულ საჭიროებებს (ქალთა მოწყვლადი ჯგუფების, მრავალშვილიანი დედების, დევნილი ქალების, შშმ პირების, ხანდაზმულების, ახალგაზრდა ოჯახების და სხვა გენდერული ჯგუფების პრობლემები), თუმცა ქალების აზრით, ყველაფერს განსაზღვრავს ის, თუ რა რესურსები იქნება გამოყოფილი თვითმმართველობაში გენდერული პოლიტიკის რეალიზებისათვის და ახალ საბიუჯეტო პროგრამებში აუცილებლად უნდა ჰქონდეს ასახვა გენდერული განათლების, გენდერული ბიუჯეტის შესახებ თვითმმართველობის წარმომადგენლების, განსაკუთრებით სოფლების „რწმუნებულების“ განათლების ღონისძიებებმა.

დასკვნები

➤ თვითმმართველობის ძალისხმევით მიუხედავად, ზესტაფონის მოქალაქეებისთვის ჯერ კიდევ არ არის სრულად ხელმისაწვდომი ხარისხიანი სასმელი წყალი, გაზიფიცირება, გზის საფარი - ქალების მიერ დასახელებული სხვადასხვა საჭიროებებიდან, ამ საკითხების დროული გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს მუნიციპალიტეტში და ადგილობრივი აქტიური პოლიტიკა ყველა თემისთვის თანაბარი პირობების შესაქმნელად დიდად გაზრდის პოლიტიკური ძალების ავტორიტეტს და პრესტიჟს.

➤ თვითმმართველობას გააჩნია გარკვეული სოციალური პოლიტიკა მოწყვლადი ოჯახების, მათ შორის სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი დედების, დევნილი ქალების, ძალადობის მსხვერპლების, უსახლკაროების მიმართ, თუმცა, სამწუხაროდ, ის არ არის ბოლომდე ეფექტური, რადგან აგებულია ერთჯერად ფულად ბენეფიტებზე და აქვს მოკლევადიანი ეფექტი. ადგილობრივი პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან პროგრამებზე, რომელიც თვითმმართველობის რესურსების ოპტიმალურ ხარჯვას განაპირობებს და მოწყვლადი ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

➤ სოციალური ინფრასტრუქტურა, სკოლამდელი განათლების სერვისი ადგილობრივი ზრუნვის პოლიტიკის პირველადი სამიზნეა. ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტების უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს სკოლამდელი განათლების დაწესებულებების სრულყოფილი ინფრასტრუქტურისა და კვალიფიციური საკადრო უზრუნველყოფის საკითხი, რათა მაქსიმალურად მოხდეს სერვისის საჭირო სტანდარტებთან მიახლოება.

➤ მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებში შედის ადგილობრივი დასაქმების ხელშეწყობა, ადგილობრივი ბიუჯეტი ხშირად არ ფლობს რესურსებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება მოქალაქეთა ჯგუფების, განსაკუთრებით ქალთა ეკონომიკური განვითარების პროგრამების დანერგვა. ადგილობრივ პოლიტიკაში განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს, როგორც მოქალაქეთა ჯგუფების მოტივაცია, გამოვიდნენ სახელმწიფო დახმარებებზე დამოკიდებულებიდან, ასევე სხვადასხვა რგოლების, მათ შორის ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა, ხელი შეუწყონ ქალებისთვის ეკონომიკური აღმავლობის პროექტების დანერგვას. წარმატებული ადგილობრივი მართვა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად შეძლებენ პოლიტიკური სუბიექტები ყველა შესაძლო რესურსის გამოყენებას ქალთა ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამების დანერგვისთვის. არსებული წარმატებული მაგალითების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას.

➤ ზესტაფონში ისევე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, გამოიკვეთა სოციალური შემწეობების გაუგებარი მიზეზებით მოხსნის პრობლემა სხვადასხვა ოჯახებისთვის, რომელთა მოწყვლადობის მაღალი ხარისხი სახეზეა. ადგილობრივ პოლიტიკურ დღის წესრიგში აუცილებლად უნდა იდგეს მსგავსი შემთხვევების მონიტორინგის, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან კონსტრუქციული თანამშრომლობის, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების მიმართ მოქნილი პოლიტიკის საკითხი.

➤ ფოკუს-ჯგუფზე თვალსაჩინო გახდა ქალების პრინციპული პოზიცია, რომ პოლიტიკური პარტიების აქტიურობა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდს არ უნდა ემთხვეოდეს. პოლიტიკური ძალები უნდა გამოვიდნენ მოსახლეობასთან საკომუნიკაციოდ ახალი სერვისების შეთავაზებით, მოქნილი სოციალური და ახალგაზრდული პოლიტიკით, მოქალაქეების კეთილდღეობის გაზრდის რეალისტური და კონკრეტული გეგმებით და პროგრამებით, რომელიც არჩევნების შემდგომ აისახება მოქალაქეების კეთილდღეობაზე.

➤ ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის თვალსაჩინო გამოხატულება, სათანადო მიზნობრივი პროგრამების პარალელურად, არის მექანიზმები, რომელთა დანერგვაც ხდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის უზრუნველყოფისთვის. ადგილობრივ დონეზე მოღვაწე პოლიტიკურმა სუბიექტებმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოს სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობაში, საბჭოს წევრების და თვითმმართველობაში დაკავებული მოხელეების გენდერული განათლებაში, გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი მოხელეების ისტიტუციურ გაძლიერებაში და მათი ინიციატივების მხარდაჭერაში. ზოგადად - გენდერულად სამართლიანი ბიუჯეტის პრინციპების დანერგვაში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

კვლევის ძირითადი მიზნები:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა ქალთა გენდერული საჭიროებების კვლევამ, პირველ რიგში, გამოავლინა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ფენას და განსაკუთრებით მძიმედ კი ქალთა ჯგუფებზე აისახება. გამოიკვეთა სოფლებში წყალმომარაგების პრობლემა და ქალებისთვის მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო სერვისების დეფიციტი; მოწყვლადი ოჯახებისათვის სახელმწიფო სოციალური შემწეობების მოხსნის საკითხი; სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ქალთა სოციალური ინტეგრაციის თემა; უკონტროლო მიგრაციის პრობლემა. მკაფიოდ გამოჩნდა ქალთა ეკონომიკური პროგრამების საჭიროება, განსაკუთრებით არაანაზღაურებად სექტორში დასაქმებული ქალების პოტენციალის რეალიზაციის კუთხით. ასევე ქალთა შრომის უფლების დაცვის, თვითმმართველობასთან ქალთა ჯგუფების კონსტრუქციული კომუნიკაციის, ადგილობრივი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედების საჭიროება.

თერჯოლის მუნიციპალიტი გამოჩნდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მუნიციპალიტეტი, სადაც თვალსაჩინო გახდა ქალთა მონაწილეობით დანერგილი არაერთი ინიციატივა ადგილობრივ მართვაში, ქალთა ჯგუფების მხრიდან გაჟღერდა გაცნობიერებული სამოქალაქო და პოლიტიკური დაკვეთის მქონე ინიციატივები და გამოჩნდა სათანადო სამოქალაქო პასუხისმგებლობა მათი რეალიზებისათვის.

❖ **ყოფითი საჭიროებები და პრობლემები** - ქალბატონები ასახელებენ საჭიროებებს, რომელიც მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მეტნაკლებად საერთოა: *„ისეც არის, რომ ზოგან საერთოდ არ არის წყალი, ისეთი სოფლებია ჩვენთან ბევრი: მაგ, რუფოთი, ჭიდან ეზიდებიან წყალს ქალები“*. მიუხედავად იმისა, რომ წყალი კერძო კომპანიებს ეკუთვნით, მუნიციპალიტეტს აქვს პასუხისმგებლობა საკუთარი მოქალაქეების წინაშე.

ქალბატონები მეორე პრობლემასაც ასახელებენ, რომელიც ასევე მოუგვარებელია და სისტემურ მიდგომას მოითხოვს. საკითხი ეხება ნარჩენების მართვას. სოფლის გზებზე ერთეული ნაგვის ურნების დადგმით პრობლემის გადაჭრა არ ხდება.

ქალბატონები არ მორიდებიან ისეთი სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენასაც, რომელიც თავისი სრულფასოვანი ყოფისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნიათ: *„სოფელში მყოფი ქალებისთვის არც სალონი არსებობს, არც არაფერი. მე, იქნებ, არ მაქვს საშუალება, რომ ქალაქში ჩამოვიდე?“*

❖ **სტატისტიკური ბაზები, კვლევები, დასაქმების შესაძლებლობების შექმნა** - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალბატონები გამოთქვამენ საკუთარ ხედვას, რითი უნდა დაიწყოს ქალთა საჭიროებების მოგვარებაზე საუბარი: გადაწყვეტილების მიმღებთ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, რა საკითხებს მიაქციონ პირველ რიგში ყურადღება. *„მიმაჩნია, რომ უნდა გაკეთდეს მუნიციპალიტეტში კვლევა, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ გავიგებთ ქალთა საჭიროებებს“*. ჯგუფის წევრების პოზიციით, რეგიონებში სრულყოფილად არ არის დიასახლისების პოტენციალი გამოყენებული. ყველგან ისმის მოთხოვნა, რომ დაასაქმონ და

ამის ხელშეწყობა შეიძლება. „ჩვენ თუ გავაკეთებთ იმას, რომ გვექნება სახალხო ბაზრობები, სადაც თავიანთ ნაშრომებს გამოიტანენ დიასახლისები“... „ეს ხალხი, ჩვენ არ ვიცით, რა პოტენციალის მატარებელია და რა სიმდიდრის პატრონები ვართ ამ კუთხით. ამიტომ თერჯოლაში ქალთა საოჯახო ბიზნესს, აგრობიზნესს, ნიადაგის მომზადება სჭირდება“.

❖ **სახელმწიფო შემწეობის პროგრამების სამართლიანობის საკითხი** - ქალების აღნიშვნით, ეს არის მუნიციპალიტეტში ძალიან მტკივნეული თემა, რადგან ყველგან ისმის პრეტენზია და საყვედური. არის უამრავი შემთხვევა, როცა ოჯახის მდგომარეობა გაუმჯობესების მაგივრად გაუარესდა, მაგრამ სააგენტოს მხრიდან გადამოწმების შემდეგ მოუხსნეს ქულები.

❖ **ქალთა საჭიროებები ეთნიკური ნიშნით** - ქალების საჭიროებებზე, მათ პოტენციალზე, ასევე სხვა საკითხების სიღრმისეული შესწავლისა და რეაგირების მექანიზმებზე საუბრისას ფოკუს-ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტში არის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ოჯახებიც. „გვყავს გარკვეული პროცენტი სხვა კულტურის წარმომადგენელი ქალებიც. იმათ თავისი კულტურა აქვთ. ჩემს ხედვაში ვხედავ, რომ ურთიერთობები იყოს ამ ქალბატონებთან. მათ უნდა იგრძნონ, რომ ჩვენ ერთი პრობლემები გვაქვს“. ქალები გამოთქვამენ წუხილს, რომ რეგიონში ერთი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციაც კი არ არის.

❖ **ხედვა ადგილობრივი რენტაბელურ დარგებზე** - ფოკუს-ჯგუფის დისკუსიამ გამოკვეთა ქალების ხედვები, რომ საჭიროა რენტაბელური ადგილობრივი სფეროების და მასში ქალთა ინტეგრირების საკითხის გააქტიურება. ქალები ხშირად აყენებენ საკითხს, რომ ისურვებდნენ მეტ ეკონომიკურ აქტიურობას. საუბარი გასცდა ზოგად ასპექტს და შემოთავაზებული იყო კონკრეტული რეკომენდაციები, რომელიც ეფუძნება არსებულ პოზიტიურ პრაქტიკას, მაგალითად - მეფუტკრეობის განვითარების მიმართულებით.

❖ **ქმედითი აიპების პრეცედენტი: საჭიროებათა კვლევების წარმატებული პრაქტიკა** - თერჯოლაში არსებობს უნივერსალური გამოცდილება საჭიროებათა კვლევების პრაქტიკის მხრივ, რომელიც ერთ-ერთი ა(ა)იპის ბაზაზე ხორციელდება და ქალების ინოვაციური და ბეჯითი საქმიანობის პროდუქტს წარმოადგენს. კვლევების საჭიროებას, პირველ რიგში, ხედავენ ადგილობრივი შრომის ბაზრის შესწავლის, რესურსების გამოვლენის კუთხით.

ქალბატონები საჭიროდ თვლიან ქალთა ეკონომიკური აქტივობის პოპულარიზაციას და წახალისებას სახელმწიფოს მხრიდან. „ბიზნესმენ ქალებზე ჰქონდა მუნიციპალიტეტს დავალება, საუკეთესო ბიზნესმენი ქალი წარადგინეს და გაამართლა, რესპუბლიკაში აიღო საუკეთესოს წოდება“.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები შეეხნენ შშმ ბავშვების დედების საჭიროებებს. მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ეს ბავშვები მეტნაკლებად ინტეგრირებული არიან, მაგრამ არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებიც გარეთ არ გამოდიან. არიან ჩაკეტილები.

❖ **მიგრაციის პრობლემა და მიზეზები, პრევენცია** - ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები მიუთითებენ მიგრაციის საგანგაშო მაშტაბებს. ეს განსაკუთრებით ეხება ქალებს, ახალგაზრდებს.

ქალბატონების ნაწილი მიიჩნევს, რომ მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის მიწის არარენტაბელურობა. პრევენციად შეიძლება მოაზრებული იქნეს ადგილობრივი დარგების აღორძინება, საკონსულტაციო სერვისები, საგანმანათლებლო პროგრამები. დაფიქსირდა ახალგაზრდებისთვის დაფუძნებული აგრარული კლუბის საქმიანობის რეზულტატი - „3 ახალგაზრდა უკვე წავიდა აგრონომიულზე წელს“.

ქალებს აქვთ ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს კადრების გამოზრდის, მათი კვალიფიკაციის ზრდის ტენდენცია.

❖ **პოლიტიკურ სუბიექტებთან ურთიერთობა** - კვლევაში ჩართულ ქალბატონებს მკაფიოდ გამოკვეთილი ხედვები აქვთ იმასთან დაკავშირებით, რას ელოდებიან პოლიტიკური პარტიებისგან. მათი დამოკიდებულება გარკვეულწილად კრიტიკულია.

„პარტიებმა, რომლებსაც მოგება უნდათ, პრაქტიკულად უნდა იცოდნენ, რა სჭირდება რაიონს. ზოგჯერ არც იცნობენ გარემოს და პირდებიან ისეთ რაღაცას, რასაც ვერაფრით ვერ გააკეთებენ“.

კრიტიკულად არიან განწყობილი საზოგადოების პოლიტიკური კულტურის მიმართაც. ქალების აზრით, პოლიტიკოსების, მათ შორის ქალი პოლიტიკოსების პიროვნული მახასიათებლების გარდა - განათლება, როგორც დარგობრივი, ასევე პოლიტიკური, ამოსავალი უნდა იყოს არჩევანის გაკეთების დროს.

❖ **კომუნიკაცია ქალთა ჯგუფებსა და თვითმმართველობას შორის** - კვლევის მონაწილე ქალბატონებს აქვთ მკაფიო ხედვა სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხებზე და ადგილობრივი მართვის გადანაწილების პასუხისმგებლობაზე. აუცილებლად თვლიან უფრო მჭიდრო კომუნიკაციას ქალთა აქტიურ ჯგუფებთან. გამოიკვეთა კიდევ ერთი ადგილობრივი პრობლემა, რომლის მიმართ აუცილებელია ხელისუფლების და საზოგადოების ერთობლივი ძლისხმევა: მზრუნველობამოკლებული მოხუცების პრობლემა, რომელთაც იურიდიულად ჰყავთ მომვლელი, მაგრამ მიტოვებული არიან. *„მათ არც ერთი სტატუსი არ უდგება, მაგრამ ეს ჯგუფები რეალურად არსებობენ, მეზობლების იმედად“.*

❖ **არაანაზღაურებად სექტორში გაწეული საქმიანობის დაფასება** - ქალბატონების პოზიცია ძალიან პრინციპულია არაანაზღაურებად სექტორში ქალების მიერ გაწეული შრომის დაფასების მიზანშეწონილობისადმი. ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხადაც მიაჩნიათ: *„ვფიქრობ, რომ ქალების არაანაზღაურებად სექტორში გაწეული მუშაობის წახალისების საკითხი ძალიან აუწევს რეპუტაციას თვითმმართველობას“.*

❖ **შრომის უფლების დაცვა** - ფოკუს-ჯგუფის დისკუსია შეეხო ზეგანაკვეთური საქმიანობის ანაზღაურების საკითხს ქალებისთვის. *„მე უნდა ვიგრძნო ჩემი საჭიროება ჩემი რაიონისთვის. მე ვგრძნობ თანადგომას, მაგრამ ეს უნდა გამოიხატოს რაღაცა წახალისებაში, ან ხელფასის მომატებაში“.*

❖ **გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმები** - თემაზე საუბრისას ქალებმა გაიხსენეს, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს გენდერული თანასწორობის საბჭო. დებულება შექმნილია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ფუნქციონირება არ დაწყებულა. ქალბატონები გამოთქვამენ სურვილს, მოხდეს ამ რესურსის გამოყენება ქალთა ხელშეწყობისთვის და მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

დასკვნები

➤ ადგილობრივი ხელისუფლება მოიაზრება, როგორც მოქალაქეების ინტერესების დამცველი და შუამავალი კერძო კომპანიებთან, სხვა სახელისუფლებო რგოლებთან. სახელმწიფო სოციალური დახმარებების დანიშვნის და მოხსნის სამართლიანობის საკითხი,

მოქალაქეთა პირველხარისხოვანი ყოფითი საკითხების ხელმისაწვდომობის (წყალი, გაზი) უზრუნველყოფის ხელშეწყობა, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებზე ინფორმირება და კონსულტირება და ა.შ., არის საკითხები, სადაც ქალბატონები ელოდებიან პოლიტიკური პარტიების მზრუნველ დამოკიდებულებას.

➤ მიგრაციის მასშტაბების შესწავლა, მისი მიზეზების ანალიზი, პრევენციის მექანიზმების შემუშავება საზოგადოების აქტიურ ნაწილთან ერთად, უნდა იქცეს ერთ-ერთ პირველ ამოცანად ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართული ძალებისთვის.

➤ კვლევით გამოიკვეთა, როგორია მოლოდინია ადგილობრივი საკადრო პოლიტიკისგან - უარი ნეპოტიზმს, მოხელეების პოლიტიკური ნიშნით შერჩევას, არაკვალიფიციური კადრებისთვის მართვის სადავეების ჩაბარებას. საპირწონედ - კვალიფიციური მუშაკების (განსაკუთრებით ქალების) დაფასება, ზრდის შესაძლებლობების უზრუნველყოფა - ის საკითხებია, სადაც ქალები ელოდებიან არა მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირებებს, არამედ რეალურ საქმეებს.

➤ არაანაზღაურებად სექტორში გაწეული საქმიანობა და ამ ადამიანების (ძირითადად ქალების) არა მხოლოდ საოჯახო შრომის დაფასება, არამედ მათი ეკონომიკური და სოციალური აქტივობის ხელშეწყობა - ქალები ამ საკითხს პოლიტიკურ პარტიებს სთავაზობენ, როგორც, მათი აზრით, პოლიტიკური სუბიექტების „ბრენდის“ განმაპირობებელ აქტუალურ თემას და შესაბამის ზრუნვის პოლიტიკას მოქალაქეთა ყველაზე მოწყვლადი ფენებისადმი.

➤ ქალბატონების გულისტკივილს იწვევს სოფლის განვითარების პროგრამების გაუქმება. მათ მიაჩნიათ, რომ აუცილებლად უნდა გაჩნდეს ალტერნატივა, რესურსები, რომელიც მსგავსი ტიპის პროგრამებს უზრუნველყოფს. მოხდეს საჭირო რესურსების მობილიზება ამ კუთხით.

➤ ქალთა ჯგუფები ასახელებენ ადგილობრივ რენტაბელურ დარგებს, მაგალითად მეფუტკრეობას, მებოსტნეობას, საკონსერვო წარმოებას. ტრადიციული ადგილობრივი დარგების და წარმოების ხელშეწყობა, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის კულტურების შენარჩუნება, პარალელურად კვლევებზე და საჭიროებებზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ადგილობრივ გარემოში ოპტიმალური ახალი კულტურების შემოტანის ხელშეწყობა უნდა გახდეს ადგილობრივი პოლიტიკური პარტიებისათვის დასაქმების ხელშეწყობის, მოქალაქეთა კეთილდღეობის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებების ნაწილი.

➤ კვლევამ გამოკვეთა რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებობს ძალიან კვალიფიციური, სათანადო პოლიტიკური სიმწიფის ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი ქალბატონების რესურსი. თანამშრომლობა ქალთა კვალიფიციურ ჯგუფებთან, მათი წარმატებული პრაქტიკის გამოყენება ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის, ასევე ხელშეწყობა ქალების პოლიტიკურ საქმიანობაში ჩასართვად იქნება ადგილობრივი წარმატებული პოლიტიკის და რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებული დღის წესრიგის საუკეთესო გამოხატულება.

➤ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რიგი ადგილობრივი „აიპ-ის“ (არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირის) საქმიანობის ინოვაციური პრაქტიკას განსაკუთრებულ საფეხურზე აჰყავს ადგილობრივი მმართველობა. ეს ეხება ცალკეული მიმართულებების სოციალური და ეკონომიკური პროგრამების მომზადებისთვის

საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგიის დანერგას, პრაქტიკულ კვლევებს და მათზე დაფუძნებული პროგრამების დანერგვას.

➤ პოლიტიკური სუბიექტების პირველი რიგის ამოცანად უნდა იქცეს ა(ა)იპების საქმიანობის ორგანიზაციის და რეზულტატების ობიექტური შეფასება, მათი „მარგი ქმედების კოეფიციენტის“ ანალიზი, პროგრამა მათი საქმიანობის უკეთესი ორგანიზაციისთვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ რგოლის ეფექტური მონაწილეობა ადგილობრივი მოქალაქეების ცხოვრების დონისა და კეთილდღეობის ხარისხის გაზრდაში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

კვლევის ძირითადი მიგნებები

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ქალთა ჰომოგენურ ჯგუფთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შედეგად გამოვლინდა ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებები ქალთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მათი ცხოვრების ხარისხზე და საჭიროებს მიზანმიმართულ ინტერვენციას, ადგილობრივი პოლიტიკის დღის წესრიგში ამ საჭიროებების ინტეგრირებას ადგილობრივი ხელისუფლების, ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან.

დასახელებულ პრობლემებში ძირითადი იყო დასაქმების პრობლემა, შრომის პირობები, სკოლამდელი განათლების სერვისის ხარისხი, სახელმწიფო ზრუნვის პოლიტიკის ხარვეზები, გარემოსდაცვითი პრობლემები, ქალთა ნაკლები პოლიტიკური მონაწილეობა, ქალების ინფორმირების დაბალი ხარისხი და უფლებების არცოდნა, ოჯახში ძალადობის პრობლემა, მიგრაციის მასშტაბები.

❖ **სკოლამდელი განათლების სერვისის გაუმჯობესების საჭიროება** - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალები სკოლამდელი განათლების სერვისის გამართვის საკითხში მუნიციპალიტეტის ძალისხმევას, ძირითადად, დამაკმაყოფილებლად აფასებენ. თუმცა აღნიშნავენ საკითხებს, რომელიც ჯერჯერობით მოსაგვარებელია. დისკუსიაზე გამოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტში არ არის ბოლომდე შესწავლილი სერვისის მიღმა დარჩენილი ოჯახების რაოდენობა. მონაწილეთაგან ზოგი თვლის, რომ „არ არის საკმარისი ბაღი, ინვენტარები ქალაქის ბაღში ცულ მდგომარეობაშია, ეზოც მოუწესრიგებელი აქვთ. ძალიან ბევრ ბაღში ბავშვებისთვის საწოლები არ კმარა“.

ქალების ერთ-ერთი საჭიროება, რაც შეხვედრაზე დაფიქსირდა, შეეხებოდა დასაქმებული დედებისთვის მათ საოჯახო სტატუსზე მორგებული სამუშაო გრაფიკის საკითხს. „*დროის პრობლემაა. როგორც ვიცით, ყველა სახელმწიფო ბაღის მუშაობა იწყება 9 საათზე და მთავრდება 6-ზე. ვერ ასწრებენ მშობლები, რომ ბავშვები მიიყვანონ საბავშვო ბაღში და სამსახურშიც არ დააგვიანდეთ. ჩემი აზრით, დედებმა ნახევარი საათით მაინც უნდა მიიღონ შეღავათი სამსახურში დროულად მისვლაზე*“.

ქალები აღნიშნავენ, რომ მათი საჭიროებებით არასოდეს დაინტერესებლა ვინმე. „*არავინ არ მოსულა ქალის უფლებების დაცვის კუთხით. საკუთარი ინიციატივით კი სახელმწიფო ინსტიტუტებს ქალები თითქმის არ მიმართავენ*“.

❖ **ქალთა მხრიდან საკუთარი უფლებების არცოდნა** - ფოკუს-ჯგუფზე გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც, ქალების აზრით, საფრთხეს უქმნის ქალების კეთილდღეობას. „*პრობლემების მთავარი წყარო ხშირად არის იმ უფლებების არცოდნა, რაც მათ გააჩნიათ*“.

ქალბატონებმა დიდი გულისტკივილით ისაუბრეს ბაზარში დასაქმებული ქალების ყოფაზე და მათ მიძიმე პირობებზე. მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის გაუსაძლისი პირობები მარტო ქალების სატიკვარი არაა, ქალები უფრო მეტად არიან დატვირთული იმიტომ, რომ სახლში დაბრუნებულებს საოჯახო მოვალეობების შესრულებაც უწევთ.

„*შრომის პირობების პრობლემა, ისინი ბაზარში ვერ თავსდებიან და გარემოვაჭრობა ერთადერთი გამოსავალია მათი*“. „*ღია ცის ქვეშ დგანან ზამთარ-ზაფხულ. არავითარი გათბობა არ აქვთ*“.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების აზრით, თუ დღის წესრიგში დადგება ქალებისთვის პროდუქციის ადგილზე რეალიზაციის თემა და ამ საკითხს მეწარმეობაც „*მიეხმება*“, ქალებს საშუალება მიეცემათ, გამოთავისუფლებული დრო კი საკუთარ თავს დაუთმონ.

❖ **გამოიკვეთა, რომ ოჯახში ძალადობა** მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების არცთუ ცოტა ნაწილის პრობლემა და კვლევის მონაწილე ქალბატონების წუხილის საგანს წარმოადგენს. „*მე პირადად, ვცხოვრობ საერთო საცხოვრებელში. 60 ოჯახი ცხოვრობს ამ კორპუსში და 60 ოჯახიდან ქალების 52%-ს აქვს ოჯახური ძალადობის პრობლემა*“.

ქალბატონები მიიჩნევენ, რომ ამ საკითხებზე რეაგირება თვითმმართველობის საზრუნავი უნდა იყოს. ითქვა, რომ სამწუხაროდ, ბიუჯეტში არ არის განსაზღვრული თანხები ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლის დაცვისთვის. „*ზუსტი კვლევა უნდა იყოს, უნდა იცოდეს თვითმმართველობამ, რომელ ოჯახშია ძალადობის პრობლემა*“. „*ბიუჯეტში უნდა იყოს გათვალისწინებული თანხები მსხვერპლის დახმარებისა და პრევენციისთვის, ტრენინგებისთვის*“.

❖ **სახელმწიფო ზრუნვის პოლიტიკის ხარვეზები** - ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აღნიშვნით, მუნიციპალიტეტში არის ქალთა ჯგუფები, რომელთაც ყველაზე მოწყვლადად თვლიან. მაგალითად - სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი დედები. დასახელდა მაგალითები, როცა ბევრ გაჭირვებულ ოჯახს მოეხსნა სახელმწიფო შემწეობა. „*სოციალურად დაუცველების პრობლემამ წამოიწია წინა პლანზე. ძალიან ბევრ სოციალურად დაუცველს მოეხსნა სოციალური დახმარება და მიზეზი, თუ რატომ მოხდა დახმარების მოხსნა, ძალიან გაურკვეველია*“. ითქვა, რომ ადრე გამგებელი ძალიან მკაცრად აკონტროლებდა მოცემულ საკითხს. გამოითქვა სურვილი, ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მეტად იყოს ჩართული მოქალაქეთა ინტერესების დაცვაში. მონაწილეებმა დაასახელეს როგორც საკუთარი, ისე სხვისი კონკრეტული მაგალითები, როცა, მათი აზრით, უსამართლოდ მოეხსნათ სოციალური დახმარება.

„*როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ვიღებდი შემწეობას და დაწყებული არ მქონდა მუშაობა, „შენ უკვე ბიზნეს პროექტში ხარ გამარჯვებულიო“, რომ მითხრეს და მომიხსნეს დახმარება, მცირეწლოვანი ბავშვი მყავდა სახლში*“.

ქალბატონებს სმენიათ, რომ პარლამეტში შევა კანონი, რომლის თანახმადაც თვითმმართველობას დაევალება იმ ოჯახების შემოწმება, ვინც საჭიროებს სოციალურ დახმარებას და ეთანხმებიან საკითხის ამგვარად დაყენებას.

❖ **გარემოსდაცვითი პრობლემები ქალებისთვის** - ქალბატონები, საკუთარ პრობლემებსა და საჭიროებებზე საუბრისას გულისტკივილით აღნიშნავენ დაბინძურებულ გარემოს, რაც

ადგილობრივი კერძო მეწარმეების და ინვესტორების საქმიანობის შედეგია. ეს სურათი, როგორც ქალბატონები აღნიშნავენ, მუნიციპალიტეტის ბევრ თემშია.

ქალბატონები პრინციპულად აყენებენ საკითხს, რომ მსავსი საკითხების კონტროლი თვითმმართველობის საქმეა და მან რეულირების ადგილობრივი მექანიზმები, სანქციები უნდა დააწესოს. ფოკუს-ჯგუფის ნაწილი მოქალაქეების ინერტულობასაც აკრიტიკებს.

❖ **უკონტროლო მიგრაციის პრობლემა** - ქალების პრობლემებზე საუბრისას დაფიქსირდა, რომ მუნიციპალიტეტში ძალიან მაღალია ქალების მიგრაციის ხარისხი.

❖ ქალებმა ისაუბრეს **გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მექანიზმებზე**: ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი, მათი აზრით, გენდერული თანასწორობის საბჭოა, რომელიც სამტრედიამი ახალი შექმნილია. ქალბატონები არ მალავენ, რომ მუნიციპალიტეტში პრაქტიკული გამოცდილება საბჭოს საქმიანობის ორგანიზების კუთხით არ არსებობს და კვალიფიციურ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რათა გადაწყვეტილება საბჭოს შექმნის შესახებ და რიგი საინტერესი ინიციატივები მხოლოდ იდეის დონეზე არ დარჩეს.

გამოითქვა გულისტკივილი, რომ „ქალთა ორგანიზაციები ძალიან აქტიურობდნენ ადრე. ახლა აღარ ფუნქციონირებენ“.

ქალებს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებად მიაჩნიათ მეტი ქალის მოზიდვა პოლიტიკაში. მათ მიაჩნიათ, რომ ქალებს მაჟორიტარული არჩევნების მოგება უფრო უჭირთ. ამიტომ თუ მათი მონაწილეობის გაზრდაზე საუბარი, წარმოდგენილი უნდა იყვნენ პარტიული სიებით.

დასკვნები

➤ ადგილობრივი პოლიტიკა არ გამოირჩევა გენდერული მგრძობიარობით. ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტების ამოცანა უნდა გახდეს ქალთა აქტიური ჯგუფების მონიშვნა, მათი საჭიროებების ძირეული შესწავლა და მათთან თანამშრომლობა მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში - საყოფაცხოვრებო პრობლემების წყალი, გზა, მოგვარება, ქალების შრომის უფლების დაცვა, მრავალშვილიანი დედების ხელშეწყობა და სხვა.

➤ მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევა სკოლამდელი განათლების სერვისის სრულფასოვანი ფუნქციონირების კუთხით. პოლიტიკურმა ძალებმა უნდა შეძლონ მაქსიმალურად შეისწავლონ სფეროში არსებული ხარვეზები, სერვისის საჭიროების მქონე ბენეფიციარები, რათა შესრულდეს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება, რომლითაც არცერთი ბავშვი არ უნდა დარჩეს სკოლამდელი განათლების გარეშე.

ადგილობრივი ბიუჯეტის შეზღუდული რესურსების პირობებში მაქსიმალურად უნდა იქნეს მხარდაჭერილი და გამოყენებული კერძო ბაღების ქსელი, ასევე გაგრძელდეს და გაფართოვდეს გარე რესურსების (ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების) მოზიდვის მეთოდოლოგია და პრაქტიკა.

➤ ფოკუს-ჯგუფზე ქალების მიერ გენდერული საჭიროებების ჩამონათვალში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ოჯახში გენდერული ძალადობისაგან ქალთა დაცვისა და ძალადობის პრევენციის თემამ.

ადგილობრივი პოლიტიკის სერიოზული საზრუნავი უნდა გახდეს რისკ-ჯგუფების ოჯახების კვლევა და მათთან მუშაობის ორგანიზება, ბიუჯეტში დაზარალებულთათვის (რომლებიც, ყველაზე ხშირ შემთხვევაში, ქალები არიან) დახმარების გათვალისწინება, თავშესაფრის სერვისის მიღებაში დახმარება, მათი დასაქმების ხელშეწყობა, ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ საკითხებში კონსულტირების ორგანიზება.

➤ დაფიქსირდა ნეგატიური პრაქტიკა, როცა ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური აქტივობა ხდება სოციალური შემწეობის მოხსნის მიზეზი, რაც მოქალაქეს უბიძგებს ისედაც არამყარ ეკონომიკურ გარემოში არ გარისკოს თავისი საქმის დაწყება, არამედ შეინარჩუნოს „გარანტირებული“ სახელმწიფო დახმარება და დარჩეს ხანგრძლივ ეკონომიკურ სტაგნაციაში. პოლიტიკური სუბიექტებისგან ქალები ელოდებიან პრინციპულ დამოკიდებულებას მოქალაქეთათვის სოციალურად სამართლიანი პოლიტიკის მხარდასაჭერად და მოწყვლადი ოჯახების ინტერესების დაცვას ყველა ინსტანციაში. ასევე – თამამ ინიციატივებს, რათა ოჯახებს ხელი შეუწყონ სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლებაში.

➤ ტრადიციული პასიური სოციალური პოლიტიკის საპირწონედ, ქალების შემოთავაზება იყო თვითმმართველობის აქტიური პოლიტიკა ქალებისთვის გრძელვადიან ეკონომიკურ პროგრამების, ადგილობრივ დარგებში ჩართვის მხარდაჭერისა და პროდუქციის რეალიზების კუთხით საშუაშაველო რგოლების ორგანიზების თვალსაზრისით, რაც დაზოგავს ქალების დროს და ხელს შეუწყობს ადგილობრივ მეწარმეებს.

➤ სამტრედიის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა გარემოს დაბინძურების საგანგაშო მასშტაბები ადგილობრივი ფერმერების თუ ინვესტორების მხრიდან.

მოქალაქეების მოლოდინია, მოისმინონ პასუხი კითხვაზე, როგორ აპირებს ადგილობრივი ხელისუფლება ამ საკითხის მოგვარებას და რა პრაქტიკულ ღონისძიებებს სთავაზობს მოქალაქეებს საკითხის მოსაწესრიგებლად (სანქციები, საგანმანათლებლო კამპანიები და ა.შ.)

➤ სამტრედიის მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში შესამჩნევად იმატა მიგრაციის მასშტაბებმა. ისმის ქალბატონების წუხილი იმის გამო, რომ სოფლები დაცარიელდა და ეს, განსაკუთრებით ქალებს ეხებათ.

პოლიტიკური პარტიების პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს ადგილობრივ დემოგრაფიულ პოლიტიკას, ეფექტურ ახალგაზრდულ პოლიტიკას, შიდა და გარე მიგრაციის პრევენციის საკითხისადმი გააზრებულ მიდგომებს.

➤ ქალები ხედავენ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ქმედითი მექანიზმების დანერგვის საჭიროებას. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის სწორი ორგანიზება, ამ საკითხში შესაბამისი კომპეტენციის აქტორების ჩართვით, იქნება არა მხოლოდ ქალების სოციალური დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების, არამედ აქტიური ქალების პოლიტიკაში მოსვლის საწინდარი და ასპარეზი, რადგან მათ საბჭოს მიერ ორგანიზებულ სამოქმედო სივრცეში საუკეთესოდ შეეძლებათ საკუთარი ინოვაციური იდეების რეალიზება.

კვლევის ძირითადი მიგნებები:

საჩხერის მუნიციპალიტეტში ქალთა ჯგუფებთან ჩატარებული გენდერული საჭიროებების კვლევის შედეგად გამოიკვეთა პრობლემები და საჭიროებები, რომელთა პოლიტიკური დღის წესრიგში დაყენება ბევრად გააუმჯობესებს ადგილობრივი ქალთა ჯგუფების კეთილდღეობის ხარისხს.

იდენტიფიცირებული გენდერული საჭიროებების ჩამონათვალში მოხვდა ადგილობრივი პოლიტიკის გენდერულად ნეიტრალური ხასიათი, რის გამოც ქალების სპეციფიკური არაერთი პრობლემა რჩება ყურადღების მიღმა; თვითონ ქალების დაბალი სოციალური აქტივობა; მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების სერვისში ბაგის ჯგუფის არარსებობა; შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის დაბალი დონე; მარტოხელა დედების პრობლემები: სოციალური შემწეობის მიღმა დარჩენილი მოწყვლადი ოჯახების საჭიროებები; რეპროდუქტიული შრომის დაუფასებლობა და შინ ზრუნვის პოლიტიკის დაბალი სტანდარტები; ქალთა ეკონომიკური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა; მიუსაფართა თავშესაფრის საკითხი; გამოკვეთილი ახალგაზრდული პოლიტიკის და პროგრამების არარსებობა; საჭიროებათა კვლევის პრაქტიკის არქონა. საჭიროებათა ნუსხაში გარკვეულ ადგილს იკავებს ადგილობრივი გენდერული თანასწორობის მექანიზმების შექმნის საკითხი.

❖ **ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის ნიშნულები** - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალბატონების აზრით, ადგილობრივი პოლიტიკა არ გამოირჩევა განსაკუთრებული სენსიტიურობით ქალთა მიმართ. მათი აზრით, არც ქალები გამოირჩევიან განსაკუთრებული სოციალური აქტიურობით. „*სოფლის კრებების სახით არის ხოლმე შეხვედრები. ქალები მაინცდამაინც არ აქტიურობენ ამ მხრივ*“. მაშინაც კი, როცა ქალები ესწრებიან ე.წ. „სოფლის კრებებს“, ისინი აყენებენ გენდერულად ნეიტრალურ საკითხებს. „*ძირითადად, ქალები ითხოვენ ხიდის, გზის, პარკის გაკეთებას*“.

❖ **უფრო მეტად გამართული სკოლამდელი განათლების სერვისის საჭიროება** - გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, დასაქმებულ ქალბატონებს უარს არ ეუბნებიან ბავშვის სკოლამდელ დაწესებულებაში მიღებაზე, მუნიციპალიტეტში მეტწილად არ არის ბაგის ჯგუფები, რაც ამ ასაკის პატარებისთვის მათი ასაკის და განვითარების შესაბამის გარემოს ვერ უზრუნველყოფს.

❖ **ოტპიმალური პირობები დასვენებისათვის** - აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად საკმაოდ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურისა, ქალაქის რეკრეაციულ ზონაში არ არის წყლის „სოკო“, რაც დიდ დისკომფორტს უქმნის იქ მყოფ დედებსა და ბავშვებს.

❖ **იდენტიფიცირებული გენდერული საჭიროებები** - გამოიკვეთა შშმ ქალების პრობლემები: ისინი ოჯახებში გამოკეტილად გრძნობენ თავს. ზოგჯერ შესაბამისი აქვთ განათლება და ინტელექტი, მაგრამ ვერ ახდენენ თვითრეალიზაციას. გაუმართავია საჭირო ინფრასტრუქტურა: „*არ არის ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის. მაგალითად, საჩხერის პოლიკლინიკაში მე მეორე სართულზე ვერ ავდიოდი და თვითონ ჩამოდიოდნენ ჩემთან გასასინჯად. პანდუსი არის, მაგრამ ლიფტი არ იყო*“.

გამოიკვეთა მარტოხელა დედების პრობლემები. მონაწილეთა აზრით, წელიწადში ერთჯერადად გაცემული 100 ლარი ძალიან ცოტაა და მათ მდგომარეობას არსებითად არ ცვლის.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსია შეეხო იმ ოჯახების მდგომარეობას, ვინც არ ირიცხება სოციალურად დაუცველთა ბაზაში, მაგრამ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. კვლევის მონაწილეებს არ სმენიათ იმის შესახებ, რომ თვითმმართველობას რაიმე გამოკვეთილი პოლიტიკა აქვს ასეთი ოჯახების დახმარებისთვის.

განსაკუთრებით იქნა აღნიშნული იმ ქალების მდგომარეობა, ვინც ეწევა მხოლოდ რეპროდუქტიულ შრომას, ან უვლის ოჯახის უმწეო წევრებს. „ხშირად ასეთ ქალებს იმდენი საქმე აქვთ სახლში, რომ ფინანსურადაც და დროის თვალსაზრისითაც ვერ იცლიან, რომ საკუთარ თავს მიხედონ. რამდენი შემთხვევა იცით თქვენს გარშემო, რომ სიმსივნეები და ა.შ. ბოლო სტადიაში აღმოუჩენიათ და მანამდე სახსრები არ ჰქონდათ, რომ მისულიყვნენ, ან უბრალოდ ინფორმაცია არ ჰქონდათ შესაბამისი პროგრამების შესახებ, არც ეცალათ“.

ქალების მიერ დანახული გენდერული საჭიროება იყო ორსულთა და მეძუძურთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. ისინი მიიჩნევენ, რომ ქალებზე ზრუნვის გამოხატულება იქნება მათთვის სპეციალური საბიუჯეტო პროგრამების დანერგვა, რადგან სადაზღვევო პაკეტით განსაზღვრული მომსახურება სრულიად არასაკმარისია.

გამოიკვეთა, რომ ქალბატონები საჭიროდ მიიჩნევენ, მრავალშვილიანი დედებისთვის იყოს სპეციალური პროგრამები. მათ აქვთ მკაფიო ხედვა, რომ ერთჯერადი დახმარებები ძალიან არაეფექტურია და ორიენტაცია უნდა იყოს ადგილობრივი დასაქმების პროგრამებზე.

❖ **ქალებისთვის ეკონომიკური პროგრამების დანერგვის საჭიროება** - საჩხერის მუნიციპალიტეტში ქალებს საკმარისად აქვთ როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური პოტენციალი, მაგრამ მისი გამოყენება არ შეუძლიათ სათანადო ხელშეწყობის გარეშე. მათ სმენიათ სხვადასხვა პროგრამების შესახებ, როგორცაა „აწარმოე საქართველოში“, და სხვა, მაგრამ აღიარებენ, რომ სრულყოფილი ინფორმაცია ამ კუთხით არ გააჩნიათ. მითუმეტეს, ცოტა რამ სმენიათ წარმატებული თანამშრომლობის პრაქტიკის მაგალითებზე.

❖ **სოციალური სერვისები მოწყვლადი ჯგუფებისთვის** - ფოკუს-ჯგუფის დისკუსიამ გამოკვეთა საჩხერეში არსებული პოზიტიური პრაქტიკა ხანდაზმულ პირთა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პროგრამების კუთხით. არსებული დღის ცენტრი ძალიან პოპულარულია და ბენეფიციარებზე ზრუნვის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენს. საჭიროა მისი ფუნქციონირების საბიუჯეტო მხარდაჭერა.

❖ **ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ მართვაში** - ქალბატონები აღნიშნავენ, რომ საკრებულოში სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მეტი ქალი ჰყავთ, მაგრამ სამოქალაქო ჯგუფების თვითმმართველობასთან თანამშრომლობა ძალიან სუსტია. ვერც გაიხსენეს შემთხვევა, როცა საკრებულოს სხდომებში მონაწილეობენ ქალთა ჯგუფები, თავის დაკვეთას აჟღერებენ. თუმცა ფოკუს-ჯგუფის ზოგი მონაწილე ადგილობრივი პოლიტიკის ხარვეზებსაც მიუთითებს, რის გამოც ის არ შეიძლება, მორგებული იყოს ქალების საჭიროებებზე. „გენდერული ნიშნით ცალკე ქალებისთვის პროგრამების შემუშავება არ ხდება. ზოგადად რასაც ვხედავ, ისაა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ იქმნება პროგრამული ნიშნით. არ არის გამოყოფილი გენდერული ბიუჯეტირება, სადაც ეწერება

ცალკე კაცებისთვის და ცალკე ქალებისთვის რა შედეგებს მოიტანს კონკრეტული პროგრამა. ეს ბიუჯეტის ყველაზე კარგი ფორმაა“.

❖ **ეფექტური ახალგაზრდული პოლიტიკა**, როგორც ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულება, ფოკუს-ჯგუფის ზოგიერთი წევრის აზრით, ასევე არ არის დღის წესრიგში.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე გოგონებმა გამოკვეთეს საჭიროება იმ კუთხით, რომ მუნიციპალიტეტში არ არის ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობა. მათ მოწონებას იმსახურებს სტაჟირების პროგრამა საჩხერის საავადმყოფოში, სადაც სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ კვალიფიკაცია. ისინი ისურვებდნენ, რომ ამ პრაქტიკას სხვა დაწესებულებებმაც მიზამონ.

ახალგაზრდებს აქვთ ხედვა, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა ჩადოს ინვესტიცია განათლებაში. „*კარგი იქნება თუ ბავშვებს, რომლებიც წარჩინებით ამთავრებენ სკოლას და არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ სწავლა გააგრძელონ, თუ დაეხმარება თვითმმართველობა და მუნიციპალიტეტი*“. ისინი ამ საკითხში გენდერული მიდგომის აუცილებლობასაც ასახელებენ: „*კარგი იქნება, თუ იმის შესაძლებლობა იქნება, რომ თვითმმართველობამ დაუწესოს სტიპენდია სტუდენტ გოგონებს, რომლებსაც შვილები ჰყავთ*“. ამ მოთხოვნის საფუძველია ის, რომ ხშირად გოგონები სწავლას თავს ანებებენ იმის გამო, რომ ვერ უთავსებენ ერთმანეთს ოჯახს, სწავლას. მათვე აქვთ ინიციატივები ქალების, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. „*მცირედი თანხითაც რომ ეხმარებოდეს მუნიციპალიტეტი, მაგ. ძაფების შეძენისათვის და ა.შ. ექნებოდა შესაძლებლობა, რომ გაეფართოვებინა თავისი ნიჭი და საკუთარი თავი შეენახა*“.

❖ **რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის საჭიროება** - ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე ითქვა, რომ ქალებს აქვთ საჭიროება რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, ეს გამოვლინდა გუბერნატორის ინიციატივით პერევეში ჩატარებულ სამედიცინო-პროფილაქტიკურ აქციაში, სადაც ქალბატონებმა გინეკოლოგის უფასო მომსახურებით ისარგებლეს.

❖ ქალებს ერთეულ შემთხვევებში აქვთ **სამოქალაქო ინიციატივები**, რომელიც მოკლევადიანი სოციალური დაცვის პრაქტიკის არაეფექტურობას უსვამს ხაზს: „*მე მოვისმინე შშმ პირთა საბჭოს სხდომაზე, რომ შშმ ბავშვების მშობლებმა თქვეს უარი წელიწადში 100 ლარის ოდენობის დახმარებაზე და სანაცვლოდ ითხოვდნენ სამედიცინო მომსახურებაზე დახმარებას*“.

❖ **ინსტრუმენტები და მექანიზმები გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობისთვის** - ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე გარკვეული დრო დაეთმო საუბარს ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს, რომლებიც ადგილობრივ დონეზე გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის ხელშეწყობას ემსახურება. მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა გადადგას ნაბიჯი პროგრამული ბიუჯეტის დასაწერად, რომელიც უჩვენებს ბენეფიციართა კატეგორიას, განსაზღვრულ რესურსებს, იძლევა პროგრამების ეფექტურობის შემოწმების საშუალებას.

გარდა ამისა, მონაწილეთა აზრით „*მნიშვნელოვანი იქნება გენდერული პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდეს. ეს დოკუმენტი უნდა ემყარებოდეს კვლევებს, ფოკუს-ჯგუფებს, სადაც მკაფიოდ გაიწერება ფოკუს-ჯგუფების შედეგებიდან გამომდინარე საჭიროებები*“.

დასკვნები

საჩხერის მუნიციპალიტეტში ქალთა ჯგუფებთან ჩატარებული კვლევით შესაძლებელი გახდა გარკვეული დასკვნების გაკეთება, რის საფუძველზეც გამოიკვეთა სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები:

➤ ქალბატონების მიმართ ადგილობრივი ზრუნვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია გამართული სოციალური ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელშიც უმთავრესია სკოლამდელი განათლების სერვისის ხარისხი. აუცილებელია ბაგის ასაკის აღსაზრდელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვა აღსაზრდელთა ასაკობრივ-ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

➤ ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებები განაპირობებს შშმ პირთა მიმართ მათი ღირსებისა და პატივის გამომხატველი ღონისძიებების გატარებას, მათთვის არაფრაგმენტული, არამედ ბოლომდე ადაპტირებული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას. შშმ პირთა ყოფითი საჭიროებების მოგვარება და ამასთანავე დასაქმების ოპტიმალური გარემოს ხელშეწყობა ადგილობრივი პოლიტიკის ღირსების საკითხად უნდა იქცეს.

➤ ფოკუს-ჯგუფმა თვალსაჩინო გახადა ქალთა ჯგუფების ხედვა ერთჯერადი დახმარებების არაეფექტურობის თაობაზე და მოწყვლადი ჯგუფების უფრო გრძელვადიანი სოციალური ინტეგრაციის პროგრამებზე. წარმოდგენილი იყო ხანდაზმულთა სადღეღამისო ცენტრის იდეა, რომელიც არაერთ ბენეფიციარს შეუქმნის სასიცოცხლო გარემოს.

➤ კვლევამ გამოკვეთა ქალთა რეპროდუქტიული ჯანმრთელობის, ორსული და მეძუძური ქალების დაცვის ადგილობრივი ღონისძიებების აუცილებლობა. საჭიროა, ადგილობრივი საბიუჯეტო პოლიტიკა და პრაქტიკა ორიენტირებული გახდეს ამ სენსიტიური საკითხის მხარდაჭერაზე.

➤ არსებობს საჭიროება, თვითმმართველობამ დაინახოს განათლებაში ინვესტიციის ჩადების აუცილებლობა, განსაკუთრებით - გენდერული ვექტორით: სასურველია ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა, განსაკუთრებით იმ სტუდენტთა გოგონების დახმარება, რომელთაც ჰყავთ პატარა შვილები, რადგან არსებობს ნეგატიური პრაქტიკა, რომ ისინი ერთმანეთს ვერ უთავსებენ განათლებას და საოჯახო ფუნქციებს და ხშირად ამის გამო თავს ანებებენ სწავლას.

➤ ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა, ხშირად, ნაკლებად მგრძნობიარეა იმ კატეგორიის მოქალაქეების მიმართ, ვინც არ არის სოციალურად დაუცველთა ბაზაში, მაგრამ მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ისეთივე გაუსაძლისია, როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა. ფაქტია, რომ ადგილობრივი სოციალური პაკეტების უდიდესი ნაწილი „მიზნულია“ სოციალურად დაუცველთა ბაზებზე. ამიტომ ეს კატეგორია ვერც ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამებით სარგებლობს. სოციალური სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელია, ადგილობრივ სოციალურ პოლიტიკაში გათვალისწინებული იყოს ასეთი ოჯახების დახმარება.

➤ კვლევის მონაწილეების პოზიციებით, ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ვექტორი მიმართული უნდა იყოს ქალების გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისკენ, შესაბამისი საკონსულტაციო სერვისის დანერგვისკენ. ამისთვის აუცილებელია შრომის ბაზრის კვლევა და ადგილობრივი რენტაბელური დარგების

განსაზღვრა, რომელშიც შეიძლება ქალბატონების დაკავება. კვლევით გამოჩნდა, რომ ბევრ მათგანს აქვს საჭირო მოტივაცია, უნარ-ჩვევები, მაგრამ საჭიროებს სათანადო გარემოს, გადამზადების სპეციალურ პროგრამებს, რათა მოხდეს მათი პოტენციალის რეალიზება. მიზანშეწონილად თვლიან, ამ მიმართულებით პოლიტიკურმა სუბიექტებმა მოახდინონ სერიოზული გარღვევა.

➤ ჩატარებული კვლევით თვალსაჩინო გახდა იმ ინსტრუმენტებისა და მექანიზმების დროული ამოქმედების საჭიროება, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილებზე გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის დანერგვას. ქალთა ჯგუფები მიიჩნევენ, რომ მუნიციპალიტეტების დროული გადასვლა პროგრამულ ბიუჯეტზე შესაძლებელს გახდის პროგრამების ეფექტის და ბენეფიციარებზე (ქალზეც და კაცზეც) მომხდარი გავლენის უკეთეს შეფასებას. გენდერულ დღის წესრიგზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფა და მათი სათანადო კომპეტენციით აღჭურვა, გენდერული ბიუჯეტის პრინციპის დანერგვა, ამ საკითხში კვალიფიციურ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალების თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ პოლიტიკაში - ეს არის საკითხები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

კვლევის ძირითადი მიგნებები

ტყიბულის მუნიციპალიტეტში ქალთა ჯგუფების გენდერული საჭიროებების კვლევამ გამოკვეთა, რომ ქალებისა და მათი ოჯახების აბსოლუტური უმეტესობა ელემენტარული საარსებო წყაროების უზრუნველყოფის საჭიროების წინაშე დგას. განსაკუთრებით აქტუალურია, ერთი მხრივ, ძლიერი სოციალური პროგრამების ამოქმედება და, მეორე მხრივ, ქალთა სამეწარმეო საქმიანობის, განსაკუთრებით მიკრო და მცირე ბიზნესის დაწყებისა და განვითარების ხელშეწყობა. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, წყლით და გაზით უზრუნველყოფა, სამგზავრო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და ა.შ.

❖ ქალებისთვის ერთ-ერთ ყველაზე საჭირო პრობლემად **სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა და ხარისხი** დასახელდა. გამოიკვეთა ისიც, რომ ამ კუთხით მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლები ერთნაირ პირობებში არ იმყოფებიან. ერთი ჯგუფი წუხს იმის გამო, რომ რთულია გრაფიკზე დამოკიდებულება, რადგან ეს წყალზე ხელმისაწვდომობის გარანტიას არ იძლევა; მცირე გამონაკლისი აფიქსირებს, რომ მათთან წყლის 24 საათიანი მიწოდებაა, მაგრამ ქალების საკმაოდ დიდ ჯგუფი აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტის უმეტეს ტერიტორიაზე მოსახლეობა წყაროს წყალს მოიხმარს, რაც სპეციალისტების აზრით, არ აკმაყოფილებს სასმელი წყლის სტანდარტებს.

❖ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღიარებენ, რომ წყლის მიწოდება უფრო ნორმალური იქნებოდა, რომ მოსახლეობა თვითნებურად არ აკეთებდეს დაერთებას და სარწყავად არ იყენებდეს. მათი აზრით, გამოსავალია დროული გამრიცხველიანება, რომელიც ფრაგმენტულად ხორციელდება.

❖ ქალბატონები გამოთქვამენ წუხილს მოუწესრიგებელი საგზაო ტრანსპორტის გამოც. „შვილის ნახვერის შემდეგ ქალაქში მოძრაობა, პრაქტიკულად, არ არის და სოფლებთან 5 საათის მერე. ტაქსების დაქირავება უწევს მოსახლეობას“.

❖ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ეხებიან **სოციალური ინფრასტრუქტურის საკითხს**. მართალია, ქალები კმაყოფილებას გამოთქვამენ სკოლამდელი განათლების სერვისის მდგომარეობით, შუადღეს ბავშვების დაძინების საკითხიც მოგვარებულია, მაგრამ წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბაღების გაზიფიცირება არ მომხდარა. არის ერთეული შემთხვევები, როცა რეგიონალურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაამონტაჟეს მზის კოლექტორები, მაგრამ ეს გათბობისთვის საკმარისი არაა. თბებიან უმეტესად შეშით. „შეშა კი არის, მაგრამ რომ დაუბერა ქარმა, ეს ბავშვები დაახრჩო ლამის კვამლმა“.

❖ ტყიბულის მუნიციპალიტეტში ქალები, გარკვეულწილად, ჩართული არიან **მართვაში**. ჩანს მათი საქმიანობა თვითმმართველობის ორგანოებში, მაგრამ ქალბატონები ისურვებდნენ, რომ უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული ქალების რესურსი. ეს ეხება მუნიციპალიტეტის საჯარო მმართველობის სფეროსაც და საარჩევნო პროცესებსაც. ქალები არჩევით თანამდებობებზე ნაკლებად გვხვდებიან. „როგორც საკრებულოს წევრები - ნაკლებად. საკრებულოში ორი ქალბატონია, 25-დან - 2“. როგორც გაირკვა, მათი პოლიტიკური აქტიურობა თვალსაჩინოა. ქალების აქტიურობა იგრძნობა გამგეობაშიც. რესპონდენტების შეფასებით, სწორედ მათი ინიცირებულია ახალი სერვისები და აქვთ ბევრი ახალი იდეა: „*აქტიური ქალია და ბევრი ინიციატივები აქვს თავის სფეროში. ახლა იყო ახალშობილთა პროგრამა, „სოციალური სამრეცხაოც“ მათი პროექტი იყო*“. „*შინ მოვლის სერვისი უნდოდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. არადა არიან მოხუცები, ვისაც ესაჭიროებათ ეს სერვისი*“.

მათი პრინციპული მოთხოვნაა, კადრების შერჩევის დროს გადაწყვეტი იყოს არა პარტიული კუთვნილება, არამედ კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი. საპირისპირო მიდგომა იწვევს პესიმიზმს, ნიჰილისტურ განწყობას, რაც აუცილებლად აისახება ადგილობრივ პოლიტიკაზე.

❖ კვლევის დროს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის „აქილევსის ქუსლად“ იქნა შეფასებული გაჭირვებული ოჯახებისთვის **სახელმწიფო შემწეობების** მოხსნის საკითხი, რომელიც მათი უკიდურესი სიღატაკისთვის გამეტებას ნიშნავს. ქალბატონების აზრით, ადგილობრივი პოლიტიკოსების უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს ამ კუთხით სოციალური სამართლიანობის აღდგენის ხელშეწყობა.

❖ თავის დროზე სოციალური სოლიდარობის ნიშნით დაწყებული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც **სადარიბის ზღვარს მიღმა** მყოფი ოჯახების დახმარებას ითვალისწინებდა, უზარმაზარი ვალდებულებებით დაიტვირთა და ეკონომიკური აღმავლობის მუხრუჭად იქცა. გაჩნდა ე.წ. „სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულების სინდრომი“, რომელიც განსაკუთრებით შრომისუნარიან მოსახლეობაზე აისახება ნეგატიურად. „*ძალიან ბევრისგან გამიგია, არ მუშაობენ ახალგაზრდებიო, ბიჭო რატომ არ მუშაობთო, რომ ვკითხეო (საწირეზე ვამბობ), რატომ და დახმარებას ვიღებთო და 200 ლარიან სამსახურზე მეტი არ არის და ამდენი ისედაც შემომდისო დახმარებითაც*“. „*გაოგნებული ვარ, ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე იღებს სოციალურ დახმარებას*“.

❖ კვლევამ თვალსაჩინო გახადა **შიდა და გარე მიგრაციის საგანგაშო მასშტაბები**, დაცლილი ან მოხუცების ანაბარა დარჩენილი სოფლები, სკოლებში მოსწავლეების განახევრებული

რაოდენობა. ფოკუს-ჯგუფზე გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდა ქალბატონები თანატოლების უპერსპექტივობის განცდას ხედავენ: *სასწავლებლად წასული ახალგაზრდები ნაკლებად ბრუნდებიან უკან, „ცუცხვათში, ორპირში, კოკაში - ძალიან მძიმე მდგომარეობაა. საწირეში - თავისთავად. თუ მოხუცებია ოჯახში, მოხუცი დედა, ვთქვათ, შვილი ყარაულობს, როდის გარდაიცვლება, რომ გადაკეტოს კარები, წავიდეს. ბავშვები ძალიან ნაკლებად მხვდება ოჯახებში. არიან ჯოხიანი მოხუცები, ვინც მიტოვებული ყავთ, ფაქტიურად“.*

❖ ქალებისთვის საჭირობოროტო საკითხებზე საუბრისას კვლევის მონაწილეები აღიარებენ მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის საგანგაშო მასშტაბებს. ქალბატონების მტკიცებით, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მაგალითები გამგეობაშიც იყო. *„ქალზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ, „ნაციონალების“ „მაიკა“ რომ არ ჩაიცვა. ქალი რომ იყო, იმის გამო „ერეოდნენ“. როცა ადამიანი ინტელექტუალურია, თავისი საქმე იცის, იქ „პარტიულობა“ არ უნდა იყოს“. სხვებიც მკაცრად აკრიტიკებენ ასეთ მიდგომას და ითხოვენ, „პარტიული ნიშნით არ უნდა ირჩეოდეს კადრები“.*

❖ ქალბატონები ერთხმად აღნიშნავენ, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალთა ეკონომიკური აქტივობის პროგრამებს და იმ ქალბატონების გამოცდილების მულტიპლიცირებას, ვისაც ამ კუთხით საკმაო გამოცდილება გააჩნია. მათი მტკიცებით, ისინი ისურვებდნენ, რომ ქალი უფრო აქტიური იყოს ადგილობრივ მეწარმეობაში: *„ვერც ვიფიქრებდი, ცუცხვათში მშვენიერი სილამაზის სალონი გახსნა ქალმა და ძალიან კარგად მუშაობს. ქვრივი ქალბატონია, ამბობს, „რა მეუნა, ორი შვილი როგორ მერჩინაო“. „ახალგაზრდებში შიში უფროა. ჯერ ის ვერ დავაჯერე, რომ ვიღაცა გჩუქნის, ოღონდაც შენ რამე გააკეთო“. მათი სურვილია, ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე იყოს გადაწყვეტილი, მეტი იყოს მსგავსი პროგრამების პოპულარიზაცია.*

❖ **სოციალური დაცვის მექანიზმების დეფიციტი** - ქალბატონები ხაზს უსვამენ იმას, რომ სახელმწიფო, ერთი კუთხით, სთავაზობს ეკონომიკური განვითარების პროგრამებს, მეორე კუთხით ვერ სთავაზობს სოციალური დაცვის მექანიზმებს, რის გამოც ბევრი შიშით და უნდობლობით უყურებს საკითხს, ბევრს ეშინია, რომ მოუხსნიან სოციალურ დახმარებას.

❖ **გენდერული თანასწორობის მექანიზმები** - ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების ქალების მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმებზე დისკუსია მოწმობს, რომ მათ სურვილი აქვთ, ეს ინსტიტუტები სახელმწიფო დონეზე დაინერგოს. მათთვის რესურსს წარმოადგენს *„გენდერული თანასწორობის საბჭო“*, მაგრამ აღიარებენ, რომ *„მარტო გენდერული საბჭო ვერაფერს იზამს, თუ არ იქნა ნება ადგილობრივი ხელისუფლების“*. ამისთვის საჭირო განათლების აუცილებლობასაც მიუთითებენ: *„უნდა ჩატარდეს ტრენინგები“, მაგრამ ყველაზე ღირებული, მათი აზრით, არის სათანადო მექანიზმების ადგილებზე დანერგვა: „თვითონ სოფლის დონეზე უნდა იყოს. უკეთესია, სოფელში შეიქმნას ქალთა საბჭო. ქალაქიდან მართვა ცოტა რთულია. მათ უფრო იციან საკუთრი პრობლემების შესახებ. უფრო ეფექტური იქნება, ჩვენ რომ შევიკრიბებით საწირეში, იქაურები“.*

❖ ქალბატონები გამოთქვამენ წუხილს იმის გამო, რომ **იზრდება პესიმიზმი**. მუქარაც ესმით, რომ არჩევნებზე არ მივა ბევრი, მაგრამ თვლიან, რომ ხშირად, ეს უფრო - რიტორიკაა.

❖ ზოგიერთ მათგანს მოჰყავს ფაქტები, რომ კადრების შერჩევისას ნეპოტიზმი ბატონობს: *„სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ვარ, გამოაცხადა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თბილისში, ჩავაბარე გამოცდა, ჩავედი. მალაპარაკეს იმდენი, „თქვენნაირი კადრი*

გვჭირდებაო“; მეთქი - ტყიბულში დამნიშნავენ კი არა - სამინისტროში წამომიყვანენ. მომივიდა უარი, ვერ მოაგროვეთ ხმებიო. დანიშნეს ქართულის მასწავლებელი, ფილოლოგი“.

დასკვნა

- მზრუნველი ადგილობრივი პოლიტიკის პირობებში მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია მაქსიმალური ინფორმირება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებულ შესაძლებლობებზე და სახელმწიფო პროგრამებზე, ბიზნეს-უნარებისა და მარკეტინგული ტექნოლოგიების საბაზისო განათლების მიცემა, რაც ადგილობრივ დონეზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი.
- ქალთა ჯგუფების დაკვეთა ადგილობრივი პოლიტიკის წვლილი იმ საკითხების დროულად მოგვარებაში, რაც პირდაპირ არ შედის მის კომპეტენციაში, მაგრამ შეიძლება გახდეს თანამშრომლობის თემა სხვადასხვა კერძო კომპანიასთან. მაგალითად - სასმელი წყლის ხარისხიანი მიწოდება, გაზიფიცირება და მოქალაქეების საუკეთესო ინტერესების დაცვა ამ საკითხების დროულად მოგვარებისთვის.
- გამოიკვეთა ქალების საარჩევნო გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციებში მუშაობის მოტივაცია, რაც ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტების მიერ აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული თვითმმართველობის არჩევნების დროს.
- საბიუჯეტო რესურსები უფრო ხანგრძლივი და გრძელვადიანი ეფექტის პროგრამების დასაწერად იქნეს მიმართული და საკითხის არაპოპულარული ჟღერადობის მიუხედავად, პოლიტიკოსებმა აიღონ პასუხისმგებლობა არსებული მიდგომების შეცვლაზე.
- ადგილობრივი პოლიტიკის ამოცანა უნდა გახდეს მიგრაციის მიზეზების შესწავლა, უმძიმესი დემოგრაფიული სურათის შეცვლის და ახალგაზრდა ოჯახების ხელშეწყობის არა პოპულისტური განცხადებები, არამედ მდგომარეობის შეცვლის რეალური პროგრამები, მათ შორის ე.წ. „მთის კანონის“ კრიტერიუმების გადახედვის მოთხოვნა.
- საჭიროა, არსებული გენდერული თანასწორობის მექანიზმის ინსტიტუციურ განვითარებას, ამ საკითხებში ადგილობრივი პოლიტიკოსების კომპეტენციის გაზრდას, რათა მოხდეს სათემო ჯგუფებიდან წამოსული ქალთა ინციატივების მხარდაჭერა, ქალების გაძლიერება, მათი სხვადასხვა ტიპის უსაფრთხოების დაცვის გარანტიების შემუშავება.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

კვლევის ძირითადი მიგნებები

ქალთა საჭიროებების კვლევის ფარგლებში ქუთაისში ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფმა წარმოაჩინა სხვადასხვა კატეგორიის ქალბატონების გენდერული საჭიროებები და მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ვერ გამოიკვეთა ყველა გენდერული ჯგუფის (ახალგაზრდა ოჯახები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, მცირე მეწარმეები, სოციალურად დაუცველთა სხვადასხვა კატეგორიები) პრობლემები, მიღებული მასალა საკმაოდ საფუძვლს იძლევა იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს კვლევის ძირითადი მიგნებები, გაკეთდეს დასკვნები და სარეკომენდაციო წინადადებები.

გამოკვეთილ პრობლემათა შორისაა: წყალმომარაგების კუთხით არსებული ხარვეზები; სკოლამდელი განათლების სერვისის ხარისხის და ხელმისაწვდომობის საკითხი; ქალების დაბალი ჩართულობა; ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიმართ ადგილობრივი ზრუნვის პოლიტიკის არარსებობა; მოწყვლადი ჯგუფების მიმართ მეტი ზრუნვის პოლიტიკის განხორციელება; გარემოსდაცვითი პრობლემები და სანიტარული ნორმების დარღვევა; გენდერული პოლიტიკის რეალიზების მექანიზმების დანერგვა; დასაქმებული ქალების შრომითი უფლებების დაცვა; ქალების რეპროდუქტიული შრომის პატივისცემა და წახალისება.

❖ ქალების მხრიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან გენდერულ საჭიროებად დასახელდა **ქალების მეტი მონაწილეობა თვითმმართველობაში**. ეს სასარგებლო იქნება არა მხოლოდ ქალთა ჯგუფებისათვის, რომელთაც ეყოლებათ თავისი წარმომადგენელი, ვინც შეძლებს მათი საჭიროებების მიტანას ადგილობრივ დონეზე და მათი ინტერესების წარმოდგენას. არამედ იმიტომაც, რომ თვითონ ადგილობრივი პოლიტიკა გახდება უფრო მრავალფეროვანი და სოციალურად ორიენტირებული, რადგან ქალი პოლიტიკაში მიდის საკუთარი უნივერსალური გამოცდილებით, ხედვით და რესურსით, რომელიც განსხვავებულია მამაკაცის ხედვისაგან.

❖ ქუთაისის სინამდვილეში ქალების მიერ ხაზგასმულად გამოიკვეთა **გენდერული საჭიროება სკოლამდელი განათლების სერვისის გაუმჯობესების საკითხში**. აქ სახეზეა პრობლემების რამდენიმე შრე, რომელთა ერთობლიობა არის ხელისშემშლელი ფაქტორი როგორც ოჯახების კეთილდღეობის; ქალების რეალიზაციის შესაძლებლობის და თვითონ სექტორში ქალების დასაქმების კუთხით.

სამწუხაროდ, დღემდე უცნობია სერვისის გარეთ დარჩენილი ოჯახების და ბავშვების ზუსტი რაოდენობა; სახელმწიფო ბალებში ჯგუფები კრიტიკულად გადატვირთულია, ბავშვების ნაწილს არ აქვს შუადღეს დაძინების საშუალება; გაუმჯობესებას საჭიროებს ინფრასტრუქტურა, პედაგოგების კვალიფიკაცია; დასაქმებული დედები აყენებენ ბავშვების ჯგუფების საჭიროების საკითხს; სუსტად ხდება კერძო ბალების სერვისის მხარდაჭრა სახელმწიფოს მიერ და არ არის გააზრებული, რომ ეს არის მოქალაქეებისთვის სერვისის მიწოდების ყველაზე მარტივი, სწრაფი და იაფი გზა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სფეროს სუფსიდირება მოხდება. გარდა ამისა, ეს ქალების კერძო ბიზნესის განვითარების და მათი დასაქმების შესაძლებლობაა.

სკოლამდელი განათლების პედაგოგების კომპეტენციის საკითხი არაერთხელ დამდგარა, მაშინ, როცა ნამდვილად არ არის კადრების დეფიციტი. ბალებში ხშირად მუშაობს არაკომპეტენტური მასწავლებელი.

ითქვას ასევე, რომ არის დაკვეთა ბავშვების სერვისზეც და კარგი იქნება, თუ ბაღის ასაკი უფრო ქვემოთ დაიწევს. *„კერძო ბაღში თუ შეიძლება მიხედონ ერთი წლის ბავშვს, რატომ არ შეიძლება სახელმწიფო ბაღშიც იგივე იყოს. მაგრამ რაოდენობა ისედაც გადატვირთულია, შტატის ნაკლებობას განიცდიან და აგრეთვე ფინანსების სიმცირესაც, რადგან ბავშვს სხვა სტანდარტები სჭირდება“.*

არასახელმწიფო ბაღების საქმიანობის პოზიტიურ ნიმუშად იქნა მოყვანილი „SOS“ ბავშვთა სოფლის დღის ცენტრის საბავშვო ბაგა-ბაღი, რომელსაც გერმანელები აფინანსებენ და

„ოჯახის გაძლიერების პროგრამის“ ფარგლებში მუშაობს. ის, ძირითადად იმ ოჯახებს ემსახურება, სადაც დედები მუშაობენ და ამით ხდება მათი ხელშეწყობა. ქალები საჭიროდ მიიჩნევენ ასეთი პოზიტიური პრაქტიკის დანერგვას სახელმწიფოს მიერ, რადგან დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა დედები ხაზს უსვამენ დიდ დისკომფორტს, რომელიც ყოველ დილით ექმნებათ ბაღებსა სამსახურს შორის: „ქალს არ უნდა ემინოდეს, რომ შვილის გაჩენა სამსახურის დაკარგვის ფასად დაუჯდება“.

❖ კვლევის დროს გამოიკვეთა ქალების საჭიროება **თვითმმართველობასთან მეტი კომუნიკაციისა და ინფორმირებულობის კუთხით**. როგორც გაირკვა, მათ ხშირად არ მიუწვდებოდათ ხელი მათთვის საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციებზე, არ იცნობენ ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამებს და უჭირთ თვითმმართველობას მიაწვდინონ ხმა საკუთარი საჭიროებების თაობაზე.

❖ ქალებთან ჩატარებულმა მუშაობამ თვალსაჩინო გახადა, რომ თვითმმართველობის პროგრამებში ჯერ კიდევ არ არის ასახული სხვადასხვა **მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები**, მათ შორის ახალგაზრდა ოჯახების, მარტოხელა დედების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლების და ა. შ. დისკუსიის მონაწილე, **ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა ქალბატონმა** დაზარალებულების მდგომარეობაზე, მათი დაცვის კუთხით არსებულ ხარვეზებზე ისაუბრა. გაიხსენა მერიის პასუხისმგებელი თანამშრომლისგან გამოვლენილი უსულგულობა. ამ ქალების საჭიროება არის, პირველ რიგში, სახელმწიფო სერვისების არსებობა, ფსიქოლოგიური დახმარება.

❖ გამოიკვეთა ქუთაისში არსებული სახელმწიფო თავშესაფრის ბენეფიციარების საჭიროებები, რომლებიც თითქმის უზრუნველყოფილი არიან გარკვეული მომსახურებით, მაგრამ თვითმმართველობის ზრუნვას მაინც საჭიროებენ.

გამოითქვა გულისტკივილი იმის გამო, რომ სხვა მუნიციპალიტეტებთან ახერხებენ თანამშრომლობას იმ შემთხვევებში, როცა ძალადობის მსხვერპლისთვის ბინის დაქირავება ხდება საჭირო, ქუთაისში კი ყოველთვის არის პასუხი, რომ ამისთვის არ არის თანხები. დისკუსიის მონაწილეებმა გაიხსენეს არასამთავრობო სექტორის ინიციატივები, რომელიც შეეხებოდა ქუთაისში სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების კრიტერიუმის განსაზღვრას, რომლის დროსაც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლი ქალები, რომლებმაც დატოვეს თავშესაფარი. გამოითქვა წუხილი, რომ თვითმმართველობა არ არის სენსიტიური ამ ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის მიმართ. ამ დროს კი მას კანონმდებლობა ავალდებულებს დასახოს ღონისძიებები ძალადობის პრევენციის, მსხვერპლის დახმარების საკითხში.

❖ ქუთაისის სინამდვილეში ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის მიერ არაერთხელ იყო გაჟღერებული რეკომენდაცია თვითმმართველობის წინაშე **ქალების რეპროდუქტიული შრომის წახალისების** თაობაზე. გენდერული საჭიროება, რომელიც აქვთ უმწეო მოხუცების, შშმ პირების მომვლელ ქალებს, რომლებიც იძულებული არიან უარი თქვან სამსახურზე, პიროვნულ და პროფესიულ რეალიზაციაზე, არ უნდა იყოს იგნორირებული თვითმმართველობის სხვადასხვა სამსახურების მხრიდან და საჭიროებს უფრო გულისხმიერ და მზრუნველ დამოკიდებულებას.

❖ ქალების ადგილობრივ საჭიროებებზე საუბრისას გამოიკვეთა უმწვავესი პრობლემა აგრარულ ბაზარში, სავაჭრო ობიექტებში საკვები პროდუქტების უვნებლობის,

პროდუქტების რეალიზაციისას **სანიტარული ნორმების** დაცვის თვალსაზრისით. საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში, მაგრამ არ იყო გამოვლენილი პოლიტიკური ნება შესაბამისი სამსახურების საქმიანობის მოცულობის, ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გასაზრდელად.

❖ ქალების გულისტკივილი იყო ქალაქში **არქიტექტურული ნორმების დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების** კრიტიკული რაოდენობა, რომელთა ნებართვების გაცემა ხდება მოსახლეობის, კვალიფიციური სპეციალისტების პოზიციების სრული იგნორირებით.

❖ კვლევის დროს დაფიქსირდა მონაწილეების შემფოთება ოჯახების სახელმწიფო შემწეობებზე დამოკიდებულების ზრდასთან და, შესაბამისად, მათი სოციალურ-ეკონომიკური სტაგნაციის საკითხთან დაკავშირებით.

❖ გენდერული თანასწორობის მექანიზმების საჭიროებაზე საუბრისას გამოჩნდა, რომ ქუთაისში არსებობს **გენდერული საკონსულტაციო საბჭოს** რესურსი, რომელიც ერთ-ერთი პილოტური იყო რეგიონში და ჰქონდა საუკეთესო პრაქტიკა საჭიროებათა კვლევების დანერგვის, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების თვითმმართველობაში ადვოკატირების, ქალთა ჩართულობის მხარდაჭერის კუთხით. ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტების მიზანი უნდა გახდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებით საბჭოს დაფუძნება, საკონსულტაციო საბჭოს მიერ დაწყებული საქმიანობის გაგრძელება და უდიდესი გამოცდილების მქონე კადრების ჩართვა დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებაში.

❖ ქალების გენდერული საჭიროება არის მათ საჭიროებებზე მორგებული სამუშაო გრაფიკი, რომლის იგნორირება ერთნაირად ხდება სახელმწიფო სამსახურშიც და კერძო დამსაქმებელთანაც.

❖ **გამოკვეთილი გენდერული საჭიროება, რომელიც უმწეო მოხუცების მოვლას უკავშირდება, ქალების გულისტკივილს იწვევს.** „*მე მითხრეს, რომ შინ მოვლის პროგრამები არისო, მაგრამ ვისზეა, ვის ითვალისწინებს, არ ვიცი. ძალიან მწირია ასეთ პროგრამებზე ინფორმაცია. მე არ მინახავს მოსარგებლე, მაგრამ როცა ვკითხულობ თუ არის, მპასუხობენ, კიო*“. ქალბატონები თვლიან, რომ ასეთი სპეციფიკური სოციალური პროგრამების ეფექტი შესწავლილი უნდა იყოს. რამდენად პასუხობენ ისინი ბენეფიციარების საჭიროებებს, რამდენად მოიცავენ ყველა ბენეფიციარს. ამ კითხვებზე პასუხი არ არსებობს გარდა იმისა, რომ „თანხა დაიხარჯა, ათვისებული იქნა“.

❖ გამოითქვა გულისტკივილი, რომ საზოგადოება ნაკლებად ზრუნავს **ხანდაზმულებზე**, მათ ღირსეულ სიბერეზე. მხოლოდ უფასო სასადილო არ არის მათზე ზრუნვა. *უნდა იყოს მოხუცებისთვის გასართობი სივრცე.*

❖ ქალბატონებმა გულისტკივილი გამოხატეს მიგრაციის ძალიან დიდი მასშტაბების მიმართ და დააფიქსირეს პოზიცია, რომ თვითმმართველობას უნდა გააჩნდეს ხედვა ამ ადამიანების რეინტეგრაციისთვის.

❖ **ქალები შეეხნენ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის საკითხს.** ითქვა, რომ ძალიან დიდია უნდობლობა მათ მიმართ და საეჭვოა, ქალებმა ისურვონ მათთან მჭიდრო თანამშრომლობა.

❖ **თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის მაგალითად დასახელდა ის, რომ** - „*ქუთაისმა წელს დაამატა, რომ შშმ პირთა ჩართულობით თუ გააკეთებ პროექტს, აფინანსებს*

და აუტისტი ბავშვები დაამატეს კიდევ. პროექტი ისეთი უნდა გააკეთო, რომ ჩართული იყოს შშმ პირი ან აუტისტი ბავშვი“.

❖ **ქალთა მონაწილეობა თვითმმართველობაში - გამოითქვა გულისტკივილი, რომ** ამ კუთხით ქუთაისში დიდი მიღწევები არ არის, თუმცა თვითმმართველობაში არცთუ ცოტაა ქალების მიერ ინიცირებული საკითხები და მათი ამომრჩეველთან ანგარიშგების მაგალითებიც ბევრად უსწრებს მამაკაცების საქმეებს. კარგი იქნება, თუ მათ საქმიანობას გავაცნობთ ახალგაზრდებს. „თუ ის ქალები, რომლებიც არიან საკრებულოს წევრები, არიან წარმატების მაგალითი, არის ეს ნიშანი იმისა, რომ რადგან იქ მოხვდნენ, ტყუილად არ მომხვდარან“.

ქალებმა გამოთქვეს სურვილი, რომ რომელიმე დაძმობილებული ქალაქის სტანდარტი რომ გადმოვიღოთ, ბევრი მათგანი არის ჩვენზე მდიდარი ეკონომიურად. შემდეგ ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად მოვარგოთ ჩვენს რეალობას, ჩვენი ქალაქის მასშტაბით“. ქალების წარმოდგენით, ყველაზე ღირებული ამ გამოცდილებაში იქნება ქალთა ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის ღონისძიებები.

❖ ქალებმა დაასახელეს ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემები, რომელთა მოწესრიგება მათთვის საჭირო და საშურია: „ზებრა“ გადასასვლელები, როგორც საფრთხის შემცველი მძღოლების დაუდევრობის გამო; ქუჩების ნაწილი, სადაც განათება არ არის და საღამოს ქალაქის სხვადასხვა უბანში ქალებისთვის უსაფრთხო გადაადგილება შეუძლებელია; მიწისქვეშა გადასასვლელები, რომლებიც უფუნქციოდა.

❖ **პოლიტიკური სუბიექტებთან კომუნიკაციის პრაქტიკა** - დისკუსიის მონაწილე ქალბატონების ინფორმაციით, მათი პრაქტიკა ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობისა, უფრო ნეგატიურია, ვიდრე პოზიტიური. როგორც წესი, წინასაარჩევნოდ ეს კომუნიკაცია პიკში შედის. ქალებმა გამოხატეს სურვილი, მედია უფრო აქტიურად ჩაერთოს ქალთა საკითხების გაშუქებაში და ამაში ხელი ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეუწყოს: “პრესაში ან ტელევიზიაში დანერგონ „ქალის საათი“ და იყოს დისკუსია ქალებისთვის დაგროვილი პრობლემების ირგვლივ დისკუსიისთვის“; „დროის შესყიდვა რომ ხდება მერიის მიერ ტელევიზიაში, აი, იქ იყოს საუბარი ყველაფერზე, რაც ქალებისთვის პრობლემურია“.

დასკვნა

➤ პოლიტიკური პარტიების მხრიდან კარგად უნდა იქნეს გაცნობიერებული, რომ ქალთა მეტი ჩართულობის უზრუნველყოფის საკითხი არის არა საერთაშორისო ვალდებულებების „მძევალი“, არამედ ადგილობრივი რეალობით ნაკარნახევი საჭიროება და ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ინსპირატორი.

➤ ქუთაისში თვითმმართველობის არჩევნებისთვის პოლიტიკურ სუბიექტებს გაკეთებული უნდა ჰქონდეთ სფეროში არსებული საჭიროებების და პრობლემების სერიოზული ანალიზი და გათვლები, თუ რა სჭირდება აღნიშნული სფეროს მოწესრიგებას და როგორ აპირებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ესა თუ ის პოლიტიკური სუბიექტი იმ ახალ გამოწვევებზე პასუხის გაცემას, რომელიც მომავალ წლებში ბევრად გამკაცრებული სტანდარტებით განიხილავს სკოლამდელი განათლების მიწოდების ხარისხსა და მოცულობას.

- მოქალაქეებისთვის მიმზიდველი იქნება მმართველობის სტილი, რომელიც ინფორმაციის გაცვლის არსებული სისტემების გარდა ადამიანებს შესთავაზებს უფრო მოქნილ და პასუხისმგებლურ პოლიტიკას იმ რესურსების, პრაქტიკის, პროგრამების შესახებ, რომელთაც მათი კეთილდღეობის ხარისხი უნდა გააუმჯობესონ.
- კანონმდებლობა ადგილობრივ ხელისუფლებას პირდაპირ ავალდებულებს, განახორციელოს ზრუნვის პოლიტიკა ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულთა მიმართ; ძალადობის პრევენციის ღონისძიებები; საინფორმაციო საგანმანათლებლო საქმიანობა. ამ საჭიროებების ჩამონათვალში აუცილებლად უნდა გაჩნდეს თანამშრომლობა ქუთაისში არსებულ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფართან, რომელთა ბინადრების მიმართ თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა მათი სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის. ეს ყველაფერი განმტკიცებული უნდა იყოს საბიუჯეტო ჩანაწერებით. დღის წესრიგში უნდა დადგეს არასამთავრობოთა ძველი ინიციატივა, სოციალურ საცხოვრისში თავშესაფრიდან დაბრუნებული ძალადობის მსხვერპლი ქალბატონების განთავსების თაობაზე.
- პოლიტიკური სუბიექტების მიერ შინ მოვლის პროგრამების ეფექტურობის ობიექტური ანალიზი, სერვისის დახვეწისთვის სხვა მუნიციპალიტეტების პრაქტიკის შესწავლა და წარმატებული პრაქტიკის დანერგვა იქნება მოქალაქეთა ყველაზე მოწყვლად ფენებზე ზრუნვის საუკეთესო გამოხატულება.
- არქიტექტურული ნორმების დარღვევით აგებული შენობა-ნაგებობები ნეგატიურად მოქმედებს პოლიტიკური სუბიექტების პოლიტიკურ იმიჯზე და იწვევს მოქალაქეთა სამართლიან პროტესტს, რაც შესაბამის სოციალურ განწყობებში გამოვლინდება. ქალაქის არქიტექტურული იერსახე უნდა გახდეს პოლიტიკური ძალების ზრუნვის საგანი.
- სოციო-ეკონომიკური სტაგნაციის გამოსავლად დასახელებული იქნა თვითმმართველობის მიერ გრძელვადიანი ეკონომიკური პროგრამების, მაგალითად, ქალთა მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა და ამ კუთხით არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა, საჭირო რესურსების მობილიზება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

კვლევის ძირითადი მიგნებები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარებული ქალთა გენდერული საჭიროებების კვლევის დროს, პირველ რიგში, დასახელებული იყო დევნილი ქალების საყოფაცხოვრებო პრობლემები; სოციალურად დაუცველი ქალებისა და მათი ოჯახების მოწყვლადობის ხარისხის ზრდა; გამოიკვეთა მაწანწალა ძალების საფრთხე ქალების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის; ახალი სოციალური სერვისების საჭიროება; დასახელდა სოციალური პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო თვითშეგნების ამალღების, სწორი ახალგაზრდული პოლიტიკის საჭიროება; ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის ეფექტურობის მექანიზმების დანერგვის საკითხი.

❖ **დევნილი ქალების წლობით გადაუჭრელი საყოფაცხოვრებო პრობლემები** - სოციალურ ინტეგრაციაზე მიმართული სახელმწიფო პროგრამების მიუხედავად, დევნილებს აქვთ არაერთი მოუგვარებელი საყოფაცხოვრებო საკითხი: დევნილთა კოლექტიური ჩასახლების

ადგილებში არ არის დაცული უსაფრთხოების ელემენტარული ნორმები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. მათი პრობლემების ნაწილი ადგილობრივ დონესაც ეხება: დევნილები არ არიან ინტეგრირებული ადგილობრივ დონეზე, მათთვის ადგილობრივ კადრებზე მეტად არის მიუწვდომელი რესურსები, ნაკლებია დასაქმების შესაძლებლობები; ისინი არ არიან წარმოდგენილი ადგილობრივ ხელისუფლებაში, არც არჩევით დონეზე და არც აღმასრულებელ შტოში (იშვიათი გამონაკლისის გარდა).

❖ **სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხები** - წყალტუბოში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ქალების მწვავე საჭიროება, რომელიც მათი და მათი შვილების, ოჯახის დანარჩენი წევრების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება: ეს არის მაწანწალა ძაღლების პრობლემა, რომელთა კრიტიკული რაოდენობა უკვე დიდი ხანია ქალბატონების შფოთვას იწვევს და არაერთხელ გამხდარა თვითმმართველობასთან ადვოკატირების თემა. მოსახლეობა ამბობს, რომ ძაღლები გადმოჰყავთ ქუთაისიდან. ბოლო დროს კი ხონის მუნიციპალიტეტიდანაც დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევები. ისინი ითხოვენ ამ ფაქტის გამოძიებასა და მოგვარებას.

❖ **ქალების დამოკიდებულება მუნიციპალიტეტში არასაკმარისი სამოქალაქო თვითშეგნების საკითხისადმი:** წყალტუბოში მცხოვრები ქალები წინა წლებში ხშირად აყენებდნენ რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობის საკითხს, დედათა და ბავშვთა დასვენებისთვის ხელსაყრელ პირობებს ბაღებსა და სკვერებში, სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის საკითხს პარკში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სკვერების განახლება და ინფრასტრუქტურული გამართვა, თუმცა დღემდე მწვავე პრობლემაა სამოქალაქო თვითშეგნების დაბალი დონე. ხშირია ვანდალური დამოკიდებულება ინფრასტრუქტურისადმი. მართალია, პარკში დგას ვიდეოთვალი, მაგრამ არ ხდება დამნაშავეთა დასჯა, რის გამოც ქალბატონებს ეს არ ესახებათ ქმედითუნარიან მექანიზმად.

❖ **ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალბატონები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია შეფასდეს ადგილობრივი სოციალური პროგრამების ეფექტურობა,** რათა დაინერგოს უფრო გრძელვადიანი სერვისები, ხოლო ზრუნვის პოლიტიკა უფრო მგრძობიარე გახდეს მათ მიმართ, ვინც განსაკუთრებული საჭიროებების მქონეა.

უკიდურესი სიდუხჭირის მიუხედავად, ზოგიერთი მოქალაქე ვერ ღებულობს სახელმწიფო დახმარებას, რადგან ხდება საცხოვრებელი ფართის კვადრატულობის დაანგარიშება (განურჩევლად ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობისა), აღინუსხება პარკეტის ქონა, კომუნალურების გადახდისუნარიანობა და ა. შ. სწორედ ამ მიზეზით მოუხსნეს სოციალური დახმარება ონკოლოგიური ავადმყოფის მომვლელ ქალბატონს. ასეთ შემთხვევებში არის სენსიტიური ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის საჭიროება. მოიყვანეს ზუგდიდის მაგალითი, სადაც ბიუჯეტში დევს მომვლელის ყოველთვიური დახმარება. ხანდაზმულთა უმეტესობა ქალია, და ასევე უმეტესად, ავადმყოფის მომვლელი არის ქალი, რომელიც ამ გარემოების გამო ვერ ახერხებს მუშაობას და არ გააჩნია შემოსავალი.

❖ ქალთა დაკვეთაა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დაინერგოს შინ მოვლის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მომვლელები მიიღებენ ფინანსურ და პირველადი საჭიროების ნივთებით დახმარებას. თუმცა ამ პროგრამის წინაპირობად ქალბატონებს საჭიროებათა კვლევა ესახებათ.

❖ ქალების მიერ დასახელდა პრობლემა, რომ სოციალური დახმარების მოხსნის მიზეზი ხდება შემოსავლის დაფიქსირების ფაქტიც, რის გამოც მოსახლეობა თავს იკავებს სამსახურის დაწყებისგან.

ფოკუს-ჯგუფის წევრებმა გამოხატეს წყალტუბოს ქალთა ჯგუფების დაკვეთა, რომ სოციალური დახმარება გაიმიჯნოს ჯანდაცვის პაკეტისგან. რეალურად, უკიდურესი საჭიროების მქონე ადამიანები რჩებიან სახელმწიფო ზრუნვის პოლიტიკის მიღმა და ვერ იღებენ მათთვის აუცილებელ სამედიცინო დახმარებას.

❖ **საჭიროებათა კვლევის პრაქტიკის დანერგვა** - ქალთა ჯგუფების აზრით, არის კვლევების საჭიროების აუცილებლობა სოციალური პროგრამების დანერგვის პროცესში. „*სოციალურს ჰქონდა ასეთი შემთხვევა შარშან, აღმოჩნდა, რომ ბევრად მეტი იყო ბენეფიციარი, ვიდრე თანხა*“, შედეგად საჭირო გახდა დახმარებათა გაცემის შეჩერება, სანამ არ დადგინდა ბენეფიციართა რაოდენობა.

❖ ქალთა ინიციატივით, რომ ასევე **დაინერგოს მშობელთა ხელშეწყობის პროგრამები**. მათი სურვილია, შრომისუნარიანი მშობლები გადაამზადონ და ხელი შეუწყონ მათ, რომ სახლიდან გაუსვლელად ჰქონდეთ შემოსავალი. „*რეალურად მენ ასაქმებ სამ ადამიანს-ოჯახის წევრს, ვინც აკეთებს რეალიზაციას და ვისთანაც მიგაქვს. ჩემი დაკვირვებით, ეს არაჩვეულებრივად მუშაობს*“.

მართალია, ცერებრალური დამბლით დაავადებულებისთვის წყალტუბოს ბიუჯეტში არის განკუთვნილი გარკვეული თანხა, მაგრამ 18 წელს ზემოთ მყოფი სხვა შშმ პირები რჩებიან სახელმწიფოს ყურადღების მიღმა. ქალთა დაკვეთაა, შეიქმნას სპეციალური საბჭო, რომელიც იმუშავებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე და ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას.

ქალბატონებს ქმედით მექანიზმად ესახებათ სხვადასხვა პროფილის საბჭოები, რათა მათ წარმოადგინონ ამა თუ იმ მოწყვლადი ჯგუფის ინტერესი და გრძელვადიან პერსპექტივაში დასახონ მათი დახმარებისა და გაძლიერების ღონისძიებები, ამით დაეხმარონ თვითმმართველობას.

❖ მუნიციპალიტეტში **არსებული გენდერული საბჭოც ახორციელებს თავის ფუნქციას** - გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობას მუნიციპალიტეტში. სწორედ ამ საბჭოს დამსახურებით, ძალადობის მსხვერპლი ქალბატონი (ოფიციალური სტატუსის მქონე მხოლოდ ერთი ქალბატონია მუნიციპალიტეტში) უზრუნველყოფილია საცხოვრებლით, რომლის ქირის ფულს იხდის თვითმმართველობა.

❖ **ქალების პოლიტიკური მონაწილეობის საჭიროება: მონაწილეობა თვითმმართველობაში.**

ქალების სამოქალაქო ინიციატივები, პოლიტიკური აქტივობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები გამოირჩევიან სამოქალაქო და პოლიტიკური აქტიურობით, რაც გამოიხატება მათ მონაწილეობაში საარჩევნო კომისიებში; თვითმმართველობაში ინიციატივების წარდგენით, პრობლემათა გაჟღერებით, ადვოკატირებით და ა.შ.

ფოკუს ჯგუფის წევრები იხსენებენ, რომ ქალთა ინიციატივით წყალტუბოში განხორციელდა არაერთი პროექტი, მათ შორის: ბიო-ტუალეტების დადგმა, დევნილთა საცხოვრებელთან მისასვლელი ბილიკების გაკეთება. ამ უკანასკნელი ინიციატივის განხორციელებაში აქტიურად იყო ჩართული მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროც.

❖ **ქალთა ჩართულობა სოფლის კრებებში:** რესპონდენტთა თქმით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში მცხოვრები ქალები აქტიურად ერთვებიან თემში გამგებლის წარმომადგენლებთან თანამშრომლობაში - პრობლემების მიწოდებასა და ინფორმაციის მიღების პროცესში .

ფოკუს-ჯგუფზე დაფიქსირდა ქალების მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკური რესურსი მიმართულია იმისკენ, რომ მამაკაცები იყვნენ არჩეული გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე, რის გამოც ფოკუს-ჯგუფში მონაწილენი გამოხატავენ გულისწყვეტას.

❖ **ქალთა საჭიროება - ასაკობრივი ცენზის მოხსნა:** კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ 30-55 წლის ქალბატონები წარმოადგენენ თვითმმართველობისთვის და კერძო სექტორისთვის „უხილავ“ ჯგუფს, რადგან მათთვის არ არის არანაირი პროგრამა, დამსაქმებლები ნაკლებად თანამშრომლობენ მათთან, თვითმმართველობის მხრიდან არ ხდება მცირე ბიზნესის შექმნის იდეის წახალისება, არ არის მათზე მორგებული პროექტები. *„ყველაზე მეტად უნდა ყურადღება 30-55 წლამდე ჯგუფს, რომლებიც ყველაზე კრიზისულ მდგომარეობაში არიან“.*

❖ **ოპტიმალური ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხი :** გენდერული საჭიროებების რანგში ქალები ახალგაზრდების მიმართ სენსიტიური პოლიტიკის აუცილებლობაზე საუბრობენ: ქალები თვლიან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მეტად არიან სტუდენტთა განვითარებაზე მიმართული, შედეგად - წყალტუბოში მცხოვრები ახალგაზრდებიც მათ ნდობას უცხადებენ და ცდილობენ თანამშრომლობას. თუმცა, მათი სურვილია, რომ სახელმწიფო სამსახურებმაც აიღონ თავიანთი წილი პასუხისმგებლობა, დაასაქმონ სტუდენტები სტაჟირების პროგრამებით, ითანამშრომლონ კერძო სექტორთან და ხელი შეუწყონ მათ პროფესიულ განვითარებას.

ასევე ითქვა, რომ ზემოთ აღნიშნული ფუნქციის გარდა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომუშავე არასამთავრობოებს შეთავსებული აქვთ მოსახლეობის ინფორმირების ფუნქციაც. მათი საშუალებით არაერთ ბენეფიციარს მიუღია სარგებელი და ამ პროცესში აუცილებელია აღინიშნოს ქალთა აქტიური ჯგუფების დიდი წვლილი. (დასახელდა ფონდი „სოხუმი“, ადგილობრივი ქალთა ორგანიზაცია „ვაკეთოთ ერთად“, კავშირი „ლიონი“).

❖ **პროფესიული სასწავლებლის აუცილებლობა** - ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა დიდი გულისტკივილია, რომ *„წყალტუბოში სკოლის და ბაღის გარდა არაფერია“*, ამიტომაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები მიდიან ქუთაისში, თბილისში, საზღვარგარეთ და უკან აღარ ბრუნდებიან. მათი თქმით, კატასტროფულ ნიშნულს აღწევს ახალგაზრდების მიგრაცია. აუცილებლად მიაჩნიათ ადგილზე პროფესიული სასწავლებლის არსებობა, რომლითაც ახლომდებარე სოფლებიც ისარგებლებენ. ეს მოაგვარებს როგორც ზემოთ აღნიშნულ პრობლემას, ასევე პროფესიონალი კადრების არ არსებობის პრობლემასაც - *„ყოფილა შემთხვევა, ხელოსანი დასჭირვებიათ და ვერ უპოვიათ, კადრი არ არის“.* პროფესიული სასწავლებლის არსებობასთან ერთად, საჭიროა პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

დასკვნა

- ადგილობრივ პოლიტიკურ სუბიექტებს შეუძლიათ პროდუქტიულად ითანამშრომლონ წყალტუბოში მცხოვრებ დევნილთა ქალთა აქტიურ ჯგუფებთან, რომელთაც აქვთ თემის მობილიზების დიდი გამოცდილება და სამოქალაქო და პოლიტიკური განათლება, კონკრეტული ხედვები ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმალურ მიმართულებებზე.
- საჭიროა, შეიცვალოს მიდგომები სახელმწიფო სოციალურ პროგრამებთან მიმართებით და ადგილობრივი თვითმმართველობა ამ კუთხით უფრო აქტიურად იყოს ჩართული იმისათვის, რომ შეძლოს მოქალაქეების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვა სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, ასევე დანერგოს ადგილობრივი პროგრამები, რომლებიც არ იქნება „მიბმული“ სოციალურად დაუცველის სტატუსზე.
- აუცილებელია, ადგილობრივი ხელისუფლების და სხვა პოლიტიკური ძალების ინიციატივები იმისათვის, რომ დაინერგოს რეგულაციები იმ სოციალურად დაუცველი კატეგორიისათვის, ვინც ეცდება სახელმწიფო დამოკიდებულებისგან გათავისუფლებას და თვითკმარობისკენ სწრაფვას - ეკონომიკური აქტივობებით. (მაგალითად - სახელმწიფო შემწეობის შენარჩუნება რაღაც დროით, საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისების დანერგვა და ა.შ.)
- ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა უნდა გახდეს უფრო მეტად ეფექტური, რაც ნიშნავს ადგილობრივი რესურსების სამართლიან, რაციონალურ დანაწილებას და ამისთვის საჭიროებათა კვლევების დანერგვას, ბენეფიციართა ზუსტი სტატისტიკის შექმნას, ახალი, ინოვაციური სერვისების დანერგვას ყველაზე მოწყვლადი ფენებისთვის (შინ მოვლის სერვისი, ქალთა რეპროდუქტიული შრომის წახალისება (მწოლიარეთა მოვლა, შშმ ოჯახის წევრების მოვლა და ა.შ.))
- მაწანწალა ძალების საკითხი უკვე დიდი ხანია გასცდა ადგილობრივი და მუნიციპალური პრობლემების მასშტაბებს და ლამის ჰუმანიტარული კატასტროფის მასშტაბებამდე აღწევს, ამიტომ ის რეგიონალური და უწყებრივი თანამშრომლობის და პოლიტიკის ხარისხში უნდა იქნეს განხილული.
- ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში მოსვლით უნდა დაიწყოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონკრეტული ღონისძიებების გააზრება და კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამების დასანერგად; პროფესიული განათლების საკითხის დაყენება და მის პოპულარიზაცია.
- ქალების აზრით, პოლიტიკური სუბიექტების არა მხოლოდ რიტორიკა, არამედ რეალურად დანერგილი პრაქტიკა უნდა გახდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებული სტრატეგიის ცხოვრებაში განხორციელება, საბჭოს წევრების გენდერული განათლების უზრუნველყოფა, ბიუჯეტში უკვე არსებული პროგრამების გაგრძელება და ახალი პროგრამების დანერგვა. გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობისთვის ქალთა ჯგუფებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ასევე შშმ პირთა საბჭოს შექმნა.

კვლევის ძირითადი მიგნებები:

ჭიათურის მუნიციპალიტეტში ქალთა ჯგუფებთან ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფმა გამოავლინა რეგიონის ძალიან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური ფონი ქალთა ჯგუფებისა და ზოგადად მოსახლეობისათვის. ჭიათურაში მცხოვრები ქალბატონების გენდერული საჭიროებების ჩამონათვალში პირველადია სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა და ხარისხი; ტრანსპორტი; აგრარული ბაზრის სანიტარული ნორმები; საგზაო უსაფრთხოების საგანგაშო ნიშნული; მაწანწალა ძაღლების პრობლემა; უკონტროლო შიდა და გარე მიგრაცია და ა.შ. **ადგილობრივ პოლიტიკაზე პასუხისმგებლობის ადგბა ქალებისთვის ნიშნავს პასუხისმგებლობას სწორედ ჩამოთვლილი სასიცოცხლო საკითხების მოგვარებაზე;**

❖ ქალების მტკიცე პოზიციით, არსებული მძიმე სოციალური ფონი ქალებზე უფრო ნეგატიურად აისახება, გამომდინარე მათი გენდერული როლებიდან. ყველაზე საჭირობო პრობლემებსა და საჭიროებებზე საუბრისას ისინი ერთხმად გამოყოფენ სასმელი წყლის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის საკითხს. ქალაქში არსებული წყლის გრაფიკი არ არის მორგებული ქალების საჭიროებებს. მეტიც, როგორც გაირკვა, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება 4 დღის განმავლობაში, ზოგან კი, ფაქტობრივად, მანგანუმის ნარეცხი მოედინება მილებში.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა - ქალებისთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების საკითხს პრობლემას უქმნის ძველი ბუნკერები, რომლებიც მღრღნელების და მწერების ბუდედ არის ქცეული. ქალების სურვილია ამ საკითხის მიმართ ერთიანი მიდგომა და სანიტარულ ნორმებზე მკაცრი ზედამხედველობა, დეზინფექცია.

დიდ წუხილს გამოთქვამენ ქალბატონები აგრარულ ბაზარში არსებული ანტისანიტარიის, განსაკუთრებით გარე-ვაჭრობის მოუგვარებელი პრობლემის მიმართ. ამ საკითხში გარკვეული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების არსებობასაც უსვამენ ხაზს: ერთია ის, რომ გარე-ვაჭრობის ნეგატიური ასპექტები არ აქვს გააზრებული არც რეალიზატორს და არც მომხმარებელს.

❖ **მოუწესრიგებელი საგზაო მოძრაობა** - ჭიათურელი ქალბატონების მტკიცებით, ქალაქში უმძიმესი მგომარეობაა საგზაო წესების დაცვის კუთხით, როგორც მძღოლების, ასევე ქვეითად მოსიარულეების მხრიდან. საკითხი თითქმის ყოველთვის დგას დღის წესრიგში, მაგრამ დღემდე ვერ გადაიჭრა: „როგორ შეიძლებოდა, რომ ყველა მხრიდან სკოლას ერტყას ცენტრალური გზა. უკანა მხრიდან აქვს ტყე, რომელშიც ხან ქვები ცვივა და ხან გველები ძვრებიან სკოლაში“.

❖ **საკუთარ პრობლემებზე საუბრობენ მრავალშვილიანი დედები**, რომელთა ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს ბავშვთა გამოკვება და ჩაცმა. ისინი მაღლიერებას გამოხატავენ თვითმმართველობის პროგრამების მიმართ, მაგრამ გულწრფელად აღიარებენ, რომ ეს სრულიად არასაკმარისია მათი მდგომარეობის შესამჩნევი გაუმჯობესებისთვის.

საჭიროება, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა ოჯახების მდგომარეობა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დასაქმებაა.

❖ **სხვა, ასევე მნიშვნელოვანი პრობლემა ქალებისთვის - საზოგადოებრივი ტრანსპორტი:**

„არ გვაქვს ნორმალური შიდა ტრანსპორტი. ის ძირითადად კერძოა. უსამინლესი მდგომარეობაა, კონდიციონერებამდე სანამ „მივალთ“, შიდა მდგომარეობაა ძალიან უსუფთაო, დეზინფექცია სჭირდება“. მოქალაქეებისთვის შეღავათია თვითმმართველობის მიერ სუფსიდირებული საბაგიროს გარკვეული ხაზები, მაგრამ ძირითადი ხაზები შეჩერებულია, მიმდინარეობს დემონტაჟი და უცნობია, როდის ჩადგება მწყობრში.

❖ ქალბატონები დიდი გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ქალაქში არ არის დასვენების და გართობის საშუალება მოზარდებისათვის.

❖ პედაგოგების ძირითადი ნაწილი - ქალებია. ისინი გულისტკივილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ არსებული სოციალური ფონის გამო ნაკლებად აქვთ პიროვნული ზრდის საშუალება: „ვამბობ. ეს ჩვენზე განვითარებული თაობაა. სკოლაში ისეთი ბავშვები მისხედან და ისეთ კითხვას დამისვამენ, რომ მე იმისთვის მზად უნდა ვიყო. ქალაქში კი არ არის არაფერი, რაც დაგვეხმარება ამაში“.

❖ **სპეციფიკური გენდერული პრობლემები და საჭიროებები** - კვლევის მონაწილე ქალბატონები ხაზს უსვამენ სპეციფიკურ გენდერულ საკითხებს, რომელიც მათი აზრით, საჭიროებს სათანადო რეაგირებას და შესაბამის ღონისძიებებს. ერთ-ერთი საკითხია ნაადრევი ქორწინების პრობლემა, რომელმაც ბოლო პერიოდში საგანგაშო ნიშნულს მიაღწია. ქალები აღიარებენ, რომ უნდა იყოს ღონისძიებები საკითხის პრევენციისთვის, თუნდაც რეკლამები. თვითმმართველობის გენდერული სამსახური ატარებდა ტრენინგებს, მაგრამ როგორც აღნიშნეს, მსგავს ღონისძიებებზე არ მოვა ის, ვისაც სჭირდება. საკითხის მიმართ დამოკიდებულების შესაცვლელად ქალბატონებს აუცილებლად მიაჩნიათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები, სპეციალური საგნები სკოლაში.

❖ **რთული მდგომარეობაა სამედიცინო მომსახურების მიღების კუთხით.** განსაკუთრებით მაღაროში მომუშავეთა და მათი ოჯახის წევრებისთვის, რადგან კერძო დაზღვევის გამო მათ უწევთ სამედიცინო მომსახურების მიღება ზესტაფონში. ქალებს ხელი არ მიუწვდებათ გინეკოლოგის მომსახურებაზე, რაც ქალების რეპროდუქციულ ჯანმრთელობას სერიოზულად ემუქრება.

❖ ქალები ასახელებენ ე.წ „ეიჯიზმის“ (ასაკობრივი დისკრიმინაციის ფორმა) შემთხვევებს და თვლიან, რომ ასაკობრივი ცენზის დაწესება ძალიან ხშირია ჭიათურის დასაქმების არსებულ ვაკანსიებზე.

❖ სპეციფიკურ გენდერულ საჭიროებად აღიარებენ ქალბატონები მაწანწალა ძაღლების პრობლემას, რომელიც ქალებს, მათ მცირეწლოვან შვილებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის: „ნაბუთში დადიოდა 14 ძაღლი ერთად, ნაბუთი არის უბანი. შიშით როგორ გამომეშვა ბავშვი გარეთ“. ქალბატონების აზრით, საკითხის მიმართ სისტემური მიდგომა უნდა დაინერგოს, რადგანაც, როგორც მათ აქვთ ინფორმაცია, ეს პრობლემა ბევრ მუნიციპალიტეტში აღწევს საგანგაშო მასშტაბებს.

❖ **ახალგაზრდული პოლიტიკის შეფასება:** ფოკუს ჯგუფის მონაწილეები დიდ გულისტკივილს გამოხატავენ იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტში ვერ ხედავენ გონიერ პოლიტიკას ახალგაზრდების გადინების შესაჩერებლად, მათთვის ოპტიმალური გარემოს შესაქმნელად: „მერე უკვირთ, ქალაქი რატომ იცლებათ. ქალაქი იმიტომ იცლება, რომ მოაზროვნე ბავშვები რომ მიდიან, მერე აღარ უნდათ „ჯოჯოხეთში“ დაბრუნება. ვინც დაგვრუნდით, ვნანობთ იმიტომ, რომ ასი წლით ჩამოვრჩით ცხოვრებას“.

მიუხედავად ამისა, არის პოზიტიური მომენტებიც, რომელსაც აღიარებენ: ხდება წარჩინებული სტუდენტების წახალისება: „წარჩინებულ მოსწავლეებს აჯილდოვებს მუნიციპალიტეტი. მედალოსნები ვინც არიან, 91-ზე მეტი ქულა ვისაც აქვს, მიიღებენ 700 ლარს სემესტრულად მუნიციპალიტეტისგან“.

❖ **ჭიათურის გამოუყენებელი საკურორტო პოტენციალი** - ქალბატონების შეფასებით, ჭიათურაში დიდი საკურორტო პოტენციალია, მაგრამ არ ხდება ამ საკითხის სათანადო დივერსიფიცირება. კაცხის სვეტს მთელი მსოფლიო იცნობს, თუმცა გარდა ამისა, საჭიროა ახლად აღმოჩენილი უნიკალური მღვიმეების სათანადო რეკლამირება. ტურისტული პოტენციალის განვითარებას ისინი პირდაპირ უკავშირებენ ქალებისთვის დამატებითი შემოსავლის გაჩენას, რადგან ამ სფეროში ძირითადად ქალები არიან დაკავებული. ახალგაზრდული საკრებულოს წევრი გოგონების თქმით, ისინი მზად არიან საკუთარი წვლილი შეიტანონ საკითხის პოპულარიზაციაში. „მოსწავლეთა საკრებულო ვცდილობთ, რომ შევექმნათ დაახლოებით „გუგლ მეფის“ სტილის აპლიკაცია, რომ ჩამოსულმა სტუმრებმა ისარგებლონ. იქ იქნება აღნიშნული სხვადასხვა ადგილები, თუნდაც მივიწყებული ტაძრები“.

❖ **ქალების ჩართულობა** - ფოკუს-ჯგუფზე გამოიკვეთა, რომ ჭიათურაში არის ქალთა აქტიური საინიციატივო ჯგუფები: „ჩვენ გვაქვს პერეში საინიციატივო ჯგუფი და რამე პრობლემა თუ არის, 10, 15 თუ 20 ქალი ვახმოვანებთ“. როგორც მათი წარმომადგენელი აღნიშნავდა, საჭიროდ თვლიან თვითმმართველობის ანგარიშგების საკითხის დაყენებას. ქალები აქტიურად არიან წარმოდგენილი მრჩეველთა საბჭოში. ისინი აღიარებენ, რომ მამაკაცებს მეტი პრივილეგია ენიჭებათ დასაქმებისა თუ მხარდაჭერის კუთხით. ერთხმად იქნა აღნიშნული, რომ ძალიან აქტიურია შშმ პირთა თემის ქალები. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალები ხედავენ ქალების პოტენციალს და აქვთ სურვილი, მოხდეს მისი რეალიზება. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ადგილობრივ ქალ ეკონომისტთა პოტენციალზე.

❖ **ქალბატონები საუბრობენ საკუთარ გამოცდილებაზე პოლიტიკურ სუბიექტებთან თანამშრომლობის კუთხით:** „ცდილობენ რომ ქალები ჩართონ, ერთჯერადად მაინც ამ არჩევნებში. თვითონ ქალებიც ვაქტიურობთ. კი, მეტად სასარგებლოა მათთვის ქალების ჩართვა“.

თვითმმართველობასთან კომუნიკაცია მათთვის რიგი ხარვეზების მატარებელია. გამოითქვა პრეტენზია ზოგიერთი გამგებლის წარმომადგენლის მიმართ, რომ სოფლის კრებები არ არის ინფორმატიული და არასაკმარისია მოქალაქეებთან კომუნიკაცია.

❖ **ქალების ხედვა ადგილობრივ სოციალურ პოლიტიკაზე:** კვლევაში ჩართული ქალბატონები ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ იმას, რომ ადგილობრივი კადრების იგნორირება ხდება და დასაქმების კუთხით მათი დისკრიმინაცია სახეზეა.

❖ **კერძო სექტორის მონაწილეობის საჭიროება ადგილობრივ პოლიტიკაში:** ქალბატონებს აქვთ ინფორმაცია, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში „ჭიათურ-მანგანუმის“ მოგებიდან შენატანი ძალიან ცოტაა. მათი მოსაზრებით სწორედ ეს არის მრავალი პრობლემის სათავე.

დიდი გულისტკივილი გამოითქვა იმის გამო, რომ ადგილობრივი ინვესტორი არანაირ სოციალურ პასუხისმგებლობას არ გრძნობს. „წესი უნდა იყოს, რომ თვითონ რომ ამტკვერებს, თვითონვე მორწყას. თვითონ გაასუფთაოს. მე ახლა ფეხით ამოვედი და იმისთანა მტკვერია. წვიმა რომ მოვა კიდევ, ტალახში ჩაეფლობი“.

პრეტენზიები აქვთ წყალმომარაგების კომპანია „ჯი-ემი“, წყალკანალთან, რომელიც ქალაქის ქუჩების გადარეცხვისთვის კომერციული ფასის გადახდას ითხოვს. თვითმმართველობა უძღურია მათთან, რადგან ისინი ვერ გრძნობენ საკუთარ პასუხისმგებლობას.

ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელთაგან ქალბატონები ყველაზე მეტად უმადლიან მეწარმეებს, ვინც კერძოდ მოიპოვებს მანგანუმს. გაიხსენეს არაერთი სოციალური ინიციატივა, რომელიც მათ მიერ იყო ხელშეწყობილი.

კვლევის მონაწილეები ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ რეგიონებისადმი დამოკიდებულების ორმაგ სტანდარტებს. მაგალითად, არის რიტორიკა, რომ რეგიონებს სჭირდებათ მხარდაჭერა და აქეთ გაზის ტარიფის გაძვირება რეგიონებში ბევრად უფრო დიდი მასშტაბით ხდება.

დასკვნა

➤ ადგილობრივი პოლიტიკის დღის წესრიგში აუცილებლად უნდა დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი ინვესტირებთან სოციალურ პარტნიორობაზე დამყარებულმა თანამშრომლობამ მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის. ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალა უნდა მოიაზრობდეს კომპანიების მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მოტივატორად და გარანტად ადგილობრივი მოქალაქეებისათვის, რათა დაცული იქნეს გარემოს დაცვის, ეკოლოგიური და მოქალაქეთა სოციალური უსაფრთხოების ელემენტარული ნორმები.

➤ ჭიათურაში ჯერ-ჯერობით გამოუყენებელია ბოლო პერიოდში გაჩენილი სერიოზული ტურისტული პოტენციალი, რაც პირველ რიგში მიმზიდველია ქალებისთვის, როგორც ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობა. სწორი ადგილობრივი პოლიტიკის შემთხვევაში, გონივრული ინვესტიციების მოზიდვით ეს საკითხი ქმნის უზარმაზარ რესურსებს არა მხოლოდ ადგილობრივი დასაქმებისთვის, არამედ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის.

➤ ადგილობრივი პოლიტიკის გენდერული ნიშნულების გამოსავლენად დიდ მნიშვნელობას იძენს ქალების სამოქალაქო პოტენციალის სწორი გამოყენება. ჭიათურაში არსებობს სერიოზული რესურსი ქალთა აქტიური ჯგუფების სახით, რომელთაც ხელეწიფებათ არა მხოლოდ პრობლემების იდენტიფიცირება, არამედ რიგ შემთხვევებში აქვთ რაციონალური ხედვა ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე. რეგიონში არსებული პოლიტიკური ძალებისთვის ეს საუკეთესო რესურსია მოალაქეთა კეთილდღეობაზე მიმართული საკუთარი პროგრამების რეალიზებისათვის;

➤ მუნიციპალიტეტის და ზოგადად რეგიონის მომავალი დიდწილად არის დამოკიდებული სწორ ახალგაზრდულ პოლიტიკაზე, ადგილობრივი კადრების დაფასებასა და მათი ზრდისადმი სისტემურ მიდგომებზე. ახალგაზრდების წახალისების მუნიციპალიტეტში არსებული რიგი პოზიტიური მაგალითების მიუხედავად, სახეზეა ახალგაზრდების შიდა და გარე მიგრაციის საგანგაშო მაჩვენებლები, რაც ადგილობრივი პოლიტიკის სამიზნე უნდა გახდეს, დროულად აისახოს წინასარჩევო პროგრამებსა და პლატფორმებში.

➤ ქალთა ჯგუფები ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ ცენტრის დამოკიდებულებას მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემებისადმი და ადგილობრივი პოლიტიკური

სუბიექტებისგან ელოდებიან გულისხმიერ მიდგომას იმ საკითხებისადმი, რომელიც არ შედის მათ კომპეტენციაში, მაგრამ მძიმედ აისახება ქალების და მათი ოჯახების ყოფაცხოვრებაზე (მაგალითად - ჯანმრთელობის მომსახურებისთვის ზესტაფონში წასვლა, გინეკოლოგის მომსახურების ხელმიუწვდომლობა), ასევე ელოდებიან დეცენტრალიზაციის და ადგილობრივი პოლიტიკის რეალიზაციის საკითხში ადგილობრივი ხელისუფლების მეტ აქტიურობას და სითამამეს, ადგილობრივი ბიუჯეტისთვის მეტი რესურსების მობილიზებას.

➤ აუცილებელია დღის წესრიგში დადგეს საგზაო მოძრაობის წესების მკაცრი კონტროლი და მუნიციპალიტეტში შიდა გადაადგილების საკითხი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

კვლევის ძირითადი მიგნებები:

❖ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა ქალების სხვადასხვა ჯგუფის გენდერული საჭიროებების კვლევას, თვალსაჩინოდ ავლენს ქალთა ადგილობრივი ჯგუფების საჭიროებებს: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების; სკოლამდელი განათლების სერვისის გაუმჯობესების; წყლის ხელმისაწვდომობის; მოხუცთა სადღეღამისო ცენტრის; მიგრაციის; სოციალური დახმარებისა და მის მიღმა დარჩენილი ოჯახების; მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისთვის პრობლემურ საკითხებს. არსებული პრობლემები კიდევ უფრო იკვეთება მუნიციპალიტეტის უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე.

❖ ქალების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების საკითხი - კვლევის დროს გამოიკვეთა არაერთი კონკრეტული პირობა, რომელიც არათუ აბრკოლებს ადამიანების და ოჯახების სრულფასოვან ყოფას, არამედ რიგ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას და კითხვის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის ფუნდამენტალურ საკითხებს: მაგალითია - ქალების სახლში მშობიარობის 8 შემთხვევა რეგიონში: *„ექთანაც რომ არ ყავთ, ამის გამო პედაგოგმა ამშობიარა 8 ქალბატონი“*. ეს შემთხვევები ჰუმანიტარულ კატასტროფის რანგს განეკუთვნება და მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა რანგში არ განიხილება, განგამის საფუძველს იძლევა და სახელმწიფო ინსტიტუტების უმკაცრეს რეაგირებას ნამდვილად საჭიროებს. ქალები აღნიშნავენ, რომ ყველა ხელისუფლება ჰპირდება ექთნის შტატის დაშვებას, თუმცა უშედეგოდ. *„ჯანდაცვის სამინისტროშიც მოვითხოვეთ, მაგრამ ასე გვითხრეს, თვითმმართველობიდან უნდა შემოვიდეს მოთხოვნა“*.

მუნიციპალიტეტში, ზოგადად, სერიოზული პრობლემებია მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურების კუთხით: მათ გინეკოლოგთან ვიზიტი თბილისში უწევთ. იმ პერიოდშიც კი, როცა გინეკოლოგი იყო, სამუშაო პირობების არარსებობის გამო შეუძლებელი იყო სრულფასოვანი მომსახურების მიღება.

ქალებმა დააყენეს ჯანდაცვის სხვა პროგრამების საჭიროებაც და გულისტკივილით აღნიშნეს, რომ სხვა მუნიციპალიტეტებში იმატებს სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, ხარაგაულში კი შეამცირეს. ამ დროს კი იმერეთში ყველაზე მეტი სოციალურად დაუცველი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტშია: მოსახლეობის 33%. ქალებმა წარმოადგინეს კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, საგანგაშოდ დიდია იმ ოჯახების რაოდენობა, ვინც არ ღებულობს სოციალურ დახმარებას, მაგრამ ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში. „160 ბავშვამდე იყო, უკიდურესად მოშიშშილე ოჯახში“.

❖ ქალების მიერ გამოკვეთილი გენდერული საჭიროება, როგორც საოჯახო ზრუნვის პოლიტიკის ძირითადი სუბიექტებისა, არის **წყლის ხელმისაწვდომობის საკითხი**. გამოიკვეთა, რომ არის თემები, რომლის მცხოვრებლებს 20 წელია, წყალმომარაგება არა აქვთ.

ფოჯუს-ჯგუფის მონაწილეებმა გაიხსენეს საქარიქეთისა და ინგორეთის შემთხვევა, როდესაც ქალებს ძალიან შორიდან უწევთ წყლის ზიდვა. „ეს ყველა პრობლემა ქალებს ეხებოდა, იმიტომ რომ ქალები არიან შინამეურნეობის წარმმართველები. დიასახლისმა გვითხრა - დილა რომ თენდება, ვტირო“.

❖ ქალები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ საერთო მძიმე სოციალური ფონი ნიჰილიზმის წყარო ხდება. მათი დაკირვებით, 2014 წლამდე, ბოლო მოწვევის საკრებულომდე უფრო მეტად იყვნენ მოქალაქეები აქტიურობისკენ მიმართული.

საუბარი შეეხო ქალების მონაწილეობას სოფლის კრებებში. იქ კაცები უფრო აქტიურობდნენ, მათი პოზიციაა ზოგადად: „მე კაცი ვარ და უფრო მეტი ვიცი. უხეშად ვამბობ, მაგრამ საერთო აზრი არის ყოველთვის ეგ“.

❖ კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება იჩენს **ძალისხმევას სკოლამდელი განათლების სერვისის გამართვისთვის**. ხარვეზები, რომლებიც არსებობს, ქალების აზრით, გამოწვეულია არა პოლიტიკური ნების, არამედ რესურსების დეფიციტით. მიუხედავად ამისა, არის საკითხები, რომლებიც პასუხობს ქალების საჭიროებებს და შესაბამისი პოლიტიკური ნების შემთხვევაში, შეიძლება, ბევრად გააუმჯობესოს ქალების მდგომარეობა. ერთ-ერთი ასეთი საკითხია საზაფხულო ჯგუფის შექმნა, რაც დასაქმებული ქალბატონებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. ქალები თვლიან, რომ ეს წმინდა გენდერული საკითხია და ასეთი მიდგომა „პოზიტიური დისკრიმინაციის“ ფორმას ატარებს, რაც, მათი აზრით, შეიძლება თვითმმართველობამ დაუშვას, როგორც გენდერული პოლიტიკის და დასაქმებული ქალბატონების მხარდაჭერის მაგალითი.

➤ ადგილობრივი ზრუნვის პოლიტიკის გამოხატულების თვალსაჩინო მაგალითია **ხანდაზმულებზე ზრუნვა**, მათი ყველაზე მოწყვლადი კატეგორიისთვის ღირსეული სიბერის პირობების შექმნა. ხარაგაულში დღემდე არსებული პოლიტიკური ნება არ აღმოჩნდა საკმარისი მოხუცთა სადღეღამისო ცენტრის საკითხის პოლიტიკურ დღის წესრიგში დასაყენებლად.

➤ ხარაგაულში ისევე, როგორც იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებში, საგანგაშო მასშტაბებს აღწევს **მიგრაციის საკითხი**, რომლის მიზეზებია უკიდურესი სიღარიბე და ადგილობრივი პერსპექტივის დეფიციტი. ქალები მიიჩნევენ, რომ მიგრაცია შეჩერდება, თუ მაგალითად - სოფლის მეურნეობა გახდება მომგებიანი. ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქალების ეკონომიკური გააქტიურების ხელშეწყობა, რაზედაც თვითმმართველობა უნდა ზრუნავდეს და კონკრეტული მექანიზმების შექმნას ცდილობდეს. ნახსენები იქნა ცალკეული ინიციატივები - რძის წარმოება, ჩირის წარმოება, რასაც განვითარება არ მოჰყოლია. ქალების აზრით, გამოსავალი არის ძლიერი ფერმერული მეურნეობა, რომელსაც გონიერი ადგილობრივი პოლიტიკა სჭირდება.

➤ კვლევამ გამოკვეთა მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მექანიზმების ფორმალური ასპექტები, მაშინ როცა ადგილობრივი ქალთა თემის აქტიური ნაწილი მას მოიაზრებს, როგორც საუკეთესო მექანიზმს ქალებისა და ადგილობრივი მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისათვის, ინოვაციური სოციალური სერვისების დანერგვისათვის. გენდერული საჭიროებების მოგვარების მექანიზმებზე საუბრისას ქალები აღნიშნავენ, რომ ფორმალურად ამისთვის არსებობს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც დაფუძნდა ხარაგაულში, მაგრამ ჯერ მისი რეალური საქმეები არ ჩანს. აღმოჩნდა, რომ ფოკუს ჯგუფის ზოგი მონაწილე საბჭოს წევრია და არ დაუმაღავს თავისი იმედგაცრუება: „იცით რა, მეც ვარ წევრი და იქ მისვლის სურვილი არ მაქვს. იქ მეტი არ მივალ. საღი აზრი იქ არ ისმის. დღევანდელი შეხვედრა მინდა, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, იმიტომ რომ აქ კვალიფიციური ადამიანები არიან და რეალურ პრობლემებზე ვსაუბრობთ, ეს გარემო ძალიან მსიამოვნებს, იქ კი სპეციალისტების სერიოზული პრობლემაა“.

➤ კვლევაში მონაწილე ქალბატონებმა დააფიქსირეს ნეგატიური დამოკიდებულება მრავალრიცხოვანი აიპებისა და სიპების საქმიანობის მარგი ქმედების კოეფიციენტისადმი და ხედვა, რომ ზოგჯერ უფრო უპრიანია რიგი საკითხების წარმატებული გადაჭრისთვის კვალიფიციურ ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა.

❖ შვილებთან ერთად თავისუფალი დროის ორგანიზაციის საჭიროება: რიგი მწვავე საკითხების პარალელურად, ქალები აყენებენ შვილებთან ერთად დასვენების შესაძლებლობის საკითხს. „ერთ-ერთ პრობლემად ვთვლი იმას, რომ ქალბატონს, რომელსაც ჰყავს პატარა ბავშვი, არ აქვს საშუალება ხარაგაულში, თუნდაც შაბათ-კვირას, პარკში რამით დააკავოს, გაართოს, არ არის შესაბამისი გასართობი ცენტრი, პარკში შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არის მოწყობილი“. მათი თქმით, ბავშვების წაყვანა ზესტაფონში უწყვეტ იმისთვის, რომ ათასში ერთხელ დასვენების და გაართობის საშუალება მისცენ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გაართობის კომპონენტზე უფრო ბავშვების ჯანმრთელობისთვისაა აუცილებელი - საცურაო აუზია: „...და კიდევ ჯანმრთელობისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის საცურაო აუზი, ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს არის ფუფუნება, მაგრამ ზესტაფონში არის, ჭიათურაში არის, ჩვენც გვჭირდება“.

❖ დაფიქსირდა სათნოების სახლის ბენეფიციარების საჭიროებები: ძალიან ბევრი ქალი ვერ ახერხებს ადგილზე მისვლას, იმიტომ, რომ გადაადგილება უჭირთ. გამოიკვეთა ისეთი ბენეფიციარები, ვისაც თითქოს კი ჰყავთ ოჯახის წევრები, მაგრამ ისინი საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას მშობლებს და მიტოვებული ჰყავთ.

ქალებმა იცინა სამინისტროს პოზიცია, რომ თვითმმართველობას შეუძლია პანსიონის გაკეთება, რომელიც სუფსიდირებული იქნება სახელმწიფოს მიერ. „სამწუხაროდ, თვითმმართველობა არ დაინტერესდა ამ საკითხით, მიუხედავად იმისა, რომ აქ ადგილობრივი ქალების დასაქმების საკითხიც იქნებოდა, არა მარტო მოხუცების მიხედვის“. ითქვა, რომ გამოჩნდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაც, რომელც მზად იყო პარტნიორობისთვის, მაგრამ თვითმმართველობამ ვერ გამოიჩინა სათანადო აქტიურობა.

❖ ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე თვალსაჩინო გახდა კიდევ ერთი გენდერული ჯგუფის საჭიროება: ახალგაზრდა სტუდენტების ოჯახები, რომლებიც სახელმწიფოსგან მოკლებული არიან ხელშეწყობას და მათ საჭიროებებს ვერც მუნიციპალიტეტი პასუხობს. მონაწილეთა აზრით, სტუდენტი დედები ხშირად არიან სწავლის მიტოვების „პერსპექტივის“ წინაშე, ასევე

სავარაუდოა, რომ მათ აღარ ექნებათ მეტი შვილების გაჩენის სურვილი, რაც დემოგრაფიულად აზარალებს მუნიციპალიტეტს.

❖ ქალების გენდერული საჭიროებების ჩამონათვალში მოხვდა **მრავალშვილიანი დედების საკითხი**, რომელთა დახმარებაც მხოლოდ ერთჯერადი პროგრამით შემოიფარგლება: „*კი ბატონო, ერთჯერადად დამხმარებიან, მაგრამ არ არის ეს საკმარისი...სტაბილურად ხელფასი თუ მექნება, არ შემეშინდება იმაზე ფიქრის, თუ რა ვაჭამო ჩემს შვილებს*“.

ქალმა გამოკვეთეს მარტოხელა დედების საჭიროებები და მათთვის ადგილობრივი დახმარების აუცილებლობის საკითხი, რადგან კონკრეტულად ამ ჯგუფისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის გამოყოფილი არანაირი თანხა.

❖ **ფოკუს-ჯგუფის დისკუსია შეეხო ქალების დასაქმების საკითხს** და გამოიკვეთა სხვადასხვა ტენდენცია: ზოგიერთი მოქალაქე „დასაქმებაში“ მხოლოდ სახელმწიფო სამსახურს გულისხმობს, თანაც ისე, რომ არანაირ უნარებს არ ფლობს. „*სამწუხაროდ, ადამიანებს არ უნდათ რთული გზა. უნდათ გარანტირებული ხელფასი. ბევრი კიდევ -არაფერს აკეთებს და, უბრალოდ, იღებს ხელფასს. „სამსახური მინდა“ ნიშნავს მათთვის მაგას. რაც არ უნდა ცუდად ჟღერდეს, დასაქმება ხარაგაულში არის ეს. უნარები არ აქვს სამუშაო და ისე უნდა მუშაობა, იმიტომ რომ იცის, ბევრი „არაფერში“ იღებს ხელფასს*“.

ითქვა, რომ ამის დასტური იყო პროექტი უმუშევარი ქალების დასაქმებაზე, სადაც გამოვლინდა, რომ მათ არ უნდოდათ არაფრის სწავლა, განვითარება.

❖ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უკმაყოფილებას იწვევდა მუნიციპალიტეტში კადრების ხშირი ცვლა, რის გამოც ვერ ხერხდება პრობლემების მოგვარება. „ვერ ასწრებენ ხარაგაულელების გაცნობას“.

კატეგორიულები არიან ქალბატონები გამგებლის წარმომადგენლების დანიშვნის სისტემის მიმართ და ითხოვენ არჩევანის თავისუფლებას. მათთვის ასევე მიუღებელია პოლიტიკური ნიშნით დანიშვნის და გათავისუფლებების საკითხიც.

❖ **ქალების მიერ დანერგილი ინიციატივები** - ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები შეეხნენ საკითხს, რომელიც ქალების მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს შეეხება. „*გვეამაყება ნარჩენების გადამუშავების ინიციატიური პროექტი, რომლის იდეის ავტორიც ხათუნა იყო, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ეს პროექტი მუნიციპალიტეტების ხელშეწყობით საერთოდ განხორციელებულიყო, თუმცა იმ „საკატიო სიგელს“; რომელიც შემდგომ გადმოგვეცა, ძალიან თავმომწონედ მოკიდეს ხელი მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებმა. ამ პროექტის გამოსობით ხარაგაული „ყველაზე სუფთა რაიონად“ დასახელდა*“.

ყველაზე დასანანი ის იყო, რომ ამ დროისათვის ქალბატონი, რომელიც სანიმუშოდ უნდა ჰყოლოდა მუნიციპალიტეტს, სამსახურიდან იქნა გათავისუფლებული, ქალების შეფასებით „ზედმეტი ინიციატივების გამო“.

❖ **ქალები აფიქსირებენ, ზოგადად, გონიერი სახელმწიფო პოლიტიკის საჭიროებას**. იყო შემთხვევა, რომ 38 000 ლარით დაფინანსდა განათლების სამინისტროს მიერ სკოლა-პანსიონი, რომელიც მე-3 წელია, ბენეფიციარების გარეშეა. „*ხარაგაულის რაიონში არის რთული რელიეფური პირობები, იქ როგორ მიიყვანს ადამიანს პატრონი... მე მგონია, რომ განათლების სამინისტრომ ისე გასცა ლიცენზია, რომ არც შეისწავლა ჯეროვნად საკითხი*“.

დასკვნა

- ჩატარებული კვლევით გამოიკვეთა უფრო მეტი კონსტრუქციული კომუნიკაციის საჭიროება ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, რომელიც შესაძლებელს გახდის მათ უპირველეს საჭიროებებზე ორიენტირებულ ადგილობრივ მართვას; მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული ზრუნვის პოლიტიკის, სოციალური და ეკონომიკური პოტენციალის მქონე ოჯახების განვითარებაზე ორიენტირებული მიმართულებების დანერგვას; რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პასუხისმგებლობის გადანაწილებას მოქალაქეებზე გონიერი და მზრუნველი ადგილობრივი პოლიტიკის გატარებისათვის, როგორც დემოკრატიული მმართველობის წინაპირობას.
- მოქალაქეებს აქვთ უფლება, განიხილონ თვითმმართველობა, ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტები, როგორც საკუთარი კეთილდღეობის, სიცოცხლის და ჯანმრთელობის ოპტიმალური პირობების გარანტი: სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი, ექთნის შტატის დაშვების ადვოკატირება საჭიროების მქონე დასახლებულ პუნქტებში უნდა გახდეს ადგილობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი.
- მნიშვნელოვანია ზაფხულის ჯგუფისთვის რესურსების გამოყოფა, რომელიც დასაქმებულ ქალბატონებს, ვისაც არ ჰყავს ბავშვების მომვლელი ოჯახში, საშუალებას მისცემს, შეუფერხებლად შეასრულონ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობა. მსგავსი გადაწყვეტილება იქნება აღქმული, როგორც ქალებზე ზრუნვის და გულისხმიერი პოლიტიკის დემონსტრირება და გავლენას მოახდენს პოლიტიკური სუბიექტების პრესტიჟზე.
- ხარაგაულში დღემდე არსებული პოლიტიკური ნება არ აღმოჩნდა საკმარისი მოხუცთა სადღეღამისო ცენტრის საკითხის პოლიტიკურ დღის წესრიგში დასაყენებლად. ადგილობრივი პოლიტიკის პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს რეალური ხედვა, როგორ, ვისთან პარტნიორობით შეიძლება ამ საჭიროების მოგვარება.
- პირველადი ამოცანა, რაც უნდა იყოს დასახული ადგილობრივ დღის წესრიგში, არის მიგრაციის მასშტაბების შემცირება, რაც შესაძლებელია მზრუნველი ახალგაზრდული პოლიტიკით, სოფლის მეურნეობასა და სხვა სფეროში ქალების ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებით, კონკრეტული პროგრამების ხელშეწყობით. თანამშრომლობა მოქალაქეთა აქტიურ ჯგუფებთან, დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ადგილობრივი რენტაბელური დარგების გამოვლენისა და თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით მათი დანერგვის ხელშეწყობისთვის;
- სიღარიბის შემცირების რეალური პროგრამები იქნება ადგილობრივი არჩევნების დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი მოქალაქეების პოლიტიკური არჩევანისათვის.
- ქალების პრინციპული პოზიციას, ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდეს რეალური სტრატეგია იმ ოჯახების დასახმარებლად, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ, თუმცა სოციალურად დაუცველთა სიაში არ არიან. სასურველია, ეს მოხდეს შედარებით გრძელვადიანი პროგრამებით, რადგან აქ არ არსებობს საფრთხე, რომ სოციალური შემწეობის დაკარგვის შიშით მსგავსი ოჯახები უარს იტყვიან რაიმე სახის სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობაზე.
- იკვეთება უფრო გონიერი საკადრო პოლიტიკის მოლოდინი, როცა სამსახურებში დანიშნა და გათავისუფლება იქნება არა პოლიტიკური ნიშნით, არამედ განმსაზღვრელი

იქნება პროფესიონალიზმი და კეთილსამედობა; წახალისებული იქნება ინიციატივები და ქალების უნარი, ხელისუფლებას შესთავაზონ ადამიანების ყოფის გაუმჯობესების პრაქტიკული ღონისძიებები და ამით რეალურად მოხდება მართვის და პასუხისმგებლობის განაწილება მოქალაქეებისთვის, როგორც რეალური თვითმმართველობის გამოხატულება.

➤ ადგილობრივ პოლიტიკურ სუბიექტებს უნდა ბოლომდე ჰქონდეთ გაცნობიერებული გენდერული საბჭოს აქტიური ფუნქციონირების მნიშვნელობა და როლი. მასში სამოქალაქო სექტორის აქტიური ნაწილის ჩართვის მნიშვნელობა და თანამშრომლობა თემში არსებულ ჯგუფებთან, რომელთაც შეუძლიათ ქალთა და სხვა ჯგუფების საჭიროებების მოტანა და შუამავლის როლის შესრულება საბჭოსა და სათემო ჯგუფებს შორის. ამიტომ გენდერული განათლების ხელშეწყობა, რესურსების სამართლიანი განაწილების, გენდერული ბიუჯეტირების პრინციპის, კვლევებზე დაფუძნებული პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა უნდა გახდეს საბჭოს საქმიანობის ქვაკუთხედი.

➤ კარგი იქნება ახალი საკანონმდებლო რეგულაციების პარალელურად მოქალაქეთა შეფასების გათვალისწინება აიპებისა და სიპების საქმიანობაზე, მათი ეფექტურობის პერიოდული შეფასებისა და ანგარიშგების მექანიზმის დანერგვა.

ხონის მუნიციპალიტეტი

კვლევის ძირითადი მიგნებები:

ხონის მუნიციპალიტეტში ქალთა ჯგუფთან ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა როგორც ქალების სპეციფიკური გენდერული საჭიროებები, რომელთა მოგვარება ბევრად გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას და ყოველდღიურ ყოფას მუნიციპალიტეტში, ამასთანავე გამოიკვეთა ქალების ხედვა ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ეხება ადგილობრივი მართვის საკითხებს, მუნიციპალური სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის სამომავლო პერსპექტივებს და, ფაქტობრივად, შეადგენს წინასაარჩევნო დაკვეთას პოლიტიკური სუბიექტების მიმართ, რომელთაც უნდა წარმოადგინონ თავისი ხედვა და რეალური პროგრამები ამ საკითხების მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში გადასაწყვეტად.

ქალების მიერ დასახელებულ პრობლემათა შორის არის ქალთა დასაქმების; მიგრაციის; სოციალური ინფრასტრუქტურის, კერძოდ - სკოლამდელი განათლების სერვისის; ერთჯერადი დახმარების პროგრამების მოკლევადიანი ეფექტის; ბენეფიციარების არაინფორმირებულობის პრობლემა. გამოიკვეთა ზრდასრულთა განათლების, სოციალური მუშაკის შტატის დიფერენცირების, სოციალური პროგრამების გაუმჯობესების და ქალებისთვის ეკონომიკური პროგრამების დანერგვის, ოჯახების გაძლიერების პოლიტიკის ხელშეწყობის საჭიროება.

❖ პირველ რიგში დასახელდა **ქალების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის საჭიროება**. ითქვა, რომ პრობლემა განაპირობებს ქალების მიგრაციის ზრდას, რაც მთლიანობაში ნეგატიურად აისახება მუნიციპალიტეტის სოციალურ კლიმატზე, ოჯახების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. ისინი თვლიან, რომ რეგიონის ეკონომიკურ სიტუაციაში

მამაკაცები ფიზიკური შრომით მაინც ახერხებენ თავის გატანას, უფრო მეტად შეუძლიათ კერძო სამსახურებში დასაქმდნენ. „ქალები კი ამასაც მოკლებულნი არიან, იმიტომ, რომ ქალებისთვის, ზოგადად, ნაკლებია სამუშაო ადგილები და ამიტომ, იძულებულნი არიან, იმუშაონ საზღვარგარეთ“.

დაფიქსირდა ისიც, რომ დასაქმების შემთხვევაშიც კი ეს არ განაპირობებს სოციალური და ეკონომიკური დაცვის გარანტიებს ქალბატონებისთვის და მათთვის შესაფერისი გარემოს შექნაზე ზრუნვა არ არის პირველხარისხოვანი ამოცანა არც კერძო დასაქმებლისთვის, არც სახელმწიფო დაწესებულებებისთვის.

❖ მიუხედავად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული ძალისხმევისა **სკოლამდელი განათლების სექტორში** (რაც ადგილობრივი რესურსების მიმართვის გარდა გამოიხატება დონორების პოტენციალის გამოყენებაში, რომლის ხელშეწყობით გაიხსნა ბაგის ჯგუფი; რამდენიმე სოფლის ბაღი აღიჭურვა ინვენტარით, დამონტაჟდა მზის კოლექტორები; თვითმმართველობა სკოლამდელი დაწესებულებებისგან მოშორებით მცხოვრებთ უზრუნველყოფს ტრანსპორტირებით), ხონის მუნიციპალიტეტის სოციალური ინფრასტრუქტურა, კერძოდ სკოლამდელი განათლების სერვისი მაინც ვერ პასუხობს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ახალ სტანდარტებს. საჭიროა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სფეროში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის, ანაზღურებისთვის ოპტიმალური პირობების შექმნა. ზოგიერთ ბაღში შედარებით უფროსი ასაკის ჯგუფის ბავშვებს ვერ აძინებენ, რაც მათ ჯანმრთელობაზე და განვითარებაზე უარყოფითად აისახება.

❖ ქალების საჭიროებაა - მათთვის **საჭირო ინფორმაციის დროულად მიღება**: ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ ქალების გარკვეული კატეგორიისთვის, მაგალითად - სოციალურად დაუცველი ჯგუფისთვის, პრობლემას წარმოადგენს მათთვის საჭირო საკითხებზე ინფორმაციის არქონა. მართალია, თვითმმართველობა ცდილობს ინფორმაციის გავრცელებას სოციალური ქსელებით, ადგილობრივი ტელევიზიებით, გაზეთით, „მაგრამ ნაკლები არის შეხვედრები უშუალოდ მოსახლეობასთან და ვფიქრობ, რომ აქ არის ყველაზე მეტი პრობლემა, ამ მიმართულებით, რომ ვერ ახერხებს, მიაწოდოს ინფორმაცია მოქალაქეებს“. ითქვა, რომ ქალებს ნაკლებად აქვთ ასევე ინფორმაცია იმ სერვისებზე და პროგრამებზეც, რომელსაც სთავაზობს ცენტრალური ხელისუფლება.

❖ **ოჯახის მართვის უნარების საჭიროება ქალებისთვის** - ქალების საჭიროებებზე საუბრისას ითქვა, რომ პერიფერიებში, სოფლებში დგას მეტი განათლების აუცილებლობის საკითხი. ასევე იკვეთება, ოჯახის მართვის უნარების დეფიციტი ქალებში, შვილების განათლების პროცესის ორგანიზების საკითხში. გამოითქვა გულისტკივილი, რომ მუნიციპალიტეტში ზრდასრულთა განათლების პროგრამები არ არის. „ამის გამო ფეხს ვერ ვუბამთ იმ სიახლეებს, რომელიც ყოველდღიურად ჩნდება“.

❖ ქალების სასიცოცხლო საჭიროება - **ოჯახების გაძლიერების პროგრამები**: ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ოჯახების გაძლიერებისა და მართვის პროგრამებზე, რომელიც ქვეყანაში სოციალური მუშაობის ქვაკუთხედი უნდა იყოს. ქალების მხრიდან გამოითქვა გულისტკივილი, რომ სოციალური მუშაობის დაკნინება ხდება, რადგან მათ აქვთ დიდი დატვირთვა და არის საჭიროება, მოხდეს დიფერენცირება, „სოციალური მუშაკები ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ყველა სფეროშია, იქ დიფერენცირებულია: შშპ- თან სხვა მუშაობს, ძალადობის მსხვერპლებთან სხვა და ა.შ.“

ხონში დიდი ხნის განმავლობაში სოციალური მუშაკი არც იყო და სამტრედიის კადრი ითავსებდა მის მოვალეობას, ასეთ პირობებში კი შეუძლებელია დარგის მიღწევებზე საუბარი.

ქალებმა მოიყვანეს სხვადასხვა დონორების მიერ განხორციელებული პროექტების მაგალითები, სადაც ხდებოდა ოჯახების პროფესიული გადამზადება, ხელშეწყობა ბიზნესის წამოწყებაში, სათბურების გამართვაში, კოოპერატივების ჩამოყალიბებაში. „წავაწყდით ასეთ რაღაცას: სოციალურზეც ისე არის მიბმული სადაზღვევო პაკეტი და ამ სადაზღვევო პაკეტის დაკარგვის შიშით ადამიანები უარს ამბობენ შრომაზე და იმაზე, რომ მიიღონ მეტი შემოსავალი“.

ქალების ჯგუფის მიერ კვლევის ფარგლებში ნახსენები იყო **ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებები**, რომელსაც კანონმდებლობიდან გამომდინარე, გარკვეულწილად პასუხი უნდა გაეცეს ადგილობრივ დონეზეც.

❖ **ზრუნვის პოლიტიკის ბენეფიციარების საჭიროებები** - ფოკუს-ჯგუფის დისკუსია შეეხო იმ ბენეფიციარების საჭიროებებს, რომლებიც თავისი ფიზიკური თუ მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ინტეგრირდებიან განვითარების პროგრამებში, პირიქით, თვითმმართველობისგან შესაბამის ზრუნვის პოლიტიკას საჭიროებენ. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მათგანს გაუგებარი მიზეზების გამო პერიოდულად უწყდება სახელმწიფო სოციალური დახმარება და თვითმმართველობას დიდი ძალისხმევის გამოჩენა სჭირდება, რომ მათ ამ საკითხში შუამდგომლობა გაუწიოს.

დისკუსიაზე დაფიქსირდა ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური დამოკიდებულება მუნიციპალიტეტში დანერგილი გრძელვადიანი სოციალური სერვისების მიმართ, როგორც არის „სოციალური სამრეცხაო“ სათნოების სახლის ბინადრებისთვის. ითქვა, რომ მეორე ეტაპი მათთვის სააბაზანოს მოწყობა იქნება. დღის წესრიგში დგას სადღეღამისო თავშესაფრის მოწყობის საკითხი ყველაზე დაუცველი ხანდაზმულებისათვის და იგეგმება ამისთვის გარე რესურსების მოძიება.

ხონში ისევე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივი ხელისუფლების „თავსატეხს“ წარმოადგენს სახელმწიფო **სოციალური დახმარებების** მიღმა დარჩენილი მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვა.

❖ **სოციალური პროგრამების გაუმჯობესების, კვლევებზე დაფუძნებული ახალი პროგრამების საჭიროება** - ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე მონაწილეთა უმეტესობა აფიქსირებდა მოსაზრებას, რომ ძალიან არაეფექტურია ერთჯერადი დახმარების პროგრამები და მათი გადახედვის საჭიროებას.

გულისწყვეტით ითქვა, რომ რეგიონში არ არის არცერთი ბავშვების უფლებათდამცველი ორგანიზაცია, რის გამოც სოციალურ მუშაკებს ზოგჯერ უწევთ ოჯახებისთვის მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღება. ოჯახების გაძლიერებაზე მიმართული პროგრამების დეფიციტის გამო ხშირად ბიოლოგიური ოჯახების დარღვევამდე მივდივართ. „*კარგია, რომ სახელმწიფო ზრუნავს ბავშვის კეთილდღეობაზე, მაგრამ ზოგჯერ უმჯობესია, მის ბიოლოგიურ ოჯახს დაეხმაროს ხელისუფლება, რათა ბავშვი დარჩეს მისთვის ბუნებრივ გარემოში, ვიდრე მოხვდეს ფინანსურად უფრო ძლიერ ოჯახში, მაგრამ უცხო ადამიანებთან.*“

❖ **ქალების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების აუცილებლობა:** ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე გამოიკვეთა ქალების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების აუცილებლობის საკითხი: *„მე რომ ვიყო გადაწყვეტილების მიმღები, უნდა შევისწავლო რაიონში რა არის მოთხოვნადი პროფესია, ვინ სასტუმრო გააკეთა, ვინ რესტორანი გააკეთა. რაც არის ადგილზე, სადაც შეიძლება დასაქმდეს ადამიანი, ის უნდა შეასწავლო ქალებს. იგივე კულინარია, სასტუმროს საქმე“.*

ზოგიერთების აზრით, კარგი იქნებოდა მაღაზია ტურისტურ ზონაში. ობიექტი, სადაც ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა გაკეთდება. „აუცილებელია, იმ ადამიანებს ვასწავლოთ მენეჯმენტი“, „მომსახურება ვასწავლოთ ხალხს“.

❖ **ქალთა ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის საჭიროება:** ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ მუნიციპალიტეტში არის გარკვეული რესურსი ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკური აქტიურობის თვალსაზრისით. თვითმმართველობაში ქალთა მონაწილეობა სახეზეა, მაგრამ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ქალები ნაკლებად არიან. დისკუსიის მონაწილეთა აზრით, რაც შეხება სამოქალაქო ინიციატივებს, ქალების მონაწილეობა კარგად ჩანს. ეს ეხება „ქალთა მხარდაჭერის ცენტრს“, „ამომრჩეველ ქალთა კლუბს“, „ქალთა საინიციატივო ჯგუფებს“, რომლებიც ქალებისთვის საჭირობო როტო საკითხებს, მათ შორის გარემოსდაცვით საკითხებს აყენებდნენ. ხონში იყო ქალთა ჯგუფის მიერ სოფლის კრების ორგანიზების პრაქტიკა.

დასკვნა

❖ ქალებისთვის შრომითი გარანტიების უზრუნველყოფა, სოციალური დაცვის მორგებული პროგრამები მათი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის, ორიენტირი მათ პროფესიონალიზმზე, ქალებისთვის ეკონომიკური გაძლიერების რეალური პროგრამების შეთავაზება იქნება მომხიბვლელი წინასაარჩევნო პოლიტიკური სივრცის ორგანიზების დროს.

❖ გრძელვადიანი და ინოვაციური სოციალური სერვისების შეთავაზება ამომრჩევლისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტის პარალელურად დამატებითი რესურსების მოზიდვის სტრატეგია - პოლიტიკური დღის წესრიგის შეუცვლელი თემა უნდა გახდეს. ეს იქნება დიდი შეღავათი შშმ პირების, ხანდაზმულების, მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

❖ ოჯახების მხარდაჭერის ხელშეწყობისთვის აუცილებელია მულტიდისციპლინარული თანამშრომლობა, სერვისების კვალიფიციურ არასამთავრობო ორგანიზაციებზე თუ სხვა ჯგუფებზე „გაყიდვის“ პრაქტიკის დანერგვა. მსგავსი მიდგომა ქალების მხრიდან აღიქმება, როგორც საუკეთესო პერსპექტივა მოქალაქეების კეთილდღეობის ხარისხის გაზრდის კუთხით, რასაც „მზად“ უნდა დახვდნენ პოლიტიკური სუბიექტები.

❖ მიღებული პრაქტიკით, ხდება თემისთვის მნიშვნელოვანი ყველა საკითხის და ინფორმაციის აკუმულირება გამგებლის წარმომადგენლების საქმიანობაში, მაგრამ რაც არ უნდა კვალიფიციური კადრებით იყოს დაკომპლექტებული ეს ინსტიტუტი, წარმოუდგენელია ამ ფუნქციის სრულფასოვანი შესრულება. საჭიროა ცალკე

საკონსულტაციო სისტემის დანერგვა მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი პროგრამების/პროექტების გარშემო.

❖ ქალების „დაკვეთას“ წარმოადგენს საბიუჯეტო პროგრამები ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლის დაცვის კუთხით; სოფლის წარმომადგენლების აღჭურვა ყველა საჭირო ინფორმაციით და მსხვერპლის პირველადი კონსულტირების ფუნქციით, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა დაცვის მიმართულებით.

❖ ქალთა ჯგუფის დაკვეთაა შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრი, მოხუცთა თავშესაფარი, რათა თემის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისკენ იყოს მიმართული ადგილობრივი ზრუნვის პოლიტიკის ვექტორი.

❖ საჭიროა ადგილობრივი რენტაბელური დარგების დანერგვის ხელშეწყობა, შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე, კვლევებზე დაფუძნებული პროგრამების შეთავაზება ქალებისთვის, რომელიც იქვე ითვალისწინებს საკონსულტაციო სერვისს, რესურსების მოძიებაში ხელშეწყობას. ადგილობრივი სტატისტიკის მეთოდოლოგიის შექმნას სოციალურ-დემოგრაფიული საჭიროებების, შრომითი რესურსების შესახებ მონაცემთა ბაზით.

❖ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, სოციალურ საკითხებში მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო - ქალების სრულფასოვანი მონაწილეობის პირობებში შეიძლება გახდეს არაერთი პოლიტიკური გადაწყვეტილების და პრაქტიკული პროგრამის დანერგვის საშუალება და ეს რესურსი აუცილებლად უნდა გამოიყენონ ადგილობრივი ხელისუფლებაში მოსვლის სურვილის მქონე პოლიტიკურმა სუბიექტებმა.

დასკვნა

იმერეთის მუნიციპალიტეტებში ქალთა ჯგუფების საჭიროებების კვლევამ გამოკვეთა, რომ ქალებისა და მათი ოჯახების აბსოლუტური უმეტესობა ელემენტარული საარსებო წყაროების

და კვალიფიციური საკადრო უზრუნველყოფის საკითხი, რათა მაქსიმალურად მოხდეს სერვისის საჭირო სტანდარტებთან მიახლოება.

ქალების მიერ დასახელებული სხვადასხვა გენდერული საჭიროებებიდან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წყალმომარაგების, გაზიფიცირების, სატრანსპორტო გზების კეთილმოწყობის საკითხს. ამ საკითხების დროული გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს მუნიციპალიტეტებში და ადგილობრივი აქტიური პოლიტიკა ყველა თემისთვის თანაბარი პირობების შესაქმნელად დიდად გაზრდის პოლიტიკური ძალების ავტორიტეტს და პრესტიჟს. ამ საკითხების მოუგვარებლობა კი მძიმედ აწვება ქალს, რომელსაც ძალიან დიდი დრო ეხარჯება ყოველდღიურ საქმეებზე.

ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის ორიენტაცია უნდა იყოს არა ერთჯერად დახმარებებზე, არამედ გრძელვადიან სოციალურ სერვისებზე, მოწყვლადი ჯგუფების

მდგომარეობის გაუმჯობესების რეალურ პერსპექტივებზე, სადაც მაქსიმალურად იქნება გამოყენებული როგორც ადგილობრივი, ასევე დონორების რესურსები, ეს იქნება ძალიან მიმზიდველი თვითმმართველობის არჩევნების დროს, როგორც გენდერულად სამართლიანი პოლიტიკის გამოხატულება.

კვლევით გამოჩნდა, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, „ქალთა ოთახები“ შეიძლება, გახდეს ის მექანიზმები, რომელთა სრულფასოვანი ფუნქციონირებითა და მათში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობით მოხდება მუნიციპალიტეტში ქალებისთვის სასურველი დღის წესრიგის დანერგვა; ქალთა მეტი სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფა.

ქალები გამოხატავენ პოზიციას, რომ სერიოზულ გადახედვას საჭიროებს ე.წ. „აიპ-ის“ საქმიანობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი ეფექტური მონაწილეობა ქალების, ადგილობრივი მოქალაქეების ცხოვრების დონისა და კეთილდღეობის ხარისხის გაზრდაში. ჯერ-ჯერობით გამოუყენებელია რიგ მუნიციპალიტეტებში ბოლო პერიოდში გაჩენილი სერიოზული ტურისტული პოტენციალი, რაც, პირველ რიგში, მიმზიდველია ქალებისთვის, როგორც ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობა. სწორი ადგილობრივი პოლიტიკის შემთხვევაში, გონივრული ინვესტიციების მოზიდვით, ეს ქმნის უზარმაზარ რესურსებს არა მხოლოდ ადგილობრივი დასაქმებისთვის, არამედ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის. პირველ რიგში - ქალების დასაქმებისთვის.

სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს გარემოსდაცვითი პრობლემები, რომელთა ნაწილი ქალებს გათავისებულებული აქვთ და წუხილს გამოხატავენ (ტყიბული, ჭიათურის მაცხოვრებლები), მაგრამ თვალშისაცემი იყო ფაქტი, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე ერთი კომენტარიც კი არ გაკეთებულა ზესტაფონში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ფეროშენადნობი ქარხნის მიერ გარემოს დაბინძურება საგანგაშო ნიშნულს აღწევს.

რეკომენდაციები:

კვლევის მიგნებები, დასკვნები შესაძლებლობას იძლევა, მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

➤ ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტების სამიზნე უნდა გახდეს მიგრაციის მასშტაბების შესწავლა, მისი მიზეზების ანალიზი, საზოგადოების აქტიურ ნაწილთან ერთად მისი პრევენციის მექანიზმების შემუშავება;

➤ ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიებს უნდა შეეძლოთ ყველა კერძო შემთხვევის კონტროლი და ადვოკატირება, როცა განსაკუთრებით მოწყვლად ოჯახებს ეხსნებათ სოციალური დახმარება და დასახული უნდა იყოს მათი მოწყვლადობის შემცირების სტრატეგია.

➤ საჭიროა პოლიტიკურმა ძალებმა მოსახლეობასთან კომუნიკაცია დაიწყონ ახალი სერვისების შეთავაზებით, მოქნილი სოციალური და ახალგაზრდული პოლიტიკით,

მოქალაქეების კეთილდღეობის გაზრდის რეალისტური და კონკრეტული გეგმებით და პროგრამებით.

- მიზანშეწონილია ადგილობრივმა პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი შეუწყონ მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირებას, როგორც გენდერული მენისტრიმინგის უზრუნველყოფის მექანიზმს.
- სასურველია, პოლიტიკურმა პარტიებმა დაარწმუნონ ქალი ამომრჩევლები, რომ მათთან კომუნიკაცია არ დამთავრდება არჩევნების დასრულებით.
- სასარგებლო იქნება, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა მოქალაქეებს დაანახონ ადგილობრივი რეალობისათვის პერსპექტიული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტირები, სათანადო პოლიტიკური პასუხისმგებლობა მათი რეალიზებისათვის.
- საჭიროა, მოხდეს „აიპ-ის“ საქმიანობის ორგანიზაციის და რეზულტატების ობიექტური შეფასება, მათი „მარგი ქმედების კოეფიციენტის“ ანალიზი, და დაისახოს პროგრამა ამ რგოლის საქმიანობის უკეთესი ორგანიზაციისთვის.
- საჭიროა პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარ პროგრამებში უფრო დამაჯერებლად ასახონ საკუთარი საკადრო პოლიტიკის ნიშნულები, რომელიც თავისუფალი იქნება ნეპოტიზმისგან, პოლიტიკური ნიშნით შერჩევისაგან და ორიენტირებული - კვალიფიკაციასა და გენდერულად სამართლიან მიდგომებზე.
- სასურველია ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტების დღის წესრიგში დადგეს არაანაზღაურებად სექტორში გაწეული შრომის წახალისების საკითხი, როგორც შესაბამისი ზრუნვის პოლიტიკის განხორციელება ქალებისა და მოქალაქეთა ყველაზე მოწყვლადი ფენებისადმი.
- მნიშვნელოვანია, პოლიტიკურმა პარტიებმა წარმოადგინონ ხედვა ქალთა კეთილდღეობის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებებზე. ტრადიციული ადგილობრივი დარგების და წარმოების ხელშეწყობის, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის კულტურების შენარჩუნების პროგრამებზე პარალელურად - კვლევებზე და საჭიროებებზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და ადგილობრივ გარემოში ახალი კულტურების შემოტანის საკუთარ კონკრეტულ გეგმებზე.
- სასურველია, ადგილობრივმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა ხელი შეუწყონ მოქალაქეთა „სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულების სინდრომის“, გაუვნებელოფას. აიღონ საკუთარი პასუხისმგებლობა საკითხის მოგვარებაზე.
- მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა პოლიტიკურმა პარტიებმა მუნიციპალიტეტებში ითანამშრომლონ ქალთა აქტიურ ჯგუფებთან, რომელთაც ხშირად აქვთ წარმატებული პრაქტიკა, ხედვა ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე და ხელი შეუწყონ მათ პოლიტიკურ მონაწილეობას.
- საჭიროა პოლიტიკურმა პარტიებმა მაქსიმალურად შეისწავლონ სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული ხარვეზები, სერვისის საჭიროების მქონე ბენეფიციარების რაოდენობა, მაქსიმალურად იქნეს მხარდაჭერილი და გამოყენებული კერძო ბაღების ქსელი, ასევე გაგრძელდეს და გაფართოვდეს გარე რესურსების

(ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების) მოზიდვის მეთოდოლოგია და პრაქტიკა.

- აუცილებელია ბაგის ასაკის აღსაზრდელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვა, რომელიც გაითვალისწინებს აღსაზრდელთა ასაკობრივ-ფიზიოლოგიური თავისებურებებს.
- ადგილობრივი პოლიტიკა უნდა გახდეს სენსიტიური ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხის მიმართ, რათა დაინერგოს ადგილობრივ ბიუჯეტში მათი დახმარების ღონისძიებები, ძალადობის პრევენციის, სექტორთშორისი თანამშრომლობის პრაქტიკა.
- საჭიროა ადგილობრივი პოლიტიკა გახდეს ბევრად უფრო მკაცრი და პრინციპული გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებისას. დაინერგოს მონიტორინგის, მკაცრი სანქციების რეჟიმი.
- პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს პროგრამა იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში არსებული ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის, რომელიც ზოგან შესწავლილია, ზოგან კი, მაგალითად, ჭიათურაში - თავის რიგს ელოდება. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.
- მიზანშეწონილია, ადგილობრივ პოლიტიკაში იყოს ადგილი ინვესტიციისათვის განათლებაში, განსაკუთრებით - გენდერული ვექტორით: მოხდეს იმ სტუდენტთა გოგონების დახმარება, რომელთაც ჰყავთ პატარა შვილები, რათა მინიმალიზირებული იქნას რისკი, რომ ამის გამო ისინი თავს დაანებებენ სწავლას.
- მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი პოლიტიკური სუბიექტებისთვის პრესტიჟის საკითხი გახდეს არა ფრაგმენტული, არამედ რეალური სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა შშმ პირებისთვის, მათი სოციალური ინტეგრაცია.
- საჭიროა ადგილობრივი პოლიტიკის სამიზნე გახდეს ახალგაზრდების შიდა და გარე მიგრაციის საგანგაშო მაჩვენებლები, დროულად აისახოს წინასარჩევნო პროგრამებსა და პლატფორმებში მათი პრევენციის ღონისძიებები.
- ადგილობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს ქალებისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი საჭიროების მქონე დასახლებულ პუნქტებში, მაგალითად - ექთნის სრული განაკვეთით მომსახურება არსებულ ამბულატორიებში. განსაკუთრებით კი გინეკოლოგის მომსახურების ხელმისაწვდომობა.
- საჭიროა პოლიტიკურმა სუბიექტებმა გააცნობიერონ, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების გენდერულ საჭიროებათა ჩამონათვალში თავისი ადგილი უკავია დასასვენებელი პარკების, საბავშვო სკვერების კეთილმოწყობის საკითხს, და ოჯახების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ასევე მნიშვნელოვანია განათლების, დასვენების ოპტიმალური პირობების არსებობა.
- გადახედვას საჭიროებს საკითხი, რომ მუნიციპალიტეტებს არ აქვთ სტატისტიკური ინფორმაციების შეგროვების ვალდებულება და ის გადაცემულია სხვა უწყებებისთვის. ეს მუნიციპალიტეტს ართმევს საშუალებას, ჰქონდეს გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემები, რაციონალურად დაგეგმოს სხვადასხვა ადგილობრივი მომსახურება, რათა თუნდაც იმ მწირი არსებული ადგილობრივი

რესურსებით მოხდეს ქალებისთვის, მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის ადეკვატური დახმარების გაწევა, მომსახურება ამიტომ საჭიროა მოხდეს სხვადასხვა სოციალური ინფორმაციის შემცველი ადგილობრივი სტატისტიკური ბაზის შექმნა.

დანართი # 1

❖ ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის ნიშნულები

1. თქვენი აზრით, რა პრობლემები აქვთ ქალებს ადგილობრივ დონეზე?
2. როგორი მდგომარეობაა ქალთა უფლებების დაცვის მხრივ ადგილობრივ დონეზე?
3. როგორია ადგილობრივი თვითმმართველობის მიდგომა ქალთა მხარდაჭერისა და გაძლიერების პოლიტიკის მიმართ.
4. თუ დაინტერესებულა ვინმე თქვენი პრობლემებით და თუ უკითხავს, რა სახის დახმარება გესაჭიროებათ? ვინ და რა ფორმით?
5. გაქვთ ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ? საიდან?

❖ ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ მართვაში

1. ხართ რომელიმე პროგრამის მოსარგებლე? რომლის?
2. რამდენად კმაყოფილი ხართ ამ პროგრამით, როგორია თქვენი ზოგადი შეფასება, რის გაუმჯობესებას ისურვებდით?
3. არიან ქალთა სხვადასხვა ჯგუფები ჩართული თვითმმართველობაში/ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებაში? უფრო რომელი ჯგუფები? რა კუთხით/როგორ? *(სოფლის კრებები, საკრებულოს სხდომებზე მონაწილეობა, სხვადასხვა საბჭოებში მონაწილეობა, სამოქალაქო ინიციატივების წარდგენა, საკუთარი/თემის საჭიროებების ადვოკატირება, პეტიცია, ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობა, თვითმმართველობის ანგარიშების მოსმენა, თემის ინფორმირება და ა.შ.)*
4. წახალისებულია ქალთა მონაწილეობა თვითმმართველობაში? ვის მიერ? თუ არა - რა არის მიზეზი, თქვენი აზრით?
5. თქვენი აზრით, რაში უნდა გამოიხატოს ქალთა სამოქალაქო/პოლიტიკური მონაწილეობა თქვენს მუნიციპალიტეტში?

❖ გენდერული საჭიროებების იდენტიფიკაცია

1. რომელი სოციალური ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინება მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად ადგილობრივ ბიუჯეტში?
2. ადგილობრივ დონეზე ვინ არის დაცული ყველაზე ნაკლებად და რატომ თვლით ასე? *(მარტოხელა ქალები/მშობლები, ქვრივები, მრავალშვილიანი დედები, შშმ პირები და მათი ოჯახის წევრები, ორსული ქალები, ხანდაზმულები, ახალგაზრდა დედები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მცირე მეწარმეები/საოჯახო მეურნეობა, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, დევნილები...)*

3. თვლით თუ არა, რომ საჭიროა და/ან როგორ უნდა მოხდეს ქალების არაანაზღვრებად სექტორში გაწეული საქმიანობის წახალისება ადგილობრივ დონეზე? (რეპროდუქტიული შრომა - ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმიანობა)

4. თქვენთვის მნიშვნელოვან რა საჭიროებას გამოყოფდით, რომლის გადაწყვეტაც სადღეისოდ ან მომავალში გააუმჯობესებს თქვენს/თქვენი ოჯახების მდგომარეობას? (სფეროები - სოციალური ინფრასტრუქტურა; სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი; ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობა; ქალთა ეკონომიკური განვითარების, პროფესიული განათლების პროგრამები; კონკრეტული სოციალური სერვისები; გარემოს დაცვა/სურსათის უვნებლობის დაცვა, რეპროდუქტიული ჯანმრთელობა, დემოგრაფიული პოლიტიკა, მიგრაციის შეჩერება და ა.შ.)

❖ ინსტრუმენტები და მექანიზმები, გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობით

1. იცნობთ თუ არა მექანიზმებს/ინსტრუმენტებს, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ქალთა გენდერული საჭიროებების გათვალისწინებას და მათ გრძელვადიან გადაწყვეტას თქვენს თემში? რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ის? კიდევ რისი გაკეთება შეიძლება ამ მიმართულებით? (საკანონმდებლო ჩარჩოები (თვითმმართვე. კოდექსი, სხვა კანონები), სხვადასხვა სამოქმედო გეგმები, მუნიციპალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, გენდერული თანასწორობის სტრატეგიები, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, „ქალთა ოთახი“, გენდერული მრჩეველი, საერთაშორისო ვალდებულებები; ქვეკითხვა: გენდერული განათლება, ინფორმირება, გენდერული სტატისტიკა, საჭიროებათა კვლევები, პოლიტიკური პარტიების ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ქალთა გენდერული საჭიროებების ადვოკატირებისა და მათთვის მნიშვნელოვანი ახალი პრიორიტეტების გამოსაკვეთად)